

იტალიასა და საქართველოს შორის ურთიერთობები ღრმავდება

A2



წაიკითხეთ "სუნამო" და უყურეთ "პარფიუმერს"

A5



ფრთხილად, საშიშია!

A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 20 ოქტომბერი, 2006 წელი. №233 (1385)

ფასი 50 თეთრი

# კავკასიის, ევროპისა და რუსეთისთვის სახიფათო დოქტრინა

*"რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობამ შეიძლება უკუეფექტი გამოიღოს და რუსეთში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. არავინ არის დაზღვეული რუსეთის რეგიონებისა და სუბიექტების მხრიდან დამოუკიდებლობის მოთხოვნისგან. ასე რომ, მე არ ვურჩევდი ხელისუფლებას გადადგას ეს ნაბიჯი," - განაცხადა ამერიკელმა პოლიტოლოგმა არიელ კოენმა რუსეთის საინფორმაციო არხ "ვესტი 24"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. კოსოვოს მოდელის უნივერსალურობის შესახებ პუტინის განცხადებას სახიფათოდ უკვე არა მარტო დასავლეთში, არამედ რუსეთშიც თვლიან.*

არიელ კოენმა ეჭვქვეშ დააყენა კრემლის მიერ კოსოვოს პრეცედენტის მოშველიება. მისი თქმით, "პუტინის დოქტრინა" კოსოვოს მოდელის გამოყენების შესახებ, სახიფათოა თავად რუსეთისთვის და სერიოზული დესტაბილიზაციის გამოწვევა შეუძლია მთელ რეგიონში.

**"ამერიკის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი შეეცდება, რუსეთის პრეზიდენტთან საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოგვარებას, რათა საქართველოს პრობლემამ ხელი არ შეუშალოს რეგიონში სხვა, უფრო დიდი და სერიოზული პრობლემების მოწესრიგებას. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს არ აქვს ბირთვული იარაღი და არ აწარმოებს მის გამოცდას, არავის ვურჩევდი იქ დესტაბილიზაციის გამოწვევას, რადგანაც არა მარტო რუსეთი, არამედ მთელი ახლო აღმოსავლეთი სერიოზული კონფლიქტების პირისპირ დადგება. ეს კი არ შედის ამერიკის, ევროპისა და, პირველ რიგში, არ უნდა შედიოდეს რუსეთის ინტერესებში,"** - განაცხადა გავლენიანმა პოლიტოლოგმა.

არიელ კოენი აფხაზეთის ჩიხიდან ყველაზე გონივრულ გამოსავლად რეგიონისთვის საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიას მინიჭებას მიიჩნევს. კონდოლიზა რაისი მოსკოვში ვიზიტისას ამ პრობლემის მოგვარებას აუცილებლად შეეცდება.

რუსი პოლიტიკოსები კი კვლავ ვიწრო ასპექტში განიხილავენ რუსეთ-საქართველოს გართულებულ ურთიერთობებს. დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორმა კონსტანტინე ზატულინმა, სომხურ გაზეთ "გოლოს არმენიისთვის" მიცემულ ინტერვიუში, შეიძლება ითქვას, ეროვნებათშორის შუღლსაც აღვივებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი შოუ-ბიზნესში

*გუშინ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში მისულ თანამშრომლებს ფონდის გენერალური დირექტორის ზაზა სოფრომაძის კაბინეტი დალუქული დახვდათ. სამსახურის ხელმძღვანელის და მისი ექვსი თანამშრომლის "გაუჩინარების" შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით გახმაურდა. ფინანსურმა პოლიციამ ხმაურიანი ოპერაცია ჩაატარა, რის შედეგადაც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი და ფონდის რამდენიმე თანამდებობის პირი წინასწარი დაკავების იზოლატორში აღმოჩნდნენ.*

ფონდის გენერალური დირექტორი ზაზა სოფრომაძე გუშინწინ, გვიან ღამით, ფინანსურმა პოლიციამ დააკავა და მისი დაკითხვა მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. თავდაპირველად სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელის დაკავებასთან დაკავშირებით სამართალდამცველი უწყებები ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებდნენ. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი რჩებოდა მიზეზი - რატომ დაინტერესდა ფინანსური პოლიცია ფონდის მუშაობით.

გაგრძელება A4 გვერდზე



*სამი უწყების წარმომადგენლებმა თაღლითური ჭკუის სქემა გაშიფრეს.*

# ბინების გაძვირება ბაზარზე გაჩენილმა მოთხოვნამ განაპირობა

**B**

*საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი სწრაფი ტემპით ვითარდება. მსოფლიოში გავრცელებული ტენდენციის თანახმად, ამ ბაზრის განვითარებას ფასების ზრდაც თან ახლავს. თუ 2006 წლის მიმდინარე სტატისტიკას გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოში ფასების დინამიკა ბაზრის განვითარების პირდაპირპროპორციულად იზრდება. ექსპერტების შეფასებით, საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე, ბოლო ერთი წელია, კომერციულ ფართზე ფასების რეკორდული ზრდა შეიმჩნევა. საგულისხმოა, რომ კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება საცხოვრებელ ბინებზე გაცილებით სწრაფი ტემპით გაძვირდა.*



## ეთნიკური წმენდა სტუდენტობასაც შეეხო

ეკა ჯანაშია

ტომსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივიდა მილიციის სპეციალური მიმართვა, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის ყველა ქართველ სტუდენტზე ინფორმაციის მიწოდებას ითხოვს. "ნეზავისიმაია გაზეტაზე" დაყრდნობით, რადიოსადგური "ეხო მოსკვი" იუწყება, რომ სამართალდამცავი ორგანოები უმაღლესი სასწავლებლის რექტორისგან, გარდა საპასპორტო მონაცემებისა, სტუდენტთა პირადი საქმის გაცნობის ნებართვასაც ითხოვენ.

ამ ინფორმაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორი ანატოლი კობზევი, რომელიც სამართალდამცავების ქმედებას ანტიკონსტიტუციურს უწოდებს და აცხადებს, რომ უნივერსიტეტი ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით სტუდენტების დახარისხებას არ აპირებს. სამართალდამცავთა ქმედებაში უკანონობას ვერ ხედავს ტომსკის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელი ანდრეი ზორინი, რომლის თქმითაც, მათ აქვთ უფლება მოითხოვონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია ნებისმიერ მოქალაქეზე და ნებისმიერ თანამდებობის პირზე.

მსგავსი ვითარებაა არა მხოლოდ ტომსკში, არამედ სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში. შექმნილი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ ქართველები აღარ ელოდებიან დეპორტაციას. რუსეთის საზოგადოებაში შექმნილი ანტიქართული განწყობის გამო, ისინი იძულებულნი არიან, დატოვონ ეს ქვეყანა. საზოგადოების ანტიქართულ განწყობას რუსეთში "ეხო მოსკვის" მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებიც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს და ქართველებს რუსეთის მტრად გამოკითხულთა 82 პროცენტი მიიჩნევს. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ შექმნილი ვითარების გამო აუცილებელია რუსეთიდან დევნილ ქართველებს გაუადვილდეთ მოქალაქეობის მიღება და დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში მიენიჭოთ პრიორიტეტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დაშლილი კოალიცია და გადამდგარი მინისტრები

### კიდევ ერთი სახელისუფლებო კრიზისი უკრაინაში

ხათუნა გაბიევი

უკრაინა რევოლუციის შემდეგ კიდევ ერთხელ აღმოჩნდა სახელისუფლებო კრიზისის მდგომარეობაში. საპრეზიდენტო "ნაშა უკრაინას" ფრაქციის ხელმძღვანელის რომან ბესმერტნის განცხადებით, ბლოკის ოპოზიციაში გადასვლით სამთავრობო კოალიცია დაიშალა. აგვისტოში ხელმოწერილი ეროვნული თანხმობის უნივერსალური პაქტის შედეგად შექმნილი კოალიციის დაშლას კი "ნაშა უკრაინას" კვოტით დანიშნული მინისტრების თანამდებობიდან გადადგომა მოჰყვა. მინისტრების გადადგომის მიზანშეწონილობაზე უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ ჯერ კიდევ მაღალჩინოსნების მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებამდე ისაუბრა.

თანამდებობა დატოვეს იუსტიციის მინისტრმა რომან ზვარიჩმა, ახალგაზრდობისა და სპორტის საკითხების უწყების მეთაურმა იური პავლენკომ, ჯანდაცვის მინისტრმა იური პოლიაჩენკომ და კულტურის უწყების ხელმძღვანელმა იგორ ლიხოვმა. პოსტები შეინარჩუნეს "ნაშა უკრაინას" კვოტით დანიშნულმა სხვა მაღალჩინოსნებმა - თავდაცვის მინისტრმა ანატოლი გრიცენკომ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ტარასიუკმა, იმ პირობით, რომ ისინი არ გადავლენ ოპოზიციაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში სულ არ იყო

*ენციკლოპედიის მონაცემებით ჩვენ გვქონია: სხვადასხვა დასახელების მინერალური წყლები, ნავთობი, ნახშირი, ტორფი, რკინა, მანგანუმი, სპილენძი, ტყვია, თუთია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, ბარიტი, ანდეზიტი, ბენტონიტური თიხა, აქატი, კვარც-მინდვრისშპატიანი ქვიშები, შესამოსი მასალები... ამ ჩამონათვალიდან საქმეში ჩაუხედავი კაცი დაასკვნის, რომ ეს ქვეყანა წიაღისეულით მდიდარი თუ არაა, ღარიბიც არ ეთქმის. თუ რომელიმე უცხოურ ატლასსაც გადაავლებთ თვალს (სამწუხაროდ, საქართველოში ბოლო დროს გამოცემული ატლასი ვერა და ვერ მოვიძიე), იმასაც ადვილად შენიშნავთ, რომ ქვეყნებს, სადაც საქართველოს მოქალაქეები დიდი სიამოვნებით დასახლდებოდნენ, ამის ნახევარიც არა აქვთ. ამისდა მიუხედავად, დღეს თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ ჩვენ პოტენციურადაც ღარიბი სახელმწიფო ვართ და ცალი თვალი მუდამ სხვისკენ უნდა გვეჭიროს.*

სოფიო თოდუა

### ცუდად დავიწყებული ძველი

რუსეთთან გართულებული ურთიერთობების ფონზე ქართულ საინფორმაციო სივრცეში ასეთი სიტყვები გაისმა: შესაძლოა, საქართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყოს. ეს განცხადება ჩვენი ერთმორწმუნე პარტნიორის და მეზობლის გასაგონად რომ ითქვა, ცხადია. იმ ქვეყნებში, სადაც მეზობლების აგრესია აღარც ახსოვთ, ატომური სადგურები მხოლოდ ენერგიის მძლავრი წყაროა. რაც შეეხება საქართველოს, თუ ამ ტიპის პროექტი მართლაც განხორციელდა, ის ჩვენთვის ხელშეუხებლობის გარანტი უფრო იქნება, ვიდრე ელექტროფიკაცია პლუს საამური ცხოვრება. ასეა თუ ისე, რაღაც გეგმა, როგორც ჩანს, მართლაც არსებობს და ჩვენც, ძალაუნებურად, გასული საუკუნის 80-იანი წლების გახსენება მოგვიწევს.

ოთხმოციან წლებში კი საქართველოში ეროვნული მოძრაობა დაიწყო - რუსეთიდან გამოყოფა გვინდოდა. სწორედ იმიტომ, რომ ეკონომიკური გათვლებით თავი არავის შეუწუხებია, იმ პროექტების შეჩერებას ვითხოვდით, რაც ჩვენი გადმოსახედიდან ერთი პატარა რესპუბლიკისთვის ეკოლოგიური თვალსაზრისით მეტად საშიში იყო. უპირველესად ეს ხუდონჰესის მშენებლობას შეეხო. მაშინ ცოტამ თუ იცოდა, რომ დაახლოებით იმავე წლებში საქართველოში ატომური ელექტროსადგურის აშენებასაც აპირებდნენ. იდეა, ბუნებრივია, მოსკოვში დამუშავდა და ადგილიც შეირჩა - გალის რაიონი.

გაგრძელება A3 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 20/10 | 21/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 20 |
| ბათუმი | 25 | 22 |
| სოხუმი | 23 | 23 |
| ქუთაისი | 25 | 23 |
| გორი | 17 | 16 |
| ონი | 15 | 16 |
| ზუგდიდი | 26 | 23 |
| ახმეტა | 18 | 19 |
| სამტრედია | 25 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7435 |
| ევრო | 2.1895 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2445 |
| რუბლი | 0.0647 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| რევიუ | A 8 |

# ოპოზიცია დავით გარეჯის დასაცავად "აღდგა"

*მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ მიტანილი "იერიშის" შესახებ ოპოზიციამ უმალ აიტაცა. საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე წარსულთან პარალელები გაავლო.*

გიორგი ასანიშვილი

**"რამდენიმე წლის წინათ დავით გარეჯს რუსი სამხედროები ანადგურებდნენ და მაშინდელმა ხელისუფლებამ ეს საკითხი ოპოზიციის აქტიური ზეწოლის შედეგად მოაგვარა. დღეს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე უკვე აზერბაიჯანელი სამხედროები დგანან. მათ ზემოთ აინაცვლეს და უდაბნოს ყველა მონასტრის ტერიტორია დაიკავეს, რაც საქართველოს ისტორიაში არასდროს მომხდარა,"** - აღშფოთებულია ოპოზიციონერი პარლამენტარი.

ზვიად ძიძიგური ირწმუნება, რომ მის მიერ ჩატარებული მოკვლევის თანახმად, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ასეთი განკარგულება თავისი ქვეყნის მაღალი პოლიტიკური ეშელონებიდან მიიღეს და საერთოდ, აზერბაიჯანის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ამ საქმეში მთლიანად არის ჩართული.

"დემოკრატიული ფრონტის" ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ შექმნილ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლების საპასუხო ქმედებები ბუნდოვანი და გაურკვეველია. დეპუტატი მოუწოდებს ქვეყნის პრეზიდენტს, მთავრობას და შესაბამის სამინისტროებს, აგრეთვე ანალოგიური საპარლამენტო კომიტეტების წარმომადგენლებს, სასწრაფო წესით შეუდგნენ საკითხის მოგვარებას. ზვიად ძიძიგურს ასევე აუცილებლად მიაჩნია, რომ საზოგადოებამაც მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს, რადგან ამ შემთხვევაში გაიზრდება პრობლემის საქართველოსთვის დადებითად მოგვარების ალბათობა.

**"ჩვენი წარსულისა და კულტურის ძეგლებისადმი აგდებული დამოკიდებულება ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს",** - აცხადებს ზვიად ძიძიგური.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ არის დასრულებული საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის იმ მონაკვეთის დელიმიტაცია, სადაც აზერბაიჯანელი სამხედროები უკვე თავისუფლად გადაადგილდებიან.

**"ნურავინ ისე ნუ გააკეთებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს დავით გარეჯი ალბანური კულტურის ნაწილად გამოგვიცხადონ. ის არის ქართული კულტურის ძეგლი და არავის მივცემთ უფლებას, რომ ჩვენი ღირსება აბუჩად აიგდოს. ბერთუბანი უკვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, მაგრამ ამაზე კამათი უკვე მას შემდეგ აღარ შეიძლება, რაც სერგო ორჯონიკიძემ 1928 წელს საზღვრები გადაწია-გადმოწია. ახლა უკვე ძირითად კომპლექსზეც გადმოვიდნენ და თუ ისიც წაიღეს, არ ვიცი, რაღა დაგვრჩება"**, - შეშფოთებულია ზვიად ძიძიგური.

"24 საათის" კითხვაზე, თუ როგორ წარმოუდგენია პრობლემის მოგვარება, ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე პასუხობს: **"ორივე ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელები უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რომ დავით გარეჯი არის ქართული კულტურის ძეგლი, რომელიც ოდითგანვე საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობდა და ამიტომ, საზღვრის ხაზმა ის ჩვენი ქვეყნის ფარგლებში უნდა მოაქციოს. ვიდრე საზღვრის დელიმიტაციის პროცესი მიმდინარეობს და არ უთქვამთ, ეს აზერბაიჯანის მიწა-წყალიაო, აქტიურობა მანამდე არის საჭირო. სამწუხაროდ, აქტიურობას ჯერჯერობით მხოლოდ აზერბაიჯანის მხარე იჩენს, რომელიც მოლაპარაკებების დამთავრებამდე, ნელ-ნელა აქეთ სწევს სახელმწიფო საზღვარს".**

ზვიად ძიძიგური დღეს დავით გარეჯში ჩასვლას აპირებს და როგორც თავად აცხადებს, ეცდება, რომ თან "ცნობადი პოლიტიკური ფიგურები" იახლოს, რათა პრობლემის დადებითად მოგვარება დაჩქარდეს.

# იტალიასა და საქართველოს შორის ურთიერთობები ღრმავდება

## ევროპა სამხრეთ კავკასიაში საკუთარ ადგილს ეძებს

ნათია მსხილაძე

*საქართველოში სამუშაო ვიზიტით იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ფამიანო კრუჩანელი ჩამოვიდა. გუშინ იგი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს გიორგი ბარამიძეს შეხვდა. იტალიელმა დიპლომატმა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებისას, არსებული კონფლიქტებისა და საქართველოში იტალიური ინვესტიციების მოზიდვის საკითხები განიხილა.*



*"კავკასიის და ბალკანეთის პრობლემები ევროკავშირის პრობლემაა" , - აცხადებს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.*

იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ფამიანო კრუჩანელმა პირველი განცხადებები, საგარეო საქმეთა სამინისტროში დახურული შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

იტალიელი დიპლომატის განცხადებით, კავკასიაში არსებული კონფლიქტების დასარეგულირებლად ევროპამ განსაკუთრებული როლი და მისია უნდა იკისროს. **"ევროკავშირმა და, ზოგადად ევროპულმა ქვეყნებმა, კავკასიაში არსებული "გაყინული კონფლიქტების" დარეგულირებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ. კერძოდ, ევროკავშირი კონფლიქტების დასარეგულირებლად გამოსავლის ძიების პროცესში, მთავარი მოქმედი პირი უნდა იყოს. ასევე, ევროპა უნდა დაკავდეს იმით, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტი პოლიტიკურად გადაწყდეს. კავკასიის და ბალკანეთის პრობლემები ევროკავშირის პრობლემაა"** , - აცხადებს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ფამიანო კრუჩანელის მტკიცებით, "ახალმა დემოკრატიებმა" თავი უნდა გაიმტკიცონ, რადგან ეს პროცესი, შესაძლოა ქვეყნებისთვის დიდი შანსი აღმოჩნდეს. თუმცა, დიდი რისკიც არსებობს ამ პროცესში, რადგან კავკასიაში არსებულმა კონფლიქტებმა შესაძლოა მთელს ევროპაში სახიფათო ფაზა გახსნან.

სამხრეთ კავკასიის რეგიონს ფამიანო კრუაჩელი ორი დღის წინ სწორედ კავკასიაში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საკითხების განსახილველად ეწვია. იტალიელი დიპლომატი სომხეთშიც იმყოფებოდა, ხოლო დღეს ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან შეხვედრისას ისაუბრებს.

როგორც გელა ბეჟუაშვილმა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მხარეებმა ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს. **"საქართველო მზად არის იტალიური ბიზნესის ინტერესების გასათვალისწინებლად. ქვეყანა მიესალმება იტალიური ინვესტიციების მოზიდვას"**, - აღნიშნა ბეჟუაშვილმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ, კომენტარი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისისა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის შეხვედრაზეც გაკეთდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, გელა ბეჟუაშვილი იმედოვნებს, რომ ვლადიმირ პუტინისა და კონდოლიზა რაისის შეხვედრისას, საუბარი საქართველოს შესახებაც იქნება. **"აშშ საქართველოს პარტნიორია ისევე, როგორც საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. სწორედ ამიტომ მოსალოდნელია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული მწვავე ურთიერთობა პუტინსა და რაისს შორის საუბრის საგანი გახდეს,"** - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

## მოკლედ

### ოპოზიცია და მთავრობა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციას და მთავრობას შორის ყველაზე მწვავე დაპირისპირება საპენსიო საკითხმა გამოიწვია. დემოკრატიული ფრონტის განცხადებით, მთავრობა ცრუ დაპირებებით საზოგადოებას ისევ ატყუებს. როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ, ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, მომავალი წლის საპენსიო ფონდი წლევანდელთან შედარებით მხოლოდ 73 მილიონით არის მეტი. "ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ თანხიდან 50 მილიონზე მეტი მხოლოდ იმ განსხვავების დასაფარავად არის საჭირო, რაც 28 ლარიანი პენსიის 38 ლარამდე გაზრდისთვის არის საჭირო", - აცხადებს ძიძიგური.

ოპოზიცია ხელისუფლებას სთხოვდა დაეკონკრეტებინა ზუსტად რომელი თვიდან დაიწყებოდა პენსიების სტაჟისა და დამსახურების მიხედვით გაცემა და ეს დანამატი სტაჟის მიხედვით ზუსტად როგორ გადანაწილდებოდა. თუმცა ხელისუფლებას ამის შესახებ კონკრეტული პასუხი არ გააჩნია. როგორც ფინანსთა მინისტრი აცხადებს, 2007 წლიდან პენსიების სტაჟისა და დამსახურების მიხედვით დანამატის გაცემა აუცილებლად მოხდება, მაგრამ კონკრეტულად რომელი თვიდან და რა სქემით ჯერ ამაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მასშტაბური სამხედრო წვრთნები აფხაზეთში

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება გუდაუთის სამხედრო პოლიგონზე მაშტაბურ წვრთნებს ატარებს. სოხუმიდან გავრცელებული ინფორმაციით, სწავლებებში დე ფაქტო ხელისუფლებას დაქვემდებარებული ყველა სამხედრო დანაყოფი მონაწილეობს. წყაროს ცნობით, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გამოიყვანა ათასამდე რეზერვისტი, ხუთასი სამხედრო მოსამსახურე და წვევამდელები. წვრთნები გუშინ დაიწყო და ერთ კვირას გაგრძელდება. სწავლებების დროს გამოყენებული იქნება მძიმე ტექნიკა, ავიაცია და საზღვაო ფლოტი. წვრთნების დაწყებას ადასტურებს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელი ასტამურ ტანია, თუმცა, აცხადებს, რომ სწავლებები ფართომასშტაბიანი არ არის. "ეს არის ჩვეულებრივი, გეგმიური წვრთნა, რომელსაც ჩვენ ხშირად გავდივართ ხოლმე," - აღნიშნა ტანიამ. **ინტერპრესნიუსი**

# დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში სულ არ იყო

პირველი გვერდიდან

მაგრამ მას შემდეგ, რაც გეოლოგებმა უარყოფითი დასკვნა დაწერეს და ეს რეგიონი სეისმურად საშიშ ზონად ჩათვალეს, გადაწყდა, რომ ატომური სადგური თეთრიწყაროს მიდამოებში, აზერბაიჯანის საზღვართან აშენებულიყო. აშენდებოდა კიდეც, რომ არა აზერბაიჯანელების პროტესტი, თუმცა მათი წინააღმდეგობა ეკოლოგიური საფრთხით არ ყოფილა განპირობებული. ეს ჩვეულებრივი კონკურენცია იყო - რომელი რესპუბლიკის აქტივში ჩაიწერებოდა ამ მასშტაბის მშენებლობა და რომელი ქვეყნის პარტიული ელიტა მოითბობდა ხელს მშენებლობისთვის გამოყოფილი მილიონებით. საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ორი რესპუბლიკის ჭიდილით მესამემ ისარგებლა და საბოლოოდ სომხეთი განათდა. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ არათუ ატომური სადგურის, არამედ ნებისმიერი მშენებლობა სეისმურად აქტიურ ზონებში საკმაოდ ძვირი ჯდება. ამიტომ იმ წლებში სეისმური მაჩვენებელი ხელოვნურად იყო დაწეული დაბლა და საბჭოთა კავშირსაც "გრანდიოზული" პროექტების მხრივ მსიფლიოში საპატიო პირველი ადგილი ეკავა.

რა მოხდება დღეს, თუ მართლა გადაწყდება ატომური სადგურის აშენება? ტრადიციულად, აზრი ორად გაიყოფა. მოწინააღმდეგები იტყვიან, რომ მთელი საქართველო სეისმურად აქტიური ზონაა და ამ ტიპის მშენებლობები სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული. მომხრეები კი ოპონენტებს შეახსენებენ, რომ იაპონიაც არანაკლებ საშიში ზონაა ამ თვალსაზრისით, რომ არაფერი ვთქვათ კალიფორნიაზე, თუმცა ერთიც და მეორეც სწორედ ატომური ენერგიის ხარჯზე არსებობს, თანაც ჩვენზე ბევრად უკეთ. ისიც გაახსენდებათ, რომ ჩვენს მდინარეებზე მცირე ჰესების აშენება ქვეყანას ელექტროენერგიის პრობლემას მოუხსნის; რომ ეს პრაქტიკა ევროპის ბევრ ქვეყანაშია დანერგილი; რომ ჩვენს ქვეყანაში ჰიდრორესუსების მხოლოდ 5 პროცენტია ათვისებული; რომ მიკროჰესების მშენებლობა გაცილებით იაფი ჯდება და ასე შემდეგ. ამ კითხვებზე პასუხებიც აუცილებლად მოიძებნება, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ცხადია: მასშტაბური მშენებლობის დაწყებას წინ მოკვლევითი სამუშაოები უძღვის, ამ სამუშაოებში კი გადამწყვეტი სიტყვა, სხვებთან ერთად, გეოლოგებსაც ეთქმით.

### რეფორმა რეფორმისთვის

საბჭოთა საქართველოში გეოლოგიის დეპარტამენტი 12 000 გეოლოგს აერთიანებდა. ერთ სტრუქტურაში მოყრილი ამდენი გეოლოგი რომ ანომალიაა, ეს ფაქტია, საკითხავია, თორმეტკაციანი გეოლოგიის სამსახური თუ შეძლებს საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური სამსახურის გაწევას? სანამ ამ საკითხზე ვიმსჯელებთ, ალბათ ისიც უნდა ითქვას, საერთოდაც რაში სჭირდება ქვეყანას გეოლოგები. წიაღისეული სიმდიდრით საქართველო, რა თქმა უნდა, რუსეთივით მდიდარი არ არის, მთელ მსოფლიოს თავისი პირობები რომ წაუყენოს, უფრო კი - მთელი პლანეტა აშანტაჟოს. მაგრამ საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია მის ტერიტორიაზე არსებული სიმდიდრით იხეიროს, თუ, რასაკვირველია, ამის პოლიტიკური ნება იქნება. პოლიტიკა შემთხვევით არ მიხსენებია და ჩემი მოსაზრების გასამყარებლად კონსტიტუციის ერთ მუხლს მოვიშველიებ: **"მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ... ს) კანონმდებლობა მიწის, წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ"** (თავი I, მუხლი 3).

შევთანხმდით, რომ ყველა რესურსი, რაც მიწის ქვემოთაა თუ ზემოთ, სახელმწიფოს ეკუთვნის, მაგრამ იმაზე არ შევთანხმებულვართ, რამდენად ჭკვიანურად განკარგავს ამ რესურსებს სახელმწიფო. არსებობს აზრი (ამ მოსაზრების ავტორები კომპეტენტური გეოლოგები არიან), რომ ჩვენ დათვლილი მარაგებით 90 მილიარდის სიმდიდრეს ვფლობთ. სხვა, არანაკლებ ცნობილ გეოლოგებს ეს ციფრი გადაჭარბებულად ეჩვენებათ. რა ოდენობის სიმდიდრეზეა ზუსტად ლაპარაკი, ეს დანამდვილებით არავინ იცის. იმიტომ არა, რომ წიაღისეული სიმდიდრის ზუსტად განსაზღვრა ძვირი სიამოვნებაა, უფრო იმოტომ, რომ 20, 30, ზოგჯერ 50 წლის წინათ ჩატარებული კვლევები, თანაც საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში, დასაზუსტებელი და გადასამოწმებელია. ამ სფეროში კი, ისევე როგორც სხვაგან, რეფორმა მიმდინარეობს, ასე რომ, ვინ დათვლის, ვინ გადაამოწმებს და ვინ შეაფასებს, ეს კითხვა ჯერჯერობით პასუხგაუცემელი რჩება.

უმთავრესი პრობლემა სწორი პოლიტიკის შემუშავებაა, უფრო სწორად, ამ პოლიტიკის არარსებობაა. ერთ დროს მძლავრი გეოლოგიის დეპარტამენტი, მასში შემავალი უამრავი სტრუქტურით, გეოლოგიის სამსახურად გადაკეთდა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. სტრუქტურული რეორგანიზაციის ფონზე ამ სამსახურის უფროსი სრულიად სამართლიანად აქეთ გვისვამს შეკითხვას: თუ გეოლოგიის სამსახურს პირობებს არ შეუქმნიან და სპეციალისტების აზრს არ გაითვალისწინებენ, საერთოდაც რა აზრი აქვს ამ სამსახურის არსებობას? სპეციალისტები კი იმ 12 ათას გეოლოგში უნდა ვიგულოთ, რომელთა დიდი ნაწილი უფუნქციოდ დარჩა. არადა, გეოლოგიის სამსახურმა არა ერთი და ორი პროექტი შესთავაზა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ყოფილ მინისტრებს. მიუხედავად იმისა, რომ უკლებლივ ყველა მინისტრი რეფორმატორობას იჩემებდა, ისინი მაინც იცვლებოდნენ. სამაგიეროდ, არ შეცვლილა სამინისტროს თანამშრომელთა დამოკიდებულება სამინისტროს მიღმა დარჩენილი გეოლოგების მიმართ. იქ ასეთ სიტყვებსაც გაიგონებთ: ჩვენ ყველა ინფორმაციას ვფლობთ, რაც გვჭირდება, ახლა, ვილაც ბებერი გეოლოგები რას იტყვიან, ეს არ გვაინტერესებს (სტილი დაცულია - ს.თ.).

კარგია, როცა თაობათა დაპირისპირება ლიტერატურულ სარბიელზე არ ხდება - ასეთ დროს ხშირად შედევრები იქმნება. სამწუხაროდ, ასაკობრივ დაპირისპირებას გეოლოგიის სფეროში მატერიალური ზარალიც მოჰყვა. პირველი, რასაც სხვადასხვა ინსტანციასა თუ ინსტიტუტს გარეთ დარჩენილი სპეციალისტები სახელმწიფოს საყვედურობენ, ეს ლიცენზირების საკითხია. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ჩემს ეზოში ნავთი ამოხეთქავს, მე აუცილებლად მჭირდება ლიცენზია, ლიცენზიას კი ვერაფრით ვერ ავიღებ სათანადო დასკვნის გარეშე, რისთვისაც მე ფონდებში დაცული დოკუმენტაციის მოძიება მომიწევს. ეს ფონდი (ლაპარაკია სივრცული ინფორმაციის ფონდზე), რომელიც დაახლოებით 30000 ერთეულს შეიცავს, უშუალოდ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფონდში დაცულ დოკუმენტაციას გეოლოგები აღარ ენდობიან და ამა თუ იმ საბადოს მონაცემების დაზუსტებას მოითხოვენ. არ არის გამორიცხული, რომელიმე მათგანი დამეწყრილიყო. ამ შემთხვევაში პოტენციურ მყიდველს მცდარ მონაცემებს მივაწოდებთ. ამას ისიც ემატება, რომ საბჭოთა პერიოდში (განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში) გეოლოგიური სამუშაოებისთვის საჭირო თანხა შეგნებულად იყო გაზრდილი და ზოგჯერ ისეთი ობიექტების შესწავლას ითხოვდნენ, სადაც იმთავითვე იცოდნენ, რომ იქ ვერაფერს ალმოაჩენდნენ. ფონდებთან დაკავშირებით საყვედური მაშინაც გაისმის, როცა საქმე გეოლოგიური რუკების მოძიებაზე მიდგება. წარსულის გადმონაშთია ეს თუ დღევანდელობის სინდრომი, ამის დადგენა, ცხადია, აუცილებელია. მაგრამ როცა ძალიან გეჩქარება და საქმე ამას ითხოვს, ინსტიტუციური ინტრიგების პერიპეტიები ნაკლებად საინტერესოა. არის შემთხვევები, სხვათა შორის, დღეს, როცა სპეციალისტები (სეისმური მონიტორინგის ცენტრის თანამშრომლებს ვგულისხმობ) ფონდში სათანადო მასალის მოსაპოვებლად მიდიან, მაგრამ იქიდან ხელცარიელები ბრუნდებიან. კულუარული ინფორმაციით, აეროპორტის მშენებლებიც იგივე პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ.



*ამ საბადოებიდან მოპოვებული მადანი, გარდა ოქროსი, მრავალ ძვირფას ნივთიერებას შეიცავს, მაგრამ მადნის ფასი, მხოლოდ ოქროს ღირებულებითაა განსაზღვრული.*

### გამონაკლისის სახით

ერთია ლიცენზიის გაცემა და მეორე - ჩატარებული სამუშაოს გაკონტროლება. არადა, ყველა საბადოს დამუშავებას თავისი წესი აქვს და თუ ამ წესებს არ დავიცავთ, ეკოლოგიურ თუ მატერიალურ პრობლემებზეც ნუღარ ვიწუწუნებთ. ეს თითქოს ყველამ იცის და სწორედ იმიტომ, რომ იცის, ჩატარებული სამუშაოები უნდა მოწმდებოდეს კიდეც. ასეც ხდება, მაგრამ ლიცენზიის გამცემიც და მაკონტროლებელიც (გარემოს დაცვის ინსპექცია) ორივე ერთ უწყებას ექვემდებარება და ეს უწყება გარემოს დაცვის სამინისტროა. იქნებ, სხვა დროს ამაზე არც გაგვემახვილებინა ყურადღება, მაგრამ ბოლო დროს მთელი რიგ დარგებში რეფორმა სწორედ იმ ნიშნით ჩატარდა, რომ გამცემი, დამკვეთი და მაკონტროლებელი ერთ სისტემაში იყო თავმოყრილი, რაც, თვის მხრივ, კორუფციის ალბათობას ზრდის. ასე მოხდა სახელმწიფო ექსპერტიზის შემთხვევაში, ასე მოხდა საქსტანდარტის რეორგანიზაციისას. თუ საკითხისადმი ასე მიდგომა მისაღებია სხვა სფეროში, რატომ არის მიუღებელი მაინცდამაინც გარემოს დაცვის სამინისტროსთვის, მით უფრო, რომ წიაღისეული სიმდიდრის არასწორად განკარგვა სოლიდურ მატერიალურ ზარალთანაა დაკავშირებული.

ალბათ გსმენიათ ასკანის თიხის შესახებ. ადრე ქალები ამ თიხით თავს იბანდნენ და მერე მბზინვარე თმას სხვადასხვა ვარცხნილობას უხდენდნენ. მაგრამ ასკანის ბენტონიტური თიხა მხოლოდ ქალების გასალამაზებლად არ მოიპოვება, ის ძვირფასი კერამიკული ნედლეულია და ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში. სწორედ ამ აკსანის ერთ-ერთ საბადოზე რამდენიმე წლის წინ ლიცენზია ქართველმა მოიპოვა, მერე რატომღაც ბერძნებს მიჰყიდა (კანონი ამას არ კრძალავს), ბერძნებმა კი არასწორად დაამუშავეს და საბადოც, ფა-ფუ, დაიმეწყრა. შესაძლოა, ეს უბრალო დაუდევრობაა, მაგრამ მაქვს თუ არა მე, ჟურნალისტს, უფლება, ამ დაუდევრობის მიღმა სერიოზული ეჭვები აღმეძრას? საქმე ისაა, რომ ბენტონიტური თიხის ერთ-ერთი იმპორტიორი სწორედ საბერძნეთია და ჩვენც, როცა ეს თიხა დაგვჭირდება (თუ უკვე არ გვჭირდება), ბერძნებისგან შევიძენთ. გეოლოეგების დასკვნა, როგორ უნდა დამუშავებულიყო ეს საბადო, არსებობს, მაგრამ ამით, როგორც ჩანს, არავინ დაინტერესებულა. იგივე ითქმის არტეზიულ ჭებზეც, რომლებიც სპეციალისტებისაგან დაუკითხავად ითხრება. არადა, სასმელ წყალს ისეთივე სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, როგორც მინერალურ ნედლეულს.

ერთი მავნე ტენდენციაც შეინიშნება: სახელმწიფო უცხოელ ინვესტორებზე მეტად ზრუნავს, ვიდრე საკუთარ თავზე. ოქროზე მოგახსენებთ. ამ კეთილშობილი ლითონის გამოვლინებები აჭარაშიცაა დაფიქსირებული, სვანეთშიც და რაჭაშიც (დაახლოებით 200 ტონა, რაც საქართველოსთვის სავსებით საკმარისია), მაგრამ ჯერჯერობით ოქროს მადნეულის საბადოებიდან იღებენ. 1 ტონა მადნიდან დაახლოებით 2-3 გრამი ოქრო მოიპოვება, მაგრამ იმავე 1 ტონა მადანში სხვა ქიმიური ელემენტებიც გვხვდება - სხვათა შორის, ასევე ძვირადღირებული (ვერცხლი, ტელური, სელენი, კადმიუმი, გოგირდი...). ეს გეოლოგებმაც იციან და იცის სახელმწიფომაც. ამისდა მიუხედავად, იმ ერთი ტონა მადნის გასაყიდი ფასი მხოლოდ მასში არსებული ოქროს შემცველობაზეა გათვლილი. დღეს ჩვენს სახელმწიფოს ოქროს დამოუკიდებლად წარმოება არ შეუძლია, ამიტომ ინვესტორის შემოყვანა ამ ეტაპზე აუცილებელია. რა იქნება ხვალ? ჩვენ, რასაკვირველია, ალარაფერს გადაგვიხდიან, ისინი კი ერთდროულად ორ (შესაძლოა რამდენიმე) კურდღელს დაიჭერენ. იმ კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშების საქმეც დაახლოებით ასეა - როგორც სამშენებლო მასალას, ისე იყენებენ, შესაბამისად, მათ დასამუშავებლად გაცემული ლიცენზიების მოპოვება დიდ თანხებთან არაა დაკავშირებული. მაგრამ ამ ქვიშებიდან ასევე მიიღება როგორც ფერადი, ისე თეთრი მინა, მათი გამოყენების არე კი საკმაოდ ფართოა. ისევ დაუდევრობაზე დაგვწყდეს გული თუ აქაც დავეჭვდეთ და ვიფიქროთ, რომ ვილაცას ამ ტიპის გარიგებები საკუთარი შემოსავლების გასაზრდელად აწყობს და რომ ეს ვილაც აუცილებლად გავლენიანი პერსონაა?

■ ■ ■

მარტო ამ პრობლემების ჩამონათვალი და ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა ბადებს ეჭვს, რომ ჟურნალისტი საქმის არსში ვერ გაერკვა და მკითხველს ვერაფერი კონკრეტული ვერ შესთავაზა. ასეცაა, ოღონდ ეს ჟურნალისტი თავს იმით გაიმართლებს, რომ არ დაიზარა და ინფორმაციის შესაგროვებლად საჭირო ინსტანციებს მიმართა. რაც შეეხება დასკვნებს, მათი გამოტანა იმ უბრალო მიზეზით ჭირს, რომ ჩვენს შემთხვევაში ნებისმიერი ცდომილება რეფორმის პროცესს ბრალდება და რატომღაც არავის უნდა იმის დაჯერება, რომ ეს რეფორმა პროფესიონალების გარეშე ვერ ჩატარდება. არადა, ისევ დაუზუსტებელი ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით წიაღისეული სიმდიდრის მხოლოდ 15 პროცენტია ათვისებული. გვაქვს მარგანეცი? გვაქვს დარიშხანი? გვაქვს სპილენძი?

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# კავკასიის, ევროპისა და რუსეთისთვის სახიფათო დოქტრინა

პირველი გვერდიდან

**"საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა დღეს სომხეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ორი პარტნიორის - რუსეთისა და სომხეთის - დაცილებით საქართველო არაპროგნოზირებადად იქცევა და რისკზე წასასვლელად მზადაა. საქართველო საერთაშორისო საზოგადოების თვალში მუდამ ისეთ რეზოლუციებს უჭერს მხარს, რომლებიც სომხეთისთვის საზიანოა და ამას ისე თავისუფლად აკეთებს, რომ ერთი წუთითაც არ ფიქრდება თავის სამხრეთელ მეზობელზე. ამიტომაც სომხეთის შეშფოთება სრულიად გასაგებია. მას ხომ გართულებული აქვს ურთიერთობა აზერბაიჯანთან და თურქეთთან. თუკი საქართველო ნატო-ში გაწევრიანდება, სომხეთისთვის სამხრეთიდან ნატო წარმოდგენილი იქნება არა საფრანგეთით, არამედ თურქეთით. მოვლენათა ამგვარი განვითარება სომხეთისთვის არა მხოლოდ არასასურველია, არამედ რეალურიცაა, -** აღნიშნა ზატულინმა და დასძინა, **- სომხეთი საქართველოს ხელისუფლების ავანტიურული პოლიტიკის მძევლად არ უნდა იქცეს".**

ფინეთში დაგეგმილი ევროკავშირის არაფორმალური სამიტის წინ კი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე რენე ვან დერ ლინდენმა აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის თვითგამორკვევის სურვილზე კომენტარი გააკეთა. იგი ერთი სახელმწიფოებისგან მეორეთა გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების წინააღმდეგია.

**"თუკი რეფერენდუმი დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად და მოსაპოვებლად ერთადერთი საშუალებაა, მაშინ უკვე ხვალ, ჩვენ გაცილებით მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო გვექნება ევროპაში, ვიდრე დღეს. შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო, რომ რუსეთშიც და ევროსაბჭოს წევრ კიდევ ბევრ ქვეყანაში ამგვარი "დამოუკიდებლობების გამოცხადების რეფერენდუმების" ჩატარების მრავალი მსურველი გამოჩნდება. ხოლო მათ მიერ ჩატარებული რეფერენდუმების შედეგები კი ძალზე საეჭვო იქნება,"** - განაცხადა რენე ვან დერ ლინდენმა. **"დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების გადასაწყვეტია,"** - ხაზგასმით აღნიშნა მან. საქართველომ და რუსეთმა ყველაფერი უნდა გააკეთონ დაძაბულობის დონის შესამცირებლად და დიალოგის რეჟიმს დაუბრუნდნენ.

რუსეთის წინააღმდეგ გაკეთებულ მკაცრ განცხადებებს რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე სერგეი იასტრჟემბსკი გამოეხმაურა. სპეციალურად ამ საკითხებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთი მზად არის საქართველოსთან დაკავშირებით და ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის თემაზე სასაუბროდ და კითხვებზე პასუხის გასაცემად.

**"მართალია, ეს თემები სამიტის დღის წესრიგში შეტანილი არ არის, მაგრამ მათზე, როგორც მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, საუბარი აუცილებლად იქნება. ჩვენ ამ საუბრისთვის მზად ვართ,"** - აღნიშნა იასტრჟემბსკიმ.

ევროკავშირის არაფორმალური სამიტი ფინეთში 20 ოქტომბერს უნდა გაიმართოს. ევროპისა და რუსეთის მომავალ ურთიერთობებს გავლენიანი გაზეთი "კომერსანტი" გამოეხმაურა.

*გავლენიანმა გაზეთმა "იზვესტიამ" გამოაქვეყნა სტატია, სადაც განხილულია 6 მიზეზი, რატომ სჭირდება რუსეთს აფხაზეთი და 6 მიზეზი, რატომ არის საშიში აფხაზეთის რუსეთისთვის მიერთება.*

რატომ სჭირდება რუსეთს აფხაზეთი: პირველი იმიტომ, რომ ტერიტორია არასოდეს არ არის ზედმეტი. თანაც შესაძლოა 100 წლის შემდეგ აფხაზეთი ისეთივე მდიდარი გახდეს, როგორიც დღეს ალიასკა ან იამაიკაა.

2. სოჭი თანდათანობით საერთაშორისო დედაქალაქის სტატუსს იძენს, სადაც ძალიან ხშირად სახელმწიფოების მეთაურთა უმაღლესი დონის შეხვედრები იმართება. ამიტომაც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ურიგო არ იქნებოდა ამ ქალაქიდან საზღვრის კიდევ უფრო დაცილება.

3. რუსეთს იმგვარი საკურორტო ზონები, როგორიც აფხაზეთია - არ გააჩნია. საერთოდაც "თბილ ზღვებში" გასასვლელი რუსეთს მინიმალური დარჩა.

4. რუსეთში არ არის იმგვარი ნაყოფიერი მიწები, სადაც ციტრუსოვანი კულტურა ასეა განვითარებული და თუნდაც კივი იზრდება.

5. რუსეთში არ დარჩა მიწა, სადაც მეღვინეობის განვითარება შეიძლება.

6. რუსეთში პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითშეგნების დეფიციტია. ეს გრძნობა კი ამ ტერიტორიების რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებით გაიზრდება.

ექვსი მიზეზი, რატომ არის საშიში აფხაზეთის მიერთება რუსეთის ფედერაციისათვის: პირველ რიგში, კავკასიაში სტაბილურობის მთავარი ფაქტორი - საქართველოსთან ურთიერთობაა, რომელიც აფხაზეთის დაკარგვას არ შეურიგდება. საჭიროა კი მეზობელთან ჩხუბი?

2. აფხაზეთში უკვე 100 რუს მშვიდობისმყოფელზე მეტი დაიღუპა. ეს რიცხვი კი აუცილებლად გაიზრდება.

3. კონფლიქტი აფხაზეთის გარშემო რუსეთს ამერიკასა და ევროპასთან გაუფუჭებს ურთიერთობას.

4. აფხაზეთის აღორძინება რუსეთის ბიუჯეტს ძალიან ძვირი დაუჯდება. ომის შედეგად მიყენებული ზარალი დაახლოებით 10 მილიარდი დოლარია. აფხაზეთი რუსეთს იმ რესურსებს წაართმევს, რომელიც თავად რუსეთის მოუსავლიანი მიწებისთვისაა აუცილებელი.

5. აფხაზეთში მოსახლეობის ხელში ბევრი იარაღია. ღია საზღვარი კი ხელს შეუწყობს რუსეთში დამნაშავეობის ზრდას.

6. ქართველები რუსეთს საკუთრების შესახებ პრეტენზიებს წარუდგენენ, რუსეთი კი ამაზე პასუხს ვერასოდეს ვერ გასცემს. ეს კი ევროპულ სტრუქტურებში რუსეთის გაერთიანებას შეუშლის ხელს.

იქვეა მითითებული აღნიშნული გაზეთის მიერ ჩატარებული ინტერნეტგამოკითხვის შედეგები, რომელშიც მონაწილეობა 2225-მა რუსეთის მოქალაქემ მიიღო და საკუთარი აზრი დააფიქსირა.

კითხვაზე, თუ რა ბედი უნდა ეწიოს აფხაზეთს, რესპოდენტებმა ასე უპასუხეს:

გამოკითხულთა 14 პროცენტი მიიჩნევს, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში უნდა დარჩეს. 44 პროცენტის აზრით, რუსეთმა მისი დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს. 42 პროცენტი ამბობს, რომ აფხაზეთი რუსეთს უნდა შეუერთდეს.

**"ევროპა, პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების მოგვარებისკენ დნესტრისპირეთის კარიდან შევიდა იგი ამით არ დაკმაყოფილდება. თუ რუსეთი დნესტრისპირეთის პრობლემას რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობების ფონზე მოაგვარებს, ამით მსოფლიოს დაანახებს, რომ მას პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების დარეგულირება შეუძლია. რუსეთს არ ავიწყდება ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების მოსაგვარებლად მან ევროპის ჩარევაზე თანხმობა განაცხადა. იმაზე თანხმობით, რომ ევროპა დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარების გარანტი იქნება, რუსეთს ძალაუნებურად მოუწევს დათანხმება იმაზე, რომ ევროპა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ ყველა კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ჩაერევა. ეს კი ის ტერიტორიებია, რომლებსაც რუსეთი საკუთარ ტერიტორიებად მიიჩნევს და დასავლეთის მიერ მათთან მიახლოების ყველა მცდელობაზე მძაფრად რეაგირებს. როდესაც დღის წესრიგში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი დადგება, ევროპის როლი უკვე ფორმალური აღარ იქნება, რუსეთის როლი კი უბრალო დომინირებას ვერ გაცდება,"** - წერს გაზეთი "კომერსანტი".

*24 საათი*

# ეთნიკური წმენდა სტუდენტობასაც შეეხო

პირველი გვერდიდან

"24 საათის" რედაქციას დაუკავშირდა სტუდენტი, რომელიც იძულებული გახდა საქართველოში გამოქცეულიყო, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების საშუალება არ ეძლევა. რამდენად არიან მზად საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები და განათლების სისტემა შექმნილ ფორსმაჟორულ ვითარებაში ადეკვატური რეაგირებისთვის? - ამ შეკითხვით "24 საათმა" უნივერსიტეტის რექტორს გია ხუბუას მიმართა. რექტორმა განაცხადა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სწავლის გაგრძელების თხოვნით რუსეთიდან დევნილმა რამდენიმე სტუდენტმა უკვე მიმართა. განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, უმაღლეს სასწავლებეში გათვალისწინებულია 10-პროცენტიანი კვოტა უნივერსიტეტში სწავლის მსურველი უცხოეთის მოქალაქეებისთვის. 10-პროცენტიანი კვოტა შევსებულია, ამიტომაც უნივერსიტეტს რუსეთიდან გამოქცეული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელებაზე ჯერჯერობით უარის თქმა უწევს. **"მე მქონდა შეხვედრა მინისტრ ლომაიასთან ამ საკითხზე. იმისათვის, რომ, ვითარებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა შეძლოს ამ სტუდენტების დაკმაყოფილება, საჭიროა წესის შეცვლა. ამ წესს უნივერსიტეტი თავად ვერ დაადგენს, ეს განათლების სამინისტროს პრეროგატივაა. როდის მოხდება გადმოყვანის წესის შეცვლა, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ განათლების სამინისტრო ამ საკითხზე უკვე მუშაობს."**

"24 საათი" განათლების სამინისტროსაც დაუკავშირდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მარიკა გერსამიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: **"განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული წესისი თანახმად, მესამე, მეოთხე და მეხუთე კურსელებისთვის, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, გადმოყვანის პროცედურა ეროვნული გამოცდების გარეშე, საერთო წესის თანახმად ჩაივლის. საერთო წესი გულისხმობს, რომ უმაღლეს სასწავლებელს უნდა ჰქონდეს ვაკანსია სტუდენტებისთვის (ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა თავად განსაზღვრა ყველა ფაკულტეტზე რამდენი სტუდენტი უნდა სწავლობდეს, შესაბამისად სტუდენტებისთვის განსაზრვრულია ადგილების რაოდენობა), მეორე - უმაღლესმა საწავლებლებმა უნდა დაადგინონ, რამდენად შესაბამისია საგნები, რომლებსაც რუსეთის უმაღლესებში სწავლობდნენ, საქართველოს უნივერსიტეტებში სასწავლო საგნებთან. განაცხადები რუსეთიდან დევნილმა სტუდენტებმა უნდა წარადგინონ განათლების სამინისტროში მეორე სემესტრამდე. მეორე სემესტრიდან ისინი დაიწყებენ სწავლას მათ მიერ გაცხადებულ ფაკულტეტებზე. პირველ-მეორე კურსელმა საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები და ამის შემდეგ, მათი ცოდნის შესაბამისად, ისინი სწავლას დაიწყებენ პირველ ან მეორე კურსზე."**

# დაშლილი კოალიცია და გადამდგარი მინისტრები

პირველი გვერდიდან

მართალია, თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცით, თანამდებობიდან შინაგან საქმეთა მინისტრი იური ლუცენკოც მიდიოდა, მაგრამ მოგვიანებით, პრეზიდნეტ იუშჩენკოსთან კონსულტაციების შემდეგ მან განცხადება გააკეთა, რომ მინისტრის პორტფელს შეინარჩუნებდა.

**"ბლოკის ოპოზიციაში გადასვლა ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგია, როდესაც დავრწმუნდით, რომ ანტიკრიზისული კოალიცია ვერ აღმოჩნდა უნივერსალური გამოსავალი, გადაწყვეტილებაც შესაბამისი მივიღეთ"**, - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "ნაშა უკრაინის" ბლოკის ლიდერმა რომან ბესმერტნიმ. ამასთანავე მან ისიც აღნიშნა, რომ მზადაა გადადგეს თუ კი ბლოკი პარტიულ სხდომაზე ანტიკრიზისულ კოალიციასთან დიალოგში დაბრუნების გადაწყვეტილებას მიიღებს.

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის იური პოლიაჩენკოს თქმით, იგი მორალურ პასუხისმგებლობას გრძნობს და ამიტომ მიიღო ეს გადაწყვეტილება მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის "ნაშა უკრაინას" წევრი.

**"რაც შეეხება თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს, პრეზიდენტი იტოვებს კონსტიტუციურ უფლებას მიიღოს გადაწყვეტილება თავად, დანარჩენი მინისტრების დანიშვნა-გათავისუფლება კი ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების პრეროგატივაა"**, - აღნიშნულია პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სავარაუდოდ, ხუთი მინისტრის გადადგომამ რეალური საფრთხე უკრაინის მთავრობის მუშაობას არ უნდა შეუქმნას, მაგრამ იუშენკო-იანუკოვიჩის დაპირისპირებამ საგარეო პოლიტიკური კურსისა და მთელი რიგი სხვა საკითხებისადმი მაინც ძალიან მალე მიიყვანა ეროვნული თანხმობის უნივერსალური პაქტი დასასრულამდე.

**"თავისი განცხადებით სახელმწიფოს მეთაურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი არც ერთი პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ არ იმყოფება და ამიტომ წარმატებით შეუძლია ოპოზიციის უფლებების დაცვა და უმრავლესობასთან თანამშრომლობა"**, - აცხადებენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურში.



*დაპირისპირება გრძელდება - ანტიკრიზისული კოალიცია ვერ აღმოჩნდა უნივერსალური გამოსავალი.*

გადამდგარი მინისტრების განცხადებით, პაქტის უნივერსალურობა მხოლოდ ფურცელზე დაწერილი აღმოჩნდა და პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ არ გადადგა ის აუცილებელი ნაბიჯები, რაც უკრაინას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას უზრუნველყოფდა. ამას ისიც ემატება, რომ ნაკლებსავარაუდოა, ჰელსინკში 27 ოქტომბერს დაგეგმილ უკრაინა-ევროკავშირის სამიტზე ოფიციალურმა კიევმა შიდაპოლიტიკური ვითარების გამო ორმხრივ დოკუმენტზე ხელის მოწერა შეძლოს, რომელიც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას ისახავდა მიზნად.

# საქართველო და საფრანგეთი თანამშრომლობას იწყებენ

16-19 ოქტომბერს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია სტუმრობდა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ორმხრივი თანამშრომლობის კომისიის რიგით მეხუთე ყოველწლიურ შეხვედრაში.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა საჩხერის სამთო მომზადების სკოლა მოინახულეს, სადაც ისინი სასწავლო პროგრამის მიმდინარეობას გაეცნენ, მანამდე კი ფრანგი კოლეგები სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობას შეხვდნენ, რომლის დროსაც მხარეებმა თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. 19 ოქტომბერს სტუმრები საფრანგეთის ელჩის ფილიპ ლეფორის ხელმძღვანელობით, თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მამუკა კუდავამ მიიღო. მხარეებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც 2007 წელს ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს. გუშინვე თავდაცვის სამინისტროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მამუკა კუდავამ განცხადა, რომ მომავალ წელს ფრანგული მხარე საქართველოს სამ ძირითად საკითხში გაუწევს დახმარებს. მათ შორისაა: სამთო მომზადება, ქართველი ოფიცრების სტაჟირება საფრანგეთში და ფრანგული ენის შემსწავლელი კურსების ჩატარების უზრუნველყოფა. საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა კონტრ-ადმირალმა სომონმა აღნიშნა, რომ 2007 წლის თებერვალში, საჩხერის სამთო მომზადების სკოლას ფრანგ ინსტრუქტორთა ახალი ნაკადი ეწვევა, რომლებიც ქართველ ოფიცრებს სამთო მომზადებაში სპეციალურ წვრთნებს ჩაუტარებენ. ამჟამად აღნიშნულ ცენტრში, ფრანგი ინსტრუქტორების დახმარებით, ასოცდაათამდე ქართველი სამხედრო გადის სამთო მომზადების შემსწავლელ კურსს.

ელჩ ლეფორის განცხადებით "დღეს ხელი მოეწერა მნიშვნელოვან დოკუმენტს თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ მომავალ წელს. ჩვენი თანამშრომლობა რამოდენიმე პროექტის განხორციელებას გულისხმობს და ერთ-ერთი მათგანი არის სამთო ქვეითთა მომზადების პროექტი, რომელიც საჩხერეში ხორციელდება და ჩვენ გუშინ ადმირალ სომონთან ერთად მოვინახულეთ. მჯერა რომ ეს ძალიან ღირებული პროექტია საქართველოს ეროვნული თავდაცვისათვის. თქვენი ქვეყნის 70% ხომ ფაქტიურად მთებია. ვიმედოვნებ რომ ჩვენ მომავალშიც შევძლებთ ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების გაწვრთნას სხვა საჯარისო ნაწილებში ".

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ყაზახების 39 პროცენტი ნატო-ში გაწევრიანების მომხრეა

სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა SOCIUM მიმდინარე წლის სექტემბერში ყაზახეთის ისტორიაში ყველაზე დიდი კომპლექსური სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა, სახელწოდებით "ყაზახეთის ეკონომიკურ-სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ადგილობრივი მოსახლეობის აზრით". გამოკითხული იყო 18 წლის ზევით 2 986 რესპოდენტი. შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 44,5 პროცენტი მიიჩნევს, რომ მოსახლეობის შემოსავლები გაიზარდა. ამას არ ეთანხმება გამოკითხულთა 27,5 პროცენტი. კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 28,0 პროცენტს. ამასთან 83,5 პროცენტი აცხადებს, რომ ყოველდღიური მოხმარების საგნებზე და მომსახურებაზე ფასები გაიზარდა. ამ აზრს არ ეთანხმება 8,1 პროცენტი. 8,5 პროცენტი თავს იკავებს პასუხის გაცემაზე. იმ მოქალაქეთაგან ვინც მიიჩნევს, რომ ფასები გაიზარდა ამ ზრდას ახასიათებენ, როგორც საგრძნობს - 60,5 პროცენტი. უმნიშვნელო ზრდად მიიჩნევს 34 პროცენტი. უჭირს პასუხის გაცემა 5,5 პროცენტს. გამოკითხულთა აზრით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემაა სიღარიბე 51 პროცენტი. დაბალი ხელფასები 45 პროცენტი. უმუშევრობა 43 პროცენტი. ადგილობრივ მეწარმეთათვის მხარდაჭერა 39 პროცენტი. უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულება 37 პროცენტი. ყველაზე აქტუალურ სოციალურ პრობლემას გამოკითხულთა 59,5 პროცენტი სამედიცინო მომსახურების დაბალ ხარისხს ასახელებს. კორუფციას 54,5 პროცენტი მიიჩნევს. დამნაშავეობას 50 პროცენტი და ნაკლებად უზრუნველყოფილ მოქალაქეთა სოციალურ დაცვას 42,3 პროცენტი. ყაზახეთში ეროვნებათაშორის უთანხმოება არ დაადასტურა 45,5 პროცენტმა. ეს საკითხი რომ აქტუალურია დაეთანხმა 30 პროცენტი და პასუხის გაცემა გაუჭირდა 24,5 პროცენტს. ყაზახეთის მოქალაქეები თავიანთი მიგრაციული გეგმების შესახებ ასეთ პასუხს იძლევიან. ქვეყნიდან წასვლა არ სურს 74,5 პროცენტს. ყაზახეთს დატოვებდა 21 პროცენტი. იმ გამოკითხულთაგან ვისაც აქვს სურვილი სამუდამო საცხოვრებლად გადავიდეს სხვა ქვეყნებში 54,5 პროცენტი რუსეთს ასახელებს. 6 პროცენტი უკრაინას. ბელორუსიას 6 პროცენტი. უზბეკეთს 2 პროცენტი. საქართველოს 1,5 პროცენტი. დანარჩენ ქვეყნებს და მათ შორის არიან ის ადამიანებიც, ვისაც პასუხი გაუჭირდა 30,5 პროცენტი. ყაზახეთის გაერთიანებას რუსეთის, ბელორუსიის და უკრაინის ეკონომიკურ სივრცეში ემხრობა გამოკითხულთა 68 პროცენტი და პასუხის გაცემა უჭირს 23,5 პროცენტს, წინააღმდეგია მხოლოდ 8,5 პროცენტი. ევროკავშირში შესვლის მომხრეა 61,5 პროცენტი. წინააღმდეგი 11,5 და პასუხის გაცემა გაუჭირდა 27 პროცენტს. ნატოში გაწევრიანების მომხრეა 39 პროცენტი. წინააღმდეგი 28. პასუხის გაცემა 33 პროცენტს უჭირს. ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის გაღრმავებას ისურვებდა 46,5 პროცენტი. წინააღმდეგია 30,5 ხოლო პასუხის გაცემა 23 პროცენტს უჭირს. ჩინეთთან თანამშრომლობის მომხრეა 50,4 პროცენტი. წინააღმდეგი 24,5 ხოლო პასუხის გაცემა 25 პროცენტს უჭირს. რუსეთთან თანამშრომლობის გაფართოების მომხრეა 82,5 პროცენტი. წინააღმდეგი 7, ხოლო პასუხის გაცემა უჭირს 10,5 პროცენტს. ყაზახეთის პოლიტიკოსებს შორის ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს ნაზარბაევი - 73 პროცენტი. ნაზარბაევა - 54 პროცენტი. ახმეტოვი - 49 პროცენტი. მარჩენკო - 39 პროცენტი. ყულ-მუჰამედი - 29 პროცენტი. ალტინბაევი - 28 პროცენტი. კაჟეგელდინი - 24 პროცენტი. კასიმოვი - 21 პროცენტი. ჟანდოსოვი - 18 და აბიკაევი 16 პროცენტი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

რეგისტრირებული კავშირი "ასოციაცია ატუ" აცხადებს ტენდერს მდინარე ნატანებზე "შეკვეთილის ტერიტორიაზე" ნაპირსამაგრი ნაგებობის შესასრულებლად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| სამუშაოს მოკლე აღწერილობა | სამუშაოს შესრულების ვადა |
|---|---|
| მდინარე ნატანების მარცხენა ნაპირზე, შეკვეთილის ტერიტორიაზე, ნაპირსამაგრი ნაგებობის შესრულება 740 გრძივი მეტრის ოდენობით. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა შეადგენს 40000 კუბ მ-ს. ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის გამოყენებული იქნება ფლეთილი ქვა მოპოვებული გაბრო-დიორიტების საბადოდან, რომელიც მდებარეობს ქობულეთის რაიონში, სოფ. ხალასთან. ფლეთილი ქვის მოპოვება უნდა განხორციელდეს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარებით. მანძილი კარიერიდან ნატანებამდე შეადგენს 35 კმ-ს. მანძილი სოფელ ხალას ცენტრიდან კარიერამდე 2.5 კმ-ია. შესაკეთებელი გზის სიგრძე კარიერამდე შეადგენს 600-800 მეტრს. | სამი თვე |

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 31 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 39 ა, მე-14 სართული, ოთახი №4.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში, უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით:

- ცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა იმის შესახებ, რომ ბიუჯეტის წინაშე პრეტენდენტს არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში პრეტენდენტის მიერ განხორციელებული ანალოგიური (ნაპირსამაგრი) სამუშაოების შესახებ (მოცულობების მითითებით);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სამუშაოების პროცესში მონაწილე სუბკონტრაქტორებს.

კონვერტს უნდა მიეთითოს, რომ ის შეიცავს სატენდერო წინადადებას და მისი გახსნის უფლება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე. საკონტაქტო პირი ზურაბ თევზაძე. ტელ.: 899 22 46 30.

## მოკლედ

### "თანასწორობის ინსტიტუტი" ხელისუფლებას დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს

არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" ხელმძღვანელი ირაკლი კაკაბაძე პარლამენტარებს გიგა ბოკერიას, ნიკა რურუასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ეკა ტყეშელაშვილს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. ირაკლი კაკაბაძის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს გრიფით საერთაშორისო ორგანიზაციებში გაიგზავნა წერილი, რომელშიც "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები ბოროტ ხულიგნებად არიან მოხსენიებულნი. მისივე თქმით, წერილში თავისებურად არის ასახული "თანასწორობის ინსტიტუტის" 29 ივნისის აქცია, რომელიც ტელეკომპანია "202"-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის შალვა რამიშვილის სასამართლო პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა. წერილში, რომელიც 26 სექტემბრით არის დათარიღებული, აღნიშნულია, რომ "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები სასამართლოზე ზემოქმედებას ახდენდნენ და ხელს უშლიდნენ მოსამართლეებს. ირაკლი კაკაბაძის თქმით, უზენაესი სასამართლოს სახელით გაგზავნილ წერილს ხელს აწერენ გიგა ბოკერია, ნიკა რურუა და ეკა ტყეშელაშვილი. "თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენელთა აზრით, აღნიშნული ფაქტი ცხადყოფს, რომ ხელისუფლებას არ სურს, ვინმემ მის დანაშაულზე ისაუბროს. ირაკლი კაკაბაძის თქმით, ისინი მშვიდობიან ბრძოლას გააგრძელებენ. **ინტერპრესნიუსი**

### უზენაესი სასამართლო "თანასწორობის ინსტიტუტს" პასუხობს

არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" მიერ გაკეთებულ განცხადებას საქართველოს უზენაესი სასამართლო გამოეხმაურა.

"მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს უზენაესი სასამართლოსგან მიეწოდათ არასწორი ინფორმაცია სასამართლოს მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლოში წესრიგის დარღვევის აღკვეთას შეეხებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით გვსურს განვმარტოთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზეზი გახდა ამ ორგანიზაციებში შედგენილი და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებისთვის გაგზავნილი ანგარიში, რომელსაც საფუძვლად დაედო მხოლოდ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ცალმხრივი და არაობიექტური ინფორმაცია. ამ საკითხთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიეწოდებინა ობიექტური ინფორმაცია და წარედგინა სასამართლოს პოზიცია, ამ მიზნით მათთვის გაგზავნილ განცხადებას კონკრეტული ფაქტები და კონკრეტული გადაწყვეტილება დაურთო თან.

ვფიქრობთ, რომ მსგავსი ანგარიშების მომზადების დროს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო სასამართლოს პოზიციაც. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დავაფიქსიროთ ჩვენი დამოკიდებულება და სხვებისგანაც მოვითხოვთ პატივი სცენ ინფორმაციის გადამოწმების და ობიექტური ინფორმაციის მოძიების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს", - ასეთია უზენაესი სასამართლოს პოზიცია.

### საქართველოს ეროვნული ბანკი რუსეთის შსს-ს ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს

საქართველოს ეროვნული ბანკი მიზანმიმართულ სიცრუეს უწოდებს, რამდენიმე დღის წინ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ქართველმა კრიმინალებმა ფულის გათეთრების მიზნით, საქართველოში შვიდი მილიარდი აშშ დოლარი გადმოირიცხეს.

ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებს ფულის გათეთრებაში დადანაშაულებულ რუსულ ბანკებთან საქმიანი ურთიერთობა არ გააჩნიათ. მათი ინფორმაციით, შესაძლოა, "ქართულ ბანკებში ე.წ. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ის მოქმედი ბანკები იგულისხმებოდეს, რომლებთანაც რუსეთის საბანკო და საანგარიშსწორებო სტრუქტურებს უკანონო ურთიერთობა აქვთ დამყარებული.

მათივე ინფორმაციით, სწორედ აღნიშნული ბანკები ეწევიან "შავი ფულის" გათეთრებას. ამის თაობაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ არაერთხელ მიმართეს რუსეთის ხელისუფლებას, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, რუსეთის მხრიდან რუსეთის საბანკო სისტემაში არსებული კრიმინალური პროცესების ეთნიკური ნიშნით გაშუქება ანტიქართული ისტერიის ნაწილია.

ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ნიკოლოზ გეგუჩაძის განცხადებით, რუსეთის ბანკების მიერ საქართველოში საეჭვო თანხების გადმორიცხვა მათი სამსახურის მიერ შემჩნეული და აღრიცხული არ ყოფილა. **პრაიმ-ნიუსი**

### არასრულწლოვანი პრობაციონერები პროფესიას ეუფლებიან

იუსტიციის სამინისტროში გაიმართა არასრულწლოვან პრობაციონერთა რესოციალიზაციის პროექტის ახალი ეტაპის პრეზენტაცია, რომელიც მოზარდ არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმებასა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საქმეში პრობაციის დეპარტამენტის მხადაჭერას ითვალისწინებს.

აღნიშნულ პროექტში იუსტიციის სამინისტროს პარტნიორები არიან: "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი", "ციხის საერთაშორისო რეფორმა და ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში

იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძია განცხადებით, იუსტიციის უწყების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს პრობაციის სისტემის განვითარება, განსაკუთრებული ზრუნვის საგანს კი - ქალთა და არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია. მინისტრის განცხადებით, კარგი ურთიერთობები ყალიბდება საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციასთან, რომელთან თანამშრომლობით, მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა დასაქმების კუთხით, უახლოეს მომავალში ერთობლივი პროექტები დაიწყება.

"კონსტიტუციური უფლებათა დაცვის ცენტრის" წარმომადგენლის მამუკა ელიავას განცხადებით, არასრულწლოვან პრობაციონერთა რესოციალიზაციის პროექტის მიზანია, როგორც პრობაციონერთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ისე მათი პროფესებისადმი მისწრაფებების კვლევა და დასაქმება.

მამუკა ელიავას განცხადებით, პროექტში ამჟამად 8 არასრულწლოვანი პრობაციონერი მონაწილეობს, რომელთაც ინტერესი სხვადასხვა პროფესიის მიმართ გამოამჟღავნეს.

პროექტის მიმდინარეობა დადებითად შეაფასეს "ციხის საერთაშორისო რეფორმის წარმომადგენელმა მერი მერფიმ და და საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ხელმძღვანელმა ანრი ნილსენმა. **24 საათი**

# სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი შოუ-ბიზნესში

პირველი გვერდიდან

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელის მოადგილე გაიოზ თალაკვაძე თანამშრომლებსაც და ჟურნალისტებსაც ერთნაირად უმტკიცებდა, რომ ფონდის ფინანსურ ნაწილში არანაირი დარღვევა არ არსებობდა. იგი ასევე უარყოფდა არაოფიციალურ ინფორმაციას - სოფრომაძის მონაწილეობას შოუბიზნესის წარმომადგენელთა ახლახან გახმაურებულ თაღლითობაში.

**"სახელმწიფო თანხების თაღლითურად მითვისების ფაქტთან დაკავშირებით დაკავებულია სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შვიდი თანამშრომელი, მათ შორის - ამავე ფონდის გენერალური დირექტორი ზაზა სოფრომაძეც, რომელიც თანამდებობის პოროტად გამოყენებაშია ბრალდებული,"** - განაცხადეს დღის მეორე ნახევარში გენერალურ პროკურატურაში სამი უწყების წარმომადგენლებმა - გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა და ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელმა დავით კეზერაშვილმა.

**"2005 წლის ბოლოს ეჭვი შევიტანეთ ფონდის ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერებაში. ვინაიდან არ გვქონდა მტკიცებულებები, დახმარებისთვის საქართველოს ფინანსურ პოლიციას მივმართეთ, რომლის თანამშრომლებმაც აღნიშნული დანაშაული დიდი ძალისხმევის შედეგად გახსნეს. ვინაიდან ეს ფონდი განკარგავს ხალხის თანხას, თანამდებობის მიუხედავად, არც ერთი პირი არ იქნება დანდობილი,"** - ასეთია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის ვერდიქტი.

აღმოჩნდა, რომ ფონდის თანამშრომელთა დაკავება შოუ-ბიზნესის წარმომადგენლთა საქმის გაგრძელებაა. როგორც ცნობილია, 22 სექტემბერს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, სახელმწიფო ქონების დაუფლების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. გამოძიების დაწყებას საფუძვლად ოპერატიული ინფორმაცია დაედო, რომლის თანახმად, სხვადასხვა დაწესებულებები, 8 თვის ფეხმძიმე ქალების მონაცემების გამოყენებით, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან დიდი ოდენობით თანხებს ითვისებდნენ. გამოძიების დროს დადგინდა, რომ ინდმეწარმეები "ნიკოლოზ ლომიძე", "თეა გობეჯიშვილი - ვერნისაჟი", "გიორგი ძულიაშვილი", "ოლღა რიჟაკ-რცხილაძე", "მანანა ბურჭულაძე", "მაია იოლჩევა" და შპს "თამარი", ქალთა საკონსულტაციო ცენტრების დახმარებით, საკუთარ ფირმებში 7-8 თვის ორსულ ქალებს არეგისტრირებდნენ და მათ მაღალ ხელფასებს უნიშნავდნენ. სადეკრეტო შვებულებაში გასვლის შემდეგ კი, ფირმების წარმომადგენლები სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან, დეკრეტული შვებულების სახით, ოთხჯერ მეტ თანხას ითვისებდნენ. როგორც გაირკვა, ინდმეწარმეები საკონსულტაციო ცენტრებთან თანამშრომლობდნენ, საიდანაც ექიმ-გინეკოლოგები, ფეხმძიმე ქალებს, ვითომდა სახელმწიფო დახმარების პროგრამის გათვალისწინებით, წინასწარ შერჩეულ ფირმებში მუშაობის დაწყებას სთავაზობდნენ. მოტყუებით, გაურკვეველ დოკუმენტებზე ხელის მოწერის შემდეგ, ფეხმძიმე ქალები მცირე თანხას იღებდნენ, დანარჩენი თანხა კი (ათი ათასობით ლარი) სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან პირდაპირ აღნიშნული ფირმების საბანკო ანგარიშებზე ირიცხებოდა.



გენერალური პროკურორის მოადგილემ დაკავებულები ოფიციალურად დაადანაშაულა.

გამოძიების გაანგარიშებით, დასახელებულმა პირებმა ჩატარებული თაღლითური ოპერაციებით მიითვისეს 570 ათასი ლარი.

ცოტა ხნის წინ, თაღლითობის ბარლადებით დააპატიმრეს მაია იოლჩევა, შპს "თამარის" ხელმძღვანელი თამარ კაპანაძე, გიორგი ძულიაშვილი, მანანა ბურჭულაძე და ექიმ-გინეკოლოგი გიორგი საყვარელიძე. შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები: ნიკოლოზ ლომიძე, თეა გობეჯიშვილი და ოლღა რიჟაკ-რცხილაძე კი 50-50 ათასი ლარის გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა დაკავებისას განაცხადეს, რომ დანაშაულებრივ საქმიანობაში თანამდებობის პირებიც იყვნენ გარეულნი.

დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორი ზაზა სოფრომაძე, ფონდის ოპერატიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ივანე მელიქიშვილი, ფონდის დირექტორის მოადგილე სპარტაკ ბუკია, ამავე ფონდის კონტროლისა და ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი, ფონდის ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელი გია სიორიძე, ფონდის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე კობა ძაძამია და შპს "ვიქტორია-ორიენტის" მენეჯერი დავით ნათიშვილი - ეს ის პირები არიან, რომელებიც გუშინ, გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ ოფიციალურად დაადანაშაულა თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ქრთამის აღებაში.

**"დამტკიცების შემთხვევაში ამ ადამიანებისთვის წარდგენილი ბრალი, საკმაოდ მძიმე ბრალდებას განეკუთვნება და ამიტომ, საგამოძიებო უწყებები მართლმსაჯულებისგან მათთვის, სავარაუდოდ, წინასწარი პატიმრობის შეფარდებას მოითხოვენ,"** - განაცხადა კახა კობერიძემ.

თუმცა საპატიმრო სანქცია არ შეეხება ზაზა სოფრომაძეს, რომელიც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელის თანამდებობაზე 2004 წლიდან მუშაობდა და მის მიმართ სამართალდამცველ ორგანოებს პრეტენზია არ ჰქონიათ - გენერალური პროკურატურა მისთვის გირაოს შეფარდებას მოითხოვს.

**"ამ ადამიანების ბრალის დასადასტურებლად გამოძიებას გააჩნია უტყუარი მტკიცებულებები, როგორც აუდიო, ასევე ვიდეო ჩანაწერების სახით. სხვათა შორის, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით სიორიძემ, ჟორჟოლიანმა და ბუკიამ, პატიმრობაში მყოფი თანამზრახველის, ბურჭულაძის სახელით, ერთ-ერთ ბანკში 150 ათასი ლარი გადაიხადეს. საგამოძიებო ორგანოები თვლიან, რომ ეს ფაქტი კიდევ ერთი მტკიცებულებაა,"** - აღნიშნა გენპროკურორის მოადგილემ, რომელიც არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა მომავალში გაიზარდოს იმ პირთა სია, ვისაც აღნიშნულ დანაშაულში მიუძღვის ბრალი. კახა კობერიძემ მედიას სახელმწიფო თანხების თაღლითურად მითვისების ფაქტთან დაკავშირებული ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერები გადასცა.

აუდიომასალაში სოცდაზღვევის ფონდის კონტროლისა და ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის ლევან ჟორჟოლიანის, ფონდის ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელის გია სიორიძისა და სხვა ეჭვმიტანილების სატელეფონო საუბრების ფრაგმენტებია დაფიქსირებული. ჩანაწერების თანახმად, საუბარია დიდი რაოდენობით თანხის გადახდაზე. აღნიშნულ საუბრებში ნახსენებია სოფრომაძის გვარიც.

"თქვენ რამდენს დებთ? - 150-ს. დარჩა რამდენი - 200-ზე მეტი". "შეიძლება რაღაცა ასი შეიტანონ", "რაღაცა უნდა გააკეთოთ, ზაზამაც, სოფრომაძემაც. სიორიძეს უთხარი. გაინძრეს, რა!" - ნათქვამია ჩანაწერებში.

მიუხედავად უკვე გამოქვეყნებული მტკიცებულებებისა, სოფრომაძის დანაშაულთან კავშირის არ სჯერა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს გიგი წერეთელს.

**"პირადად ვიცნობ სოფრომაძეს და ეჭვი მეპარება, მას ორსულების მდგომარეობით ევაჭრა. სამართალდამცავები ამბობენ, რომ მათ დამამტკიცებელი საბუთები აქვთ. იმედია, გამოძიება სწორი მიმართულებით წავა და სწორ დასკვნებს გამოიტანს. ორსულების საკითხთან დაკავშირებით ქვეყანაში პრობლემები რომ არსებობდა, ეს სოფრომაძემაც იცოდა და საქართველოს ხელისუფლების თითქმის ყველა წარმომადგენელმა",** - განაცხადა გიგი წერეთელმა.

შვილის უდანაშაულობაში დარწმუნებულია ზაზა სოფრომაძის მამა გურამ სოფრომაძეც.

**"არ გამოვრიცხავ, რომ ფონდში რაიმე სახის დარღვევა მართლაც მოხდა, თუმცა, ჩემს შვილს ვიცნობ და ვიცი, რომ იგი დანაშაულში არ ჩაერთვებოდა",** - ამბობს იგი.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის ძმა პაატა სოფრომაძე კი ირწმუნება, რომ მისი ძმა სამართალდამცველებს ფონდში არსებული დარღვევებით დაინტერესებას მთელი წლის განმავლობაში სთხოვდა.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელს თანადგომას უცხადებენ თანამშრომლებიც, რომლებიც მზად არიან, ფონდის ხელმძღვანელის გათავისუფლების სანაცვლოდ, გირაოს თანხა საკუთარი ხელფასიდან გადაიხადონ.

**"ჩვენთვის უცნობია, თუ რა თანხა დაუწესდება ბატონ ზაზა სოფრომაძეს გირაოს სახით, თუმცა ჩვენი კეთილი ნებაა, რომ ხელფასიდან გარკვეული თანხა ნებაყოფლობით ყველა თანამშრომელმა გაიღოს. იგი კარგი პიროვნებაა და ჩვენთვის წარმოუდგენელია ასეთი ბრალდებები. ამიტომ, ყველანაირად მხარში დავუდგებით,"** - აცხადებენ სოფრომაძის თანამშრომლები.

გუშინვე, სამართალდამცველთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, შპს "ვიქტორია-ორიენტის" მენეჯერის დავით ნათიშვილის დაკავების შესახებ, ფირმის თანამშრომლები გამოეხმაურნენ და განმარტეს, რომ სახელმწიფო თანხების თაღლითურად მითვისებაში ბრალდებული შპს "ვიქტორია-ორიენტის" სტრუქტურული განყოფილების "კაფელი და მეტლახის" გამგედ მუშაობს, სადაც კიდევ სამი თანამშრომელია დასაქმებული. შპს-ს მენეჯერი კი კობა ჯანიკაშვილია და არა დავით ნათიშვილი.

**"დავით ნათიშვილს ფირმაში არანაირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ გააჩნდა იმისთვის, რომ მას ფირმის სახელით ვინმესთან გარიგება დაედო, მით უმეტეს - მოქალაქესთან შრომითი ხელშეკრულება გაეფორმებინა. ამიტომ, ჩვენთვის თაღლითობის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ფირმის სახელის გაჟღერება მოულოდენელი იყო,"** - განაცხადა ფირმის იურისტმა.

წინასწარი ინფორმაციით, ზაზა სოფრომაძისა და მისი კოლეგებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით გენპროკურატურა მართლმსაჯულებას დღეს მიმართავს და სასამართლოს გადაწყვეტილებაც დღესვე გახდება ცნობილი. ამ ეტაპზე კი სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შვიდივე მაღალჩინოსანი ფინანსური პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში არიან გადაყვანილი.

*24 საათი*

# დრანდის ციხეში მყოფი ქართველი პატიმარი დახმარებას ითხოვს

საქართველოს ხელისუფლება აფხაზური მხარის მიერ დაკავებული ქართველი პატიმრის (რომელიც ამჟამად დრანდის ციხეში იმყოფება) - ლევან მამასახლისის უფლებების დაცვას საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვს.

იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აშშ-სა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ელჩებს შეხვდა. მინისტრმა დიპლომატებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან მიღებული დავალების შესახებ აუწყა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების აღმოფხვრის საქმეში დახმარება სთხოვა.

საქმე ისაა, რომ 2004 წლის 3 აგვისტოს ლევან და დინარა მამასახლისების წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინაალმდეგ შეიტანეს განაცხადი, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ლევან მამასახლისის უკანონო პატიმრობის საკითხს ეხებოდა. ლევან მამასახლისი აფხაზეთის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააკავეს. მიუხედავად ჯანმრთელობის გაუარესებისა, იგი დღემდე დრანდის ციხეშია დაპატიმრებული.

2006 წლის 29 აგვისტოს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებს მისცა მითითება, რათა, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება და აიძულონ დრანდის ციხის ადმინისტრაცია ლევან მამასახლისს სავალდებულო სამედიცინო მკურნალობა ჩაუტარონ. სასამართლო მოუწოდებს მთავრობებს, საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ საერთაშორისო ორგანიზაციებს, კერძოდ, საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობას, რათა ხელი შეუწყონ ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.

იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე კორკელიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ჯერჯერობით მოკლებულია შესაძლებლობას ამ ტერიტორიაზე განახორციელოს ეფექტური კონტროლი. ამ ვითარების გათვალისწინებით, მან თხოვნით მიმართა შეხვედრის მონაწილეებს, რათა გამოიყენონ საკუთარი გავლენა და დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს მთავრობას ევროპული სასამართლოს სავალდებულო მითითების აღსრულებაში.

*24 საათი*

## განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს "ქართული ბანკის" ლიკვიდატორი აცხადებს საჯარო აუქციონს ბანკის საკუთრებაში არსებულ კომპიუტერულ ტექნიკაზე, საკომუნიკაციო მოწყობილობებზე, საოფისე ავეჯზე და სხვა ძირითად საშუალებებზე.**

**აუქციონი გაიმართება 2006 წლის 27 ოქტომბერს 12 საათზე ქ. თბილისში, დოლიძის ქ. N2, სს "ქართული ბანკის" შენობაში.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 44-24-16, 899- 51-13-82.**

**ლიკვიდატორი**

## განცხადება

**საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 30 აპრილის განკარგულებით შპს "საინვესტიციო-სავაჭრო ბანკს" გაუუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია და დღემდე მიმდინარეობს სალიკვიდაციო პროცესი.**

**სალიკვიდაციო კომისია განმეორებით აცხადებს, რომ იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც აქვთ რაიმე სახის მოთხოვნა შპს "საინვესტიციო-სავაჭრო ბანკის" მიმართ, ვალდებულები არიან 2006 წლის 30 ოქტომბრამდე გამოცხადდენ მისამართზე; ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7, ცეკავშირის შენობა, მე-6 სართული 624 ოთახი.**

**აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თარიღის გასვლის შემდგომ პრეტენზიები აღარ მიიღება.**

**ტელ: 44 24 16**
**ლიკვიდატორი**

## ინფორმაცია

### სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2006 წელს ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული ხარჯებისა და სოციალური დახმარებების გაცემის მომსახურების ხარჯების ფარგლებში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, ტენდერის საშუალებით განხორციელდა 6 სახელმწიფო შესყიდვა, მ.შ. 1 ორეტაპიანი და 5 ერთეტაპიანი ტენდერი.

■ *სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები*

*1. სააგენტოს საჭიროებისათვის ტექნიკისა და საქსელო აღჭურვილობის შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.*

ლოტი 1 - კომპიუტერული ტექნიკა
ლოტი 2. პორტატული კომპიუტერი
ლოტი 3. საბეჭდი მოწყობილობა
ლოტი 4. საქსელო აღჭურვილობა
ლოტი 5. რიზოგრაფი (სახარჯი მასალებით)

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 14 თებერვლის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:

ლოტი 1 - შ.პ.ს. "ესაბი"
ლოტი 2 - შ.პ.ს. "არქ თრეიდი"
ლოტი 3 - შ.პ.ს. "ნექსთ ჯენერეიშენ ტექნოლოჯის"
ლოტი 4 - შ.პ.ს. "გრინნეტი"
ლოტი 5 - შ.პ.ს. "პოლიგრაფი"

*2. სააგენტოს საჭიროებისათვის საწვავის შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.*

ლოტი 1. ბენზინის საწვავი
ლოტი 2. დიზელის საწვავი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 27 თებერვლის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - შ.პ.ს. "კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტი".

*3. სააგენტოს საჭიროებისათვის საკანცელარიო საქონლის შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.*

ლოტი 1 - ქაღალდის შესყიდვა
ლოტი 2 - საქაღალდეების შესყიდვა
ლოტი 3 - საკანცელარიო საქონლის შესყიდვა

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 27 თებერვლის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:

ლოტი 1-2 - შ.პ.ს. "ესაბი".
ლოტი 3 - შ.პ.ს. "ფორმატი".

*4. "სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების" და "სოციალური დახმარების" სახელმწიფო პროგრამების საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის მომზადებისა და განხორციელებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა - ორეტაპიანი ტენდერი.*

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 28 თებერვლის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - შ.პ.ს. სარეკლამო კომპანია "TV+".

*5. "სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების" და "სოციალური დახმარების" სახელმწიფო პროგრამების საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის უზრუნველყოფისათვის პოლიგრაფიული მომსახურების შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.*

ლოტი 1 - ბუკლეტი; ბილბორდი; მოწმობა; ოჯახის დეკლარაცია.
ლოტი 2 - გაზეთი.
ლოტი 3 - სტიკერი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 21 მარტის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - შ.პ.ს. "პოლიგრაფ თბილისი".

■ *სოციალური დახმარებების გაცემის მომსახურების ხარჯები.*

*1. "სოციალური დახმარებების" 2006 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ფულადი სოციალური დახმარებების გაცემის საბანკო მომსახურების შესყიდვა - საერთაშორისო ერთეტაპიანი ტენდერი.*

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 10 აპრილის გაზეთებში: "24 საათი" და "Georgian Times".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - ს/ს "სახალხო ბანკი".

# წაიკითხეთ "სუნამო" და უყურეთ "პარფიუმერს"

პატრიკ ზიუსკინდის ნაწარმოების სურნელი "დიოგენესა" და "ამირანში"

ია ვეკუა



აქ ყველაფერს სუნი ასდის - სიმყრალის, ნელსაცხებლების, სიკვდილისა და სილამაზის. წითური ქალები, ბინძურკისრიანი მამაკაცები და მათი ვნებები ერთ პატარ ფლაკონში ერთიანდებიან და როდესაც ყველა კომპონენტი ერთმანეთში აირევა, ირკვევა, რომ ყველას - წითურებსაც და ბინძურებსაც ერთი სუნი აქვთ...

პატრიკ ზიუსკინდის ყველაზე ცნობილი ნაწარმოების Das Parfum პირველი ქართული თარგმანი (რედაქტორი გია ჭუმბურიძე) ჯერ კიდევ 1998 წელს გაზეთ "ახალი 7 დღის" პირველივე ნომრიდან იბეჭდებოდა. მთარგმნელმა ბესიკ კალანდაძემ თავის ნამუშევარს "ნელსურნელება" უწოდა. სამწუხაროდ, კალანდაძის ნამუშევარმა ვერ მიიღო ერთიანი წიგნის სახე და მისი გაცნობის მსურველებს გაზეთის რვა წლის წინანდელი ნომრების მოპოვება მოუწევს.

სამაგიეროდ შესაშური კომერციული ალღო გამოიჩინა გამომცემლობა "დიოგენემ" და კინოთეატრ "ამირანში" გამართულ ტომ ტიკვერის "პარფიუმერის" მსოფლიო პრემიერაზე ცხელ-ცხელი წიგნები პირდაპირ სტამბიდან მიიტანა.

ამ ნაწარმოების სახელწოდებების ასეთი სიმრავლე ნურც დაგაბნევთ და ნურც შეგაშინებთ. Das Parfum იმდენად სადავო სათაურად იქცა, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირად თარგმნეს. საქართველოში კი ამ მხრივ ყველა რეკორდი მოიხსნა: "ნელსურნელების" ახალ თარგმანს "სუნამო" ჰქვია, ხოლო "ამირანის" აფიშა გვაუწყებს, რომ მის ეკრანზე მომდევნო დღეების განმავლობაში "პარფიუმერს" ნახავთ.

"სუნამოს" ამჯერად ორი მთარგმნელი ჰყავს: ნატალია ნადირაშვილი და ეკა რაისნერი. მათმა დუეტმა შეძლო ისეთივე შედეგის მიღება, როგორიც წლების წინ კალანდაძეს ჰქონდა - ნაწარმოების პირველივე გვერდებიდან იგრძნობთ აყროლებული პარიზის მთელ სურნელებას: დამპალი თევზის, დაუბანელი ხალხისა და მათი ჩამპალი კბილების სუნის ნაზავს.

სუნი ფილმსაც ასდის. ეს რეჟისორ ტომ ტიკვერის აქტივში მორიგ ქულას დებს. ქულების დაგროვება კი გერმანელმა ტიკვერმა "გაიქეცი, ლოლა, გაიქეცის" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ დაიწყო. ახალ ფილმში რეჟისორი კვლავ ინარჩუნებს "ლოლას" მსგავს საკლიპო ესთეტიკას და განწყობას სხარტი მონტაჟითა და მსხვილი პლანებით ქმნის.

"ნელსურნელებაში" ტიკვერი კიდევ ერთ თავის სისუსტეს გვახსენებს და ამაში ზიუსკინდის მიერ შექმნილ პირველწყაროსაც იხმარს - ფრანკა პოტენტეს ლოლას მსგავსად ფილმის თითქმის ყველა პერსონაჟ გოგონას კაშკაშა წითური თმა აქვს. თმის ფერი არ არის ფილმის მხოლოდ ესთეტიკური ნაწილი. ის თითქოს იმ მსხვერპლის სიმბოლოა, რომლის ხარჯზეც ჟან-ბატისტ გრენუი - უნიკალური ყნოსვის მქონე მკვლელი, ყველაზე განსაკუთრებული სურნელის შექმნას ცდილობს.

პარფიუმერული საოცრების შესაქმნელად გრენუის მხოლოდ ცამეტი გოგონას შიშველი სხეული და მკვლელობისკენ მემკვიდრეობით მიღებული უნარი სჭირდება. ამის უნარი კი აქოთებული თევზის გასუფთავებაში გართული დედისგან მიიღო, რომელმაც თევზის ფარდულის ქვეშ გაჩენილი შვილი დაბადების პირველივე წამებიდან სასიკვდილოდ გაიმეტა. თუმცა გრენუი გადარჩა და იცოცხლა მხოლოდ იმისთვის, რომ საკუთარ ყნოსვას აყოლილს ერთ პატარა ფლაკონში სიკვდილი მოეგროვებინა.

ტომ ტიკვერის ფილმი დაახლოებით იმავე რეცეპტითაა მომზადებული, როგორითაც გრენუი თავის საოცნებო სუნამოს ამზადებდა: ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული კინოსცენარი, ჩინებული ვიზუალური ხერხები და ზუსტად შერჩეული სამსახიობო ანსამბლი.

თუმცა დასტინ ჰოფმანისა და ალან რიკმანის დუეტი ტიკვერის ნამუშევარს მხოლოდ ვარსკვლავურ იერს სძენს. განსაკუთრებით საინტერესოა ჰოფმანის როლი. იგი გრენუის მასწავლებლის პარფიუმერ ბალდინის როლს ასრულებს, რომელიც თავისი დამახასიათებელი ცხვირის წყალობით არა მხოლოდ სუნამოებთან დაკავშირებულ ჯადოქრობას სჩადის, არამედ გრენუის უნიკალური ნიჭის გამოცნობასაც ახერხებს.

რაც შეეხება თავად ჟან-ბატისტ გრენუის როლის შემსრულებელს, შეიძლება ითქვას, რომ ტომ ტიკვერმა ისეთივე აღმოჩენა გააკეთა, როგორც თავის დროზე ფრანკა პოტენტეს შემთხვევაში.

ახლაგაზრდა ბრიტანელი ბენ უიშოუ, რომელიც დღემდე სრულიად უცნობი იყო და მშვიდად ელოდა თავის ვარსკვლავურ საათს, აღმოჩნდა, რომ ყველაზე იღბლიანი მსახიობია. მას წილად მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური, საზიზღარი, საძულველი და ბინძური პერსონაჟის განსახიერება ერგო.

პირველი, რითაც უიშოუ ყურადღებას იქცევს, მისი გარეგნობაა. ერთი შეხედვით იგი ფრანკენშტეინის მონსტრსაც მოგაგონებთ, რადგან მისი სახე, სხეული და მიმიკა არაბუნებრივი და ხელოვნური გეგონება. თითქოს სახის ნაკვთები სხვადასხვა ადამიანის ნარჩენებისგან შეუკრეს. მეორე მისი გამოხედვაა - უწყინარი, უემოციო და მკვლელის... და ხელები, თითები, რომლებიც გაშმაგებით მიაქანებენ გრენუის ნესტოებისკენ იმ პირველი მსხვერპლის სურნელს, ორი წუთის წინ უწყინარად რომ ყიდდა ყვითელ ქლიავს...

# შავ-თეთრი კოსტა რიკა და ძველი საქართველო

პროზა და მუსიკა ფოტოებში "ქარვასლიდან"

სოფო კილასონია

*12 ოქტომბერს თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა გერმანელი ფოტოხელოვანის, კლაუს უიკრატის პერსონალური გამოფენა. იმ საღამოს საგამოფენო დარბაზში თავი მოიყარა თითქმის ყველამ, ვისაც არა მხოლოდ ფოტოხელოვნება აინტერესებს, არამედ ყველამ, ვინც თანამედროვე ხელოვნების ესთეტიკას, მის ფერს, გემოს, მრავალფეროვან ფანტაზიათა ლაბირინთებსა და უკიდეგანო წარმოსახვას დაეძებს.*




ლიკა მამაცაშვილმა და მისმა ჯგუფმა ერთგულ დამთვალიერებელს საშემოდგომოდ ნამდვილად ძვირფასი საჩუქარი მიართვეს. კლაუს უიკრატის გამოფენა და მასთან პირადად ჩემი შეხვედრა ერთ-ერთი იმ საგამოფენო მოვლენათაგანია, რომელიც განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო.

ცნობილი ფოტოხელოვანი კლაუს უიკრატი დაიბადა 1959 წელს, გერმანიაში. მოგვიანებით საცხოვრებლად გადავიდა ამერიკაში, სადაც დაიწყო მისი, როგორც ფოტოხელოვანის პროფესიული კარიერა. თანამშრომლობს ისეთ ცნობილ ჟურნალებთან და სარეკლამო სააგენტოებთან, როგორებიცაა: Vogue, Donna, Amica, Harpers Bazaar, Boss, Bogner, Ford, Ungaro, YSL, L'Oreal, Zegna, Caron, Gyvenchy.

1996 წლიდან მუშაობას იწყებს ცნობილ დიზაინერებთან: Ralph Lauren, Polo, Sephora, Izod, Nautic, Hilfiger, Madmoiselle, Self, Van Heusen. ასევე თანამშრომლობს ცნობილ საიუველირო და საათების კომპანიასთან Cartier.

ის, რომ ბატონი უიკრატი რამდენიმე წიგნის ავტორია ("Flowerskin", "Colorado Clouds", "Select Decade", "Mecs Plus Ultra"), თავდაპირველად არ ვიცოდი, თუმცა ხელოვანის პასუხები ჩემს კითხვებზე ამაზე აშკარად მიგვანიშნებდა. სანამ გამოფენის მთავარ გმირს შევხვდებოდი, ხალხმრავლობით განებივრებულ "ქარვასლის" საგამოფენო დარბაზში გამოფენის ავტორსა და ორგანიზატორს, ხელოვნებათმცოდნე ლიკა მამაცაშვილს შევხვდი.

პროექტი რამდენიმე თვის მანძილზე მზადდებოდა. ამ პროექტთან ერთად განვლილი რამდენიმე წელიც რომ მიმოვიხილოთ, არტ-კურატორი ქალბატონი საუკეთესო ქართველ გალერისტადაც შეიძლება ჩავთვალოთ (რა თქმა უნდა, ასეთი ნომინაციები რომ არსებობდეს თბილისში).

**- დღეს ჩვენს ქალაქში გალერეები ნამდვილად ვერ მუშაობენ ისეთი წარმატებით, რაც მათ სიმრავლეს უნდა შეესაბამებოდეს. ნამდვილად არ არის საინტერესო გამოფენები. ცხადია, არც კონკურენციაა. ამ ფონზე რა არის თქვენი აქტიურობის, ენთუზიაზმისა და პროექტების წარმატებულობის მიზეზი?**

- საერთოდ, ძალიან აქტიური ვარ და მიყვარს ეს საქმე. როცა გიყვარს, ყველაფერი გამოგივა. ბოლო ოთხი წლის მანძილზე აქცენტს ვაკეთებთ მაღალი რანგის ხელოვანების მოწვევაზე. მეტი შესაძლებლობაა, სპონსორებიც მოდიან. გარდა ამისა, ურთიერთობის საშუალება გაჩნდა.

**- არაერთი ხელოვანი ამბობს, რომ ვერაფრით ვერ ახერხებენ სპონსორების დაინტერესებას, რომ მათთან ურთიერთობა ძნელია. თქვენ როგორ ახერხებთ?**

- მე მყავს კარგი სპონსორი. ქართველია. საქართველოში არ ცხოვრობს, მაგრამ მუდამ ჩვენს გვერდითაა. როცა საჭიროა, სიამოვნებით ასრულებს ჩვენს სურვილებს. გარდა ამისა, როდესაც ქართული კულტურა გამაქვს გერმანიაში, ბევრად ადვილია სპონსორი საქართველოში იპოვო.

**- ამ ბოლო დროს რამდენჯერ გაიტანეთ ქართული მხატვრობა ქვეყნის საზღვრებს გარეთ და რა გზებს გადიხართ ამ პროექტების განსახორციელებლად?**

- პირადად მე ეს რვაჯერ გავაკეთე, გია გურასპაშვილმა - მეტჯერ. ჩვენ სამნი ერთად ვმუშაობთ - მე, გია გურასპაშვილი, მხატვარი, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობს და რალფ ბლაინი, რომელიც გიამ გამაცნო. მოკლედ, შევქმენით ჯგუფი, რომელმაც ჯერჯერობით ყველა პროექტი წარმატებით განახორციელა. რალფის დახმარებით რამდენიმე გაცვლითი გამოფენა მოვაწყვეთ. სულ ვცდილობდი ის ჯგუფი წამეყვანა გერმანიაში, რომელთანაც 1996 წლიდან ვმუშაობდი. ესენი არიან: მიხეილ გოგრიჭიანი, მიხეილ შენგელია, კოტე სულაბერიძე, თემურ ჯავახიშვილი, ლეილა შელია, უფროსი გია გუგუშვილი, მისი მეუღლე ქეთი მატაბელი, გოგი ლაზარაშვილი და დავით ალექსიძე. უსაზღვროდ ვიყავი გატაცებული თანამედროვე მხატვრობით, მაგრამ 1997 წლიდან ჩემთვის ახალი პერიოდი დაიწყო - ყველაფერი ფოტოგრაფიას დაუკავშირდა. გამოვეცი წიგნი XIX საუკუნის ქართულ ფოტოგრაფიაზე, ალექსანდრე როინაშვილზე...

**- კლაუს უიკრატის არაერთი ფოტო დამთვალიერებლისთვის კარგად არის ცნობილი, თუმცა მათ ავტორს, როგორც ხელოვანს, მაინც არ ვიცნობდით. თუ შეიძლება, ორი სიტყვით შეაფასეთ მისი როლი...**

- უიკრატი დიდი ფოტოგრაფია. ის თანამედროვე ფოტოგრაფიის კლასიკოსად ითვლება. რალფმა რამდენიმე ვარიანტი, რამდენიმე ხელოვანის ჩამოყვანა შემომთავაზა, მაგრამ როცა ვნახე კლაუსის ვებ-გვერდი, მივხვდი, რომ ჩვენი რჩეული ის უნდა ყოფილიყო. აქ ყველა ცნობილი ფოტოა. იგი ქმნის ყველა ცნობილი ფირმის სახეს და დაუვიწყარ სახეებს.

გამოფენის ორგანიზატორებს კლაუს უიკრატისთვის ბევრი არაფერი აუხსნით. უთხრეს, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა, რომ გვყავს უდიდესი მხატვარი - ფიროსმანი და მორჩა. მას უყვარს ძველი ქვეყნები, ძველი ცივილიზაციები და, რაც მთავარია, აინტერესებს ფიროსმანი, მხატვარი, რომლის შესახებაც თეორიულად ბევრი რამ იცოდა და თუნდაც მხოლოდ მისი ნამუშევრების სანახავად ჩამოსვლა ულირდა.

**კლაუს უიკრატი**: "ცხადია, საქართველო არ არის ამერიკა. არც ბევრ სხვა ქვეყანას ჰგავს. მე სწორედ ის მინდოდა, რომ სიახლე მენახა მასში. აქ წარმოვადგინე ფოტოები, რომლებიც უბრალოდ ჩემთვის გადავიღე, და ისინი, რომლებიც დამიკვეთეს. თუმცა ამ უკანასკნელებს შორისაც კი ყოველთვის წარმოვაჩენ იმას, რაც პირადად მომწონს. ყველგან თავისუფალი ვარ. სარეკლამო სახის შექმნაშიც კი მე ვარ მთავარი და ჩემი ჩანაფიქრი."

**- თქვენს ნამუშევრებში დომინირებს პორტრეტი. ნებისმიერ ხელოვანს შეუძლია ახსნას, თუ რატომ აინტერესებს ადამიანური სახე. თქვენ რას ეძებთ, რას ხედავთ ჩვენს სახეებში?**

- ადამიანის სახე ჩემთვის ყველაფერია. ის არის ბუნება, ლანდშაფტი, მოკლედ, ყველაფერი. მე აქაც, ამ წუთასაც ვაფიქსირებ სახეებს და კიდევ ვაფიქსირებ საერთო გარემოს. ფოტოაპარატი მუდამ თან მაქვს. სხვათა შორის, საქართველოში ახალ წლამდე კიდევ ჩამოვალ. ვიმოგზაურებ აქედან შავ ზღვამდე. ვნახოთ, რას გადავიღებ. ფოტოებისთვის თემას არ შევარჩევ. ის თვითონ მოვა.

**- მაინტერესებს, რას წარმოადგენდა თქვენი პირველი ფოტო და როგორი იყო დაკვეთა?**

- ეს იყო ლონდონში. ასისტენტი ვიყავი და მუსიკოსების პორტრეტები გავაკეთე. წარმატება ლონდონში არ დაწყებულა. ის პარიზში მოვიპოვე, როცა ორი ალბომი გავაკეთე. საზოგადოება ძალიან დაინტერესდა.

**- ამ გამოფენას აღმოსავლური მოტივებით გაჯერებული მუსიკა დაადეთ. ხშირად მიმართავთ ხელოვნების სხვა მედიებს? რა როლს ანიჭებთ კონკრეტულად მუსიკას მუშაობის პროცესში, ექსპოზიციის მსვლელობაში?**

- მუსიკის გარეშე არ არსებობს ჩემი არც ერთი ფოტო. სხვადასხვა ჟანრის მუსიკა მიყვარს, არა მხოლოდ აღმოსავლური. მუსიკას მუდამ ვცვლი. გააჩნია, რას ვიღებ და პირიქით, ვიღებ ისე, როგორც მუსიკა მიკარნახებს. ვწერ კიდეც. რამდენიმე წიგნი მაქვს დაწერილი. ალბათ მომავალ წელს განვახორციელებ ჩემს მთავარ ოცნებას - დავწერ ჩემს მთავარ წიგნს. მასში გავაერთიანებ მუსიკას, ფოტოხელოვნებას და მთელ ჩემს ხედვას. გარეკანზე კი დავაწერ: "PSP" (Poem, Song, Photo). დარწმუნებული ვარ, თუ კარგი ყური გაქვს, კარგად ხედავ და კარგადაც გამოხატავ სათქმელს, ეს იმას ნიშნავს, რომ სულიერად ჯანმრთელი ადამიანი ხარ.

**- მარადიული კითხვა ფოტოხელოვანისთვის: შავ-თეთრი თუ ფერადი ფოტო? აქ ორივე გაქვთ წარმოდგენილი.**

- შავ-თეთრი. მასში უფრო კარგად, ცხადად ვლინდება ხელოვანი. ნებისმიერი ადამიანი გარემოს ფერში ხედავს. შავ-თეთრ ხედვაში კი მხოლოდ ხელოვანი ვლინდება, მისი დამოკიდებულება, გრძნობა, ემოცია - ყველაფერი...

გამოფენა ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება. ულამაზეს ფერთა შეხამებისა და სახეთა გამომსახველობის პარალელურად, "ქარვასლაში" კლაუს უიკრატის პირადი ფოტოდღიურებიც გელით. "ჩანაწერები" შავ-თეთრი კოსტა რიკადან, კიდევ ყვავილები და ბოლოს ხელოვანის წვდომა წარსულში - ფოტოები არქეოლოგიური გათხრების შესახებ. მათში ჩანს ყველაფერი, რაც თავად მიამბო და კიდევ ის, რომ სიმეტრიული და მოწესრიგებული სახეების ავტორს მობეზრებული ჰქონია გერმანული სიზუსტე. ამიტომაც სულ პატარა დესტრუქციას ყოფაში ეძებს. ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის წარსულსა და დღევანდელობაში, ნელნელა, კადრსა და კადრს შორის.


**ჩვენ მივდევთ დროს!**

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი**

**გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ**

**ულტრათანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის**

- სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.
- ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.
- უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.
- რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.
- მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.
- ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.
- აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.
- ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.
- კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.
- ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.
- აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.
- წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.
- სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.
- ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
- ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.
- ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.
- შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

**თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8**
**ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42**



UNFPA United Nations Population Fund

**გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) აცხადებს ტენდერს რეანიმობილების შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია აღნიშნილი საქმიანობით დაკავებულ ყველა დაინტერესებულ კომპანიას. სატენდერო პაკეტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2006 წლის 1 დეკემბერი, 10:00 საათი. შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე:**

**http://www.undp.org.ge**



BRITISH COUNCIL

**ბრიტანეთის საბჭო აცხადებს კონკურსს შემდეგ სასწავლო პროგრამებზე ბრიტანეთში 2007-08 სასწავლო წლისათვის:**

1. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და BP-ის დაფინანსებით ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში განათლების მისაღებად. ადგილების საერთო რაოდენობაა 10-დან 14-მდე:
საერთაშორისო ურთიერთობები
ეკონომიკა, საბანკო საქმე, სადაზღვევო საქმე
მენეჯმენტი (სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანდაცვა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი)
ადამიანთა უფლებების დაცვა
სამართალი
მედია
სახელმწიფო მართვა და პოლიტიკა
ტელეკომუნიკაციები
არქიტექტურა, ურბანული დიზაინი და დაგეგმარება

2. ჯონ სმიტის მემორიალური ფონდის პროგრამა პოლიტიკაში, ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოებში, სამოქალაქო საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებში მოღვაწე პროფესიონალებისათვის. პროგრამაში გამარჯვებული 3 სტიპენდიანტი 2007 ივნისში გაივლის ხუთკვირიან პროგრამას დიდ ბრიტანეთში, რომელიც მოიცავს:
ორკვირიან ინტენსიურ სემინარებს
ორკვირიან ინდივიდუალურ სტაჟირებას - კანდიდატის გამოცდილებისა და ინტერესის
შესაბამისად
გაცნობითი ხასიათის ვიზიტებს ბრიტანულ დაწესებულებებში, აგრეთვე სხვადასხვა საქმიან შეხვედრებს ლონდონში

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ ჩვენი ვებ-გვერდი: http://www.britishcouncil.org/ge-education-funding.htm ან მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
ბრიტანეთის საბჭო
რუსთაველის გამზირი N34
თბილისი
ტელ: 25 04 07/ 98 80 14@
ფაქსი: 98 95 91
www.britishcouncil.org/ge

# რუსულ-ქართული სპორტულ-პოლიტიკური დაპირისპირების მესამე რაუნდი

## ფეხბურთი, სამბო - ჯერი ჭადრაკზეა

მიხეილ აბაიშვილი

მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე ჭადრაკში, რომელიც სტარტს ბათუმში 26 ოქტომბერს აიღებს, რუსეთს გუნდი არ ეყოლება. რუსი მოჭადრაკეების მშობლები შიშობენ, რომ საქართველოში ყოფნის დროს მათი შვილების უსაფრთხოება დაცული არ იქნება.

"ჯერ ერთი, 28 სექტემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური რეკომენდაცია, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში გამგზავრებისაგან თავის შეკავებას მოუწოდებს. ამას გარდა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ჩვენს წერილობით მოთხოვნას, იქნებოდა თუ არა ჩვენი ბავშვების უსაფრთხოება გარანტირებული, არ უპასუხა", - ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ალექსანდრ ბახმა. მან ისიც აღნიშნა, რომ რუსეთის ჭადრაკის ფედერაციამ იუნიორი სპორტსმენების მშობლებისგან მიიღო თხოვნის წერილები, სადაც ისინი მოუწოდებენ ფედერაციას, არ დაუშვან მათი შვილების გამგზავრება ბათუმის ტურნირზე.

ფეხბურთში რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრები, მოჭადრაკე იუნიორთაგან განსხვავებით, ჩამოვიდა საქართველოში და იასპარეზა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელიც თბილისსა და ბოლნისში ჩატარდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე რუსეთის საფეხბურთო კავშირმა საქართველოს მთავრობისგან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მიიღო მთელი დელეგაციის უსაფრთხოების გარანტიები. ოფიციალური საგარანტიო წერილი უეფასაც გაეგზავნა.

რუსული მედიის და პოლიტიკური ისტებლიშმენტის აზრით, ყველა ეს ზომა აუცილებელი იყო რუსეთ - საქართველოს გართულებული პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე. იმის გამო, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ყველა სახის სატრანსპორტო მიმოსვლა შეწყვეტილია, ფეხბურთში რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრებს და ოფიციალურ დელეგაციას საქართველოში ჩამოსვლა სტამბოლის გავლით მოუწია. ამის გამო გზას მოსკოვიდან თბილისამდე რუსებმა 30 საათი მოანდომეს.

როგორც უკვე ცნობილია, რუსეთის ნაკრებმა ამ ტურნირზე ორი გამარჯვება მოიპოვა, ერთი შეხვედრა დათმო და შემდგომ ეტაპზე გააღწია. სხვათა შორის, რუსეთის იუნიორთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ალექსანდრ ტალალაევმა საკმაოდ უჩვეულო ობიექტურობა გამოიჩინა და რუსულ მედიასთან საუბარში საქართველოზე კარგის მეტი არაფერი უთქვამს. "ყველა შეხვედრამ თბილ ატმოსფეროში ჩაიარა. გულშემატკივრებიც კი კორექტულად და კეთილგანწყობილად იქცეოდნენ და ამ თვალსაზრისით არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია", - აღნიშნა ტალალაევმა, რომელიც, შეთავსებით ტელეკომენტატორიცაა.

რაც შეეხება რუსეთის იუნიორ მოჭადრაკეთა ნაკრების დემარშს, რუსული მედია აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ვითარება დსთ-ს ქვეყნების სპორტულ ურთიერთობებს უკვე მერამდენედ უქმნის პრობლემას. ასე მაგალითად, ფეხბურთში დსთ-ს ჩემპიონთა ბოლო ტურნირზე, რომელიც ტრადიციულად მოსკოვში იმართება, ნახევარფინალში ერთმანეთს აზერბაიჯანის და სომხეთის ჩემპიონები შეხვდნენ. ერევნის "პიუნიკის" ხელმძღვანელობამ ამ შეხვედრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და "ნეფთჩი" უბრძოლველად აღმოჩნდა ფინალში. ამის გამო "პიუნიკი" დასაჯეს და იგი მომავალ წელს ანალოგიურ ტურნირზე აღარ დაიშვება.

აქვე უნდა გავიხსენოთ მცირე ხნის წინათ მომხდარი კიდევ ერთი სპორტულ-პოლიტიკური შემთხვევა, რომელიც ისევ და ისევ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ეხება. რუსეთის დედაქალაქში რამდენიმე დღის წინათ დასრულდა იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატი სამბოში, რომელიც საქართველოს ნაკრებმა, რუსი ჩინოვნიკების თავნებობის გამო, კინაღამ გამოტოვა. რუსეთის საელჩომ, გართულებული პოლიტიკური ფონის მოტივით, ქართულ დელეგაციაზე ვიზები არ გასცა. ვითარება მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც საქმეში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ბადრი პატარკაციშვილი ჩაერია, რომელმაც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს პროტესტის წერილით მიმართა. რუსების საერთაშორისო სკანდალს მოერიდნენ, და ქართულ დელეგაციას რუსეთში შესვლის ნებართვა მისცეს.

# ლიგის ჯგუფურმა ტურნირმა ეკვატორი გადალახა


ლიგა კიდევ ბევრ საინტერესოს გვპირდება.

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის გათამაშებამ ეკვატორი გადალახა. კიდევ სამ-სამი მატჩი და ფლეიოფებში მონაწილეთა ვინაობაც გაირკვევა. გზის ნახევარი განვლილია და გარკვეულ შედეგებზე საუბარი ალბათ უკვე შეიძლება. მართალია ოფიციალურად შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება არც ერთ გუნდს არ გაუნაღდებია, მაგრამ უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ბაიერნი", "ჩელსი", "მანჩესტერი", "ლიონი" "ვალენსია", ლივერპული"და პსვ შემდეგ ეტაპზე გავიდნენ. რა თქმა უნდა, დიდ გაჭირვებას არც ფლეიოფების მონაწილე დანარჩენი გუნდების დასახელება წარმოადგენს, მაგრამ მოდით ამჟამად შექმნილი სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ვიმსჯელოთ. ახლა კი ვითარებაა ისეთი, რომ თუ ქვეყანა არ გადატრიალდა, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი გუნდები აუცილებლად ითამაშებენ შემდეგ ეტაპზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიგის წლევანდელი გათამაშება ფაქტობრივად ყოველგვარი სენსაციების გარეშე მიმდინარეობს. ალბათ სამწუხაროა, რომ არ გამოჩნდა ისეთი გუნდი, როგორიც ერთი-ორი წლის წინ სლოვაკური "პეტრჟალკა" იყო, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას საკმაოდ საინტერესო ელფერი შესძინა. წლეულს კი სენსაციები საერთოდ არ ხდება. ყველაფერი საკმაოდ მონოტონურად და წინასწარ დაწერილი გეგმით ვითარდება.

მოდით თითოეულ ჯგუფზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. A ჯგუფში ორი ფავორიტი თავიდანვე იყო გამოკვეთილი. "ჩელსი" და "ბარსელონა", წესით, უნდა გავიდნენ შემდეგ ეტაპზე, თუმცა ლონდონელმა არისტოკრატებმა პროგრამა მინიმუმი, ფაქტობრივად, უკვე შეასრულეს, ჩემპიონთა ლიგის მომქმედ გამარჯვებულს კი ფლეიოფებში მოსახვედრად კიდევ დიდი ჯაფა დაადგება. ამჟამად "ბარსას" და ვერდერს" ქულების თანაბარი რაოდენობა აქვთ, არავის ეპარება ეჭვი, რომ მომდევნო ტურში ბრემენელები მორიგ სამ ქულას აიღებენ "ლევსკისთან" დაპირისპირებაში. აი "ბარსელონას" კი "ნოუ კამპზე" "ჩელსისთან" მოუწევს თამაში რა თქმა უნდა, ჟოზე მოურინიო, და მისი შეგირდები ყველოაფერს იღონებენ, რათა ესპანეთშიც აართვან "ბარსას" ქულები და ამ შემთხვევაში ფლეი ოფში გასვლის რეალური შანსი უკვე "ვერდერს" ექნება. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ევროპის მომქმედმა ჩემპიონმა, ცოტა არ იყოს, იმედები გაგვიცრუა.

B ჯგუფში "ბაიერნი" უპირობო ფავორიტია, აი მილანის "ინტერმა" კი გულშემატკივარი უსიამოვნოდ გააკვირვა, მანჩინის გუნდმა ჩემპიონთა ლიგა საკმაოდ მძიმედ დაიწყო და ჯერჯერობით ჯგუფში მხოლოდ მესამე ადგილს იკავებს. "ინტერის" ასეთი თამაში მით უფრო მოულოდნელია, რომ სეზონის წინ ეს გუნდი საკმაოდ კარგი ფეხბურთელებით გაძლიერდა.

C ჯგუფში კი ყველაფერი დღესავით ნათელია. "ლივერპული" და პსვ ალბათ უპრობლემოდ გავლენ შემდეგ ეტაპზე. მართალია ბენიტესის გუნდი ინგლისის ჩემპიონატში საკმაოდ უფერულ ფეხბურთს აჩვენებს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაზე მერსისაიდელები სწორედ იმ გუნდს წარმოადგეს, რომელსაც არაერთი სერიოზული სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია. კრაუჩის მიერ გატანილი გოლი კი ალბათ ჯერჯერობით ლიგის საუკეთესო გოლად უნდლა მივიჩნიოთ.

D ჯგუფშიც ყველაფერი ისე მიდის, როგორი პროგნოზიც გაკეთდა თავდაპირველად. "ვალენსია" საერთოდ ისეთ ფეხბურთს აჩვენებს, რომ ეს გუნდი ამ ეტაპზე ლიგის მოგების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. "ღამურებმა" მართლაც საუცხოო თამაშით დაგვამახსოვრეს თავი. "რომა" ალბათ ასევე უპრობლემოდ გავა ფლეიოფში, თუმცა სპალეტის გუნდის თამაში მთლად დამაკმაყოფილებელი არ არის.

E ჯგუფის მატჩები ფრანგული "ლიონის" ბენეფისს წააგავს. ჟერარ ულიე მეთოდურად მიიწევს მიზნისკენ. ჯერჯერობით "ლიონი": ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ამ გუნდს სუსტი წერტილი საერთოდ არ აქვს. თავად განსხვავება-8 გატანილი გოლი და არც ერთი მიღებული. ასეთი სტატისტიკა ბევრის მთქმელია. მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურება მადრიდის "რეალი", თუმცა სამეფო კლუბს შემდეგ ეტაპზე გასვლა არ გაუჭირდება და ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ "სტიაუა" და კიევის "დინამო" საკმაოდ სუსტები არიან და წესით, არც ჩემპიონთა ლიგაში არაფერი ესაქმებათ.

F ჯგუფის მატჩები ბრიტანელთა დომინაციით მიდის, "მანჩესტერმა" გვიჩვენა, რომ წელს როგორც ინგლისის ჩემპიონობისთვის, ასევე ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვისაც იბრძოლებს, ფერგიუსონის გუნდმა დაძლია გასულ სეზონში არსებული კრიზისი და ჩვეულ ფეხბურთს გვიჩვენებს. მანკუნიანელებთან ერთად ალბათ შემდეგ ეტაპზე გლაზგოური "სელტიკიც" გავა, სტარჩანმა შოტლანდიური საკლუბო ფეხბურთის აღორძინება ევროპულ დონეზეც მოახერხა.

საოცრად დაძაბულია მდგომარეობა G ჯგუფში, ამ ეტაპზე ნამდვილად რთულია იმ ორი ბედნიერის გამოვლენა, რომლებიც შემდეგ ეტაპზე ითამაშებენ. სასიამოვნოდ გააკვირვა გულშემატკივარი გაზაევის ცსკა-მ, რომელიც სამი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას. "არსენალი" კი მთლად დამაჯერებელ ფეხბურთს ვერ უჩვენებს, ვენგერის გუნდში საკმაოდ ბევრი ცვლილება მოხდა და ცხადია, რომ ფრანგების თავკაცი ახალი გუნდის მშენებლობითაა დაკავებული. აქამდე გამართულმა მატჩებმა გვაჩვენა, რომ "არსენალს" კარგი პერსპექტივა აქვს, მაგრამ საეჭვოა, რომ წლეულს ამ გუნდმა სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლოს. ცხადია, ლონდონელები ჯგუფური ეტაპის ბარიერს გადალახავენ, მეტი კი რა მოგახსენოთ.

დაბოლოს H ჯგუფი: "მილანი" დამაჯერებელ ფეხბურთს აჩვენებს და შემდეგ ეტაპზეც უნდა გავიდეს, ვინ იქნება მეორე, ალბათ "ლილისა" და "ანდერლეხტის" დავაში გაირკვევა.

# ჰილი ათი წლის წინ

*ათი წლის წინათ იყო იაპონიის დიდ პრიზზე "უილიამს-რენოს" ბრიტანელმა მრბოლმა დეიმონ ჰილმა მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი რომ დაიდგა. 1993 წლის 13 ოქტომბერს ჰილმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და ბრიტანეთს სამეფო რბოლათა ჩემპიონობა მოუტანა. ყოფილი ჩემპიონი ამჟამად პრესტიჟული ბრიტანული სარბოლო კლუბის BRDC-ს პრეზიდენტია. ერთი სიტყვით, ფორმულა 1-ის ყოფილ ჩემპიონს 2006 წლის იაპონიის დიდი პრიზის შემდეგ ინტერვიუ ჩამოართვეს. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლოს წინა ეტაპი კი სწორედ "სუძუკას" ტრასაზე შედგა და ის "რენოს" ესპანელი მესაჭის ფერნანდო ალონსოს გამარჯვებით დასრულდა.*


დეიმონ ჰილმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა "სუძუკაზე" ათი წლის წინათ.

**- ათი წლის წინათ მსოფლიოს ჩემპიონი გახდით...**

- რთული წარმოსადგენია. არც კი ვიცი რა ვთქვა, გარდა იმისა, რომ დრო სწრაფად გარბის. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ყველაფერი გუშინ იყო.

**- "რენოსთან" თანამშრომლობით რა მოგონებები გაქვთ?**

- იმ დროსთან მხოლოდ და მხოლოდ თბილი მოგონებები მაქვს. ღირსეულ ადამიანებთან, ნამდვილ პროფესიონალებთან მუშაობის საშუალება მომეცა, იმათთან ვინც ჭეშმარიტად იყო შეყვარებული სპორტზე. მომწონს ის, თუ როგორ უდგება ყოველივეს "რენოს" გუნდი. შარშან ფრანგული საჯინიბო წარმატებული იყო და შესაძლოა, წლეულსაც პირველები იყვნენ.

**- ათი წლის წინათ მსოფლიოს ჩემპიონობა ბოლო რბოლაში მოიპოვეთ. რა რჩევებს მისცემდით ფერნანდო ალონსოს, ბოლო რბოლის (ბრაზილიის დიდი პრიზი) წინ?**

- საკუთარ თავს უფლებას ვერ მივცემდი, თუნდაც რაიმე პატარა დარიგება მიმეცა. ფერნანდომ უკვე დაამტკიცა, რომ პატარა ასაკის მიუხედავად საკმაოდ მომწიფებული მრბოლია. მას შესწევს უნარი შეუცდომლად, მართოს რბოლა. შეუძლია გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგას მაშინ, როდესაც საჭიროა. შეუძლია საკუთარი უპირატესობის გამოყენებაც. დარწმუნებული ვარ, ბრაზილიაშიც შესაბამისად მოიქცევა.

**- ბოლო რბოლის წინ ათქულიანი უპირატესობა რომ გქონოდათ, როგორ მიუდგებოდით საქმეს?**

- მართალი გითხრათ, არაფერს არ შევცვლიდი. ბრაზილიაში გასამარჯვებლად წავიდოდი, ისევე, როგორც სხვა რბოლებზე. გუნდის გამო საკუთარი ტაქტიკის შეცვლა შეცდომათა დაშვების საუკეთესო საშუალებაა.

**- ორი სიტყვით იმაზე, თუ როგორია დღევანდელი ფორმულა 1?**

- კარგია, როდესაც ორი მრბოლის ურთიერთჭიდილს უყურებთ. ამ მხრივ 2006 წელმა გაგვანებივრა. ყოველივეს შევაფასებდი, როგორც შოუს.






ორი სიტყვით

## ვარსკვლავების ამაო გარჯა

| | |
|---|---|
| **დენვერი - ინდიანა** | **114:102** |
| **კლივლენდი - ტორონტო** | **81:103** |
| **ჰიუსტონი - მილუოკი** | **111:97** |
| **დეტროიტი - მინესოტა** | **112:103** |
| **ბოსტონი - ნიუ ჯერსი** | **94:90** |

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ სათამაშო დღეს ხუთი მატჩი გაიმართა. განსაკურთედული არაფერი მომხდარა. ხუთ შეხვედრაში ორი ორმაგი დუბლი დაფიქსირდა. დრიუ გუდენმა "კლივლენდისა" და "ტორონტოს" შეხვედრაში გამოიჩინია თავი, თუმცა მისმა 15 ქულამ და 11-მა მოხსნამ ვერაფრით უშველა "კლივლენდს", რომელმაც საკუთარ მოედანზე დათმო მატჩი "ტორონტოსთან". ვერც კევინ გარნეტის ორმაგმა დუბლმა უშველა "მინესოტას" "დეტროიტთან" დაპირისპირებაში. "მგლების" ვარსკვლავი კი კარგად გაისარჯა და თავის აქტივში 14 ქულა 10 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა, მაგრამ მატჩი მაინც "დეტროიტმა" მოიგო.

## მუქარა

ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა მუქარა, ეგრეთ წოდებული "ბინძური ბომბების" აფეთქების თაობაზე. საუბარია ტერორისტულ აქტზე, რომელიც აშშ-შია დაგეგმილი. ინტერნეტით გავრცელებულ წერილში ნათქვამია, რომ "ბინური" ბომბები აშშ-ს შვიდ ქალაქის სტადიონებზე აფეთქდება, ამერიკული ფეხბურთის მატების მსვლელობისას.

"შეტყობინაბაში ნახსენებია, ნიუ იორკის, ატლანტას, სიეტლის, ჰიუსტონის, ოკლენდისა და კლივლენდის სტადიონები, რომლებზეც ამ უქმეებზე მატებია დაგეგმილი", - განაცხადა ამერიკული პროფესიული საფეხბურთო ლიგის წარმომადგენელმა.რაც შეეხება თავად "ბინძურ "ბობმბეს" ეს გახლავ ასაფკეთქემელი საშუალება, რომლის მოქმედებაში მოყვანის შემდეგ ვრცელდება რადიაქტიული ნივთიერებები.

აშშ-ს სადაზვერვო სამსახურის განცხადებით, მათ შესაძლო ტერაქტების შესახებქ ოპერატიული ინფორმაცია არ გაჩნიათ, თუმცა მატქჩის ორგანიზატორებს მაინც სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.

## ასათიანს მწვრთნელი შეეცვალა

რამდენიმე წარუმატებელი მამტჩის შემდეგ მოსკოვის "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა სლავოლუბ მუსლინმა. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მუსლინის ნაცვლად თანამდებობაზე ოლეგ დოლმატოვი დაინიშნა, რომელსაც დახმარებას ვლადიმირ ეშტრეკოვი გაუწევს.

მუსლინის თანამდებობიდან განთავისუფლება ცოტა არ იყოს მოულოდნელია, რუსეთის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, "ლოკომოტივი" ჩემპიონობისთვის იბრძვის და ამ ვითარებაში მწვრთნელის შეცვლა შესაძლოა გაუმართლებელიც იყოს. როგორც ჩანს მწვრთნელი რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩს ემსხვერპლა, რომელშიც ჩემპიონობისთვის მებრძოლი რკინიგძელები საკმაოდ მოულოდნელად "მოსკვასთან" დამარცხდნენ.

## ბარტეზი "არისტოკრატობას" უმიზნებს

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მეკარე ფაბიენ ბარტეზი შესაძლოა ლონდონის "ჩელსიში" ჩაირიცხოს. ამის თაობაზე ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც პეტრ ჩეხმა საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და ჩეხი მეკარე ალბათ წელიწადნახევარს მაინც ვერ შეძლებს მინდორზე გასვლას.

საინტერესოა, რომ სექტემბერში ბარტეზმა საერთოდ კარიერის დასრულებაზე გააკეთა განცხადებაბ ახლა კი დაბრუნებას აპირებს და თანაც როგორ. იმასაც გეტყვით, რომ ფაბიენს აქვს ბრიტანეთში თამაშის გამოცდილება, იგი "მანჩესტერ იუნაიტედის" კარსაც იცავდა, მაგრამ ფერგიუსონის გუნდში ბარტეზმა ფეხი ვერ მოიკიდა.

## ზიზუს ფეხბურთი არ ენატრება

ზინედინ ზიდანის თქმით, იგი მშვენივრად გრძნობს თავს ფეხბურთის გარეშე და უახლოეს მომავალში დაბრუნებას არ გეგმავს.

"ჯერჯერობით, ფეხბურთის მონატრებას ვერ ვგრძნობ. სეზონის დასაწყისში უჩემო "რეალის" თამაშსაც რომ ვუყურე, ნოსტალგია მაშინაც არ მომძალებია", - განაცხადა ფრანგული "ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ექს-გამთამაშებელმა.

ზიდანმა, რომელმაც სულ ახლახან დაიწყო მუშაობა "კანალ პლუსში", ისიც აღნიშნა, რომ არ გამორიცხავს უახლოეს ათ წელიწადში კარიერა ისევ ფეხბურთს დაუკავშიროს, ოღონდ ამჯერად მწვრთნელის რანგში.

## კალაძე საუკეთესოა

"მილანის" ფან-კლუბების იტალიური ასოციაცია AIMC-ის ვერსიით, საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე "მილანის" გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. "როსონერის" ქართველმა მცველმა გამოკითხვაში 180 ქულა დააგროვა. საუკეთესო ფეხბურთელის წოდებაში კალაძეს უახლოესი მდევარი ჯენარო გატუზო იყო, რომელიც ჩვენებურს შვიდი ქულით ჩამორჩა. მომდევნო ადგილებს იყოფენ კაკა და ფილიპო ინძაგი, შესაბამისად 160 და 132 ქულებით.

# ქარრის თასი საზიაროდ

*სამხრეთულ რაგბიში უიკენდზე აფრიკის შინაური, ქარრის თასის ფინალი დამატებითი დროის შემდეგაც ფრედ დასრულდა და მეტოქენი ჯილდოს თანამფლობელები შეიქნენ. ზელანდიაში კი ფინალისტები გამოვლინდნენ და ისიც გამჟღავნდა, რომ ჯონა ლომუ 13-კაცა ლიგაში გადასვლას აპირებს.*

სამხრეთ აფრიკაში პროვინციათა პირველი პირველობა ჯერ კიდევ ინგლისი-ბურების ომამდე, 1889 წელს ჩატარდა. 1892 წლიდან ჩემპიონი ჯილდოვდება ოქროს თასით, რომელიც აფრიკელებს ბრიტმა ქველმოქმედმა სერ დონალდ ქარრმა უძღვნა. თასი ფინალში პირველად 1939 წელს გათამაშდა. მერე სისტემა რამდენჯერმე შეიცვალა, მაგრამ 1968 წელს ფინალი საბოლოოდ დაკანონდა და მას აქეთ საშინაო სეზონს ყოველწლიურად აგვირგვინებს.

წლევანდლამდე თასი 32-ჯერ მოეგო დასავლეთ კონცხს (კეიპტაუნი; ზე 14-ის სტორმერზი), 21-ჯერ კი ბლუ ბულზს (პრეტორია; ყოფილი ჩრდილო ტრანსვალი). წელს ფინალში ზედიზედ მესამედ გავიდნენ ჩიტაზი (ბლუმფონტეინი; ყოფილი ნარინჯი) და ბლუ ბულზი. შარშანწინ ბულზმა შინ 42:33 გაიმარჯვა, მაგრამ შარშან იქვე 25:29 დამარცხდა და ჯილდო ჩიტაზს გაატანა.

წელს ჩიტაზმა წრიულ სტადიაზე (14 რაუნდი) გატანილ-გაშვებულის სხვაობითღა აჯობა ბულზს, თორემ ორივე რკენა წააგო (შინ 12:24, გარეთ 31:41). მეტოქენი 1973-2005 წლებში ფინალში შვიდჯერ შეიყარნენ: ზედიზედ ექვსჯერ ბულზმა მოიგო, ბოლო შებმაზე, შარშან კი, ჩიტაზმა.

ფინალი მხოლოდ მეოთხედ დასრულდა ფრედ და, როგორც სამოყვარულო ხანაში ხდებოდა, ორივე გუნდი ჩემპიონად გამოცხადდა. პროფესიული ეპოქის სიახლე ის იყო, რომ ფრეზე დაინიშნა დამატებითი 20 წუთი და მორაგბეებს სიქა გასძვრათ, მატჩამდე და თამაშის დროსაც მოჟრიამულე მაყურებელი კი მონუსხულივით გაიტრუნა და აღარ იცოდა, გახარებოდა და სწყენოდა.

### ჰუხარდის დაშავებამ არგოთ

ფინალი გაზაფხულის თბილ დღეს ჩატარდა. ბულზს წინა დღით გამოაკლდა ბოკეს შუამარბი ვეინანდ ოლივიე. სხვა ბობოლებმა (9 ნომერი ფური დიუპრე, გარემარბი ბრაიან ჰაბანა, მეორეხაზელები ვიქტორ მეტფილდი და ბაკის ბოთა) კი ნაკრების უფროსობის ბრძანებით იუქმეს. ამავე მიზეზით ჩიტაზს მხოლოდ ბებერი ბურჯი, ოს დიურანი და მესამეხაზელი ჟოან სმითი დააკლდნენ, მაგრამ შინ მაინც ვერ გაიმარჯვა. არადა, ბარენდ პიტერსემ დერეფანში ძალიან ივარგა და ბულზს მეორე ტაიმში ხუთი მოწოდება მოუგო.

ჩიტაზმა ამოკეტა ბოკე პიერ სპისი. არაჩვეულებრივად ითამაშა ყვითლად თმაშეღებილმა მულატმა მღლეტელმა კამამბა ფლურსმა. ფილიპ ბერგერმა სწორედ მის მიერ გამოქცუნებული კიკოფიდან შეიტანა პირველი ლელო. ჩამორჩენილ ბულზს არგო პივოტ დერიკ ჰუხარდის დაშავებამ. მის ნაცვლად შესულმა მორნე სტეინმა კარშიც უკეთ ურტყა და ვიდრე იოჰან რუცი სინბინში იჯდა, გადაკიდებით ლელო გაატანინა მორის დელპორტს.

ფლურსის ლელოთი და ვილემ დევალის ჯარიმით ჩიტაზი ბოლო სამ წუთამდე მაინც შვიდით იგებდა. ბულზმა 10-წუთიანი შტურმი მოაწყო. სტუმრებმა თამაში 5-ჯერ განაახლეს წითელ ზოლში და ჯეიპი ნელმა აკონა ნდუნხანეს სხარტი პასით ლელო შეიტანა, სტეინმა კი კიდიდან გარდასახა. დამატებით დროში სტეინმა წინ გაიყვანა ბულზი, მეირ ბოსმანმა კი ჯერ ძელს გაარტყა ჯარიმა, მაგრამ მერე მაინც გააფრევა.

ბოლოს ხაფი დიუტოიმ სცადა ორი ავანტიურისტული არეკნი, სირენის შემდეგ კი, ბულზს შერკინებაში არამი ჯარიმა რომ ერგო, სტეინმა კარის ნაცვლად კიდეზე დაარტყა და ჩიტაზს დაუზავდა. ნამატჩევს მენეჯერებმა იმაზე გააჩაღეს დავა, თუ ნახევარი წლით ჯერ ვის უნდა რგებოდა თასი. ჩიტაზელმა ნაკა დროცკემ შეუვალი არგუმენტი დაახალა ვეინი სტრეიდომს: შარშანდლიდან მფლობელები ჩვენა ვართ, ხოლო თქვენ თასში შეგვეზიარეთ, ამიტომ ჯილდო კიდევ ექვსი თვით ჩვენთან დარჩებაო.

### ლომუ სალიგაოდ მზადაა

ფინალის შემდეგ გამოქვეყნდა ბოკეს ის 28-კაცა რაზმი, რომელიც ბრიტანულ ტურნეს (11/11 ირლანდია, 18&25/11 ინგლისი, 3/12 მსოფლიო) გამართავს. ზემოხსენებული ხუთი ბობოლის გარდა, გურუ ჯეიქ ვაითი ასვენებს შარქსის 15 ნომერ პერსი მონთგომერს და სტორმერზის კისერმტკივან მარბიელებს სხალკ ბერგერსა და ჯო ფანიკერკს. რაზმში სულ ოთხი ახალბედაა, მაგრამ მასში მაინც არ არიან კლასიანი მღლეტელები: ფლურსი და კონცხის კაპიტანი ლუკ ვოთსონი.

ზელანდიაში წრიული ეტაპის გამარჯვებულმა ვაიკატომ (ზე 14-ის ჩიფსი) უსიტყვოდ მოსრა ოთაგო (ჰაილენდერზი). მართალია, ველინგტონი (ჰარიკეინზი) ოკლენდში თავიდან ჩამორჩა მასპინძლებს (ბლუზი), მაგრამ ზეაგრესიული დაცვით პირველი ტაიმი მოიგო (18:5). ფინალი შაბათს, ჰემილტონში, ვაიკატოს მოედანზე გაიმართება. მასპინძლები უკანასკნელად 1992 წელს იყვნენ ჩემპიონები, სტუმრები კი - 2000 წელს, როცა აწ უკვე 31 წლის ლომუ მათ გუნდში თამაშობდა.

ლომუ ახლა არათუ ოლ ბლექსში, პროვინციათა პირველობის წრიულ სტადიაზე მესამე ადგილზე გასული ნორს ჰარბორის 22-კაცა რაზმშიც ველარ ხვდება, რის გამოც გაისად ზე 14-ში მონაწილეობა არ უწერია. ჯონამ ერთი ხანობა ვითომც ავსტრალიის ახალ, 8-გუნდა საკლუბო პირველობაზე დააპირა რაგბის თამაში, მაგრამ მერე 13-კაცას ელიტური ლიგის ნრლ-ის ახალი კლუბის, "გოულდ ქოუსთ ტაიტანზის" შეფები შეეხმიანენ.

ლიგელებმა მთაკაცს სამშაბათს ტაიტანზი დაათვალიერებინეს. ლომუმ ახალ მუშტრებს მოახსენა, საბურთაოდ 100 პროცენტით მზად ვარო. მსოფლიო თასის შემდეგ, 2008 წლიდან, ტაიტანზს უკვე თადარიგში ჰყავს ეშხიანი ოზი მეტ როჯერსი და თუ ჯონასაც წელიწადში 300 ათასად დაიქირავებს, მაყურებელი არ მოაკლდება.

# ფრთხილად, საშიშია!

"ჩელსის" მეკარეს თავი გაუტეხეს



*პეტერ ჩეხი მოედნიდან საკაცით გასაყვანი გახდა.*

მარი ჭავახიშვილი

ჟოზე მოურინიოს რომ ჰკითხოთ, "ჩელსის" მეკარე პეტერ ჩეხმა ღმერთს მადლობა უნდა შეწიროს, საერთოდ ცოცხალი რომ გადარჩა. ღმერთს არ ვიცით, მაგრამ ოპერაციის შემდეგ გონს მოსულმა ჩეხმა მადლობა გადაუხადა იმ ათასობით გულშემატკივარს, ვინც წერილობით გაამხნევა საავადმყოფოში მყოფი პეტერი.

ჩეხისა და ლონდონური კლუბის საფეხბურთო ისტორიაში "რიდინგი" - "ჩელსის" შეხვედრა უდავოდ შავი ასოებით ჩაეწერება.მატჩის მეოცე წამზე, მასპინძელთა ნახევარმცველი სტივენ ჰანტი მეტოქე გუნდის მეკარეს თავში მუხლს უთავაზებს. მეორე დღეს კი გაირკვევა, რომ ეს, ერთი შეხედვით, არცთუ ძლიერი შეჯახება "არისტოკრატთა" კარის დარაჯს თავის ქალის გატეხვად, სასწრაფო ოპერაციად და კარიერის დაახლოებით ორი წლით შეწყვეტად დაუჯდება.

"მადეისკაზე" შეკრებილი გულშემატკივარი კარგა ხანს ვერ გაერკვა რა მოხდა, რატომ დაეცა ჩეხი და რატომ ველარ წამოდგა?! "ჩელსის" მეკარემ ჰანტს ბურთი აართვა, თან ისე, რომ "რიდინგის" ნახევარმცველი თითქოს არც მიკარებია კიპერს და არც ბურთის ართმევა უცდია მისთვის. ეს ტრაგიკული ეპიზოდი მოგვიანებით მხოლოდ ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერზე აღმოაჩინეს.

ჩეხი კი გაუნძრევლად იწვა "რიდინგის" სარბიელზე და მისი ტრავმის სერიოზულობაში ვერც ფეხბურთელები და ვერც შეხვედრის არბიტრი გარკვეულიყვნენ. მსაჯმა მაიკლ რაილიმ კი "ჩელსის" დაშავებულ მეკარეს სულაც მოედნის დატოვება და ექიმებისთვის მიმართვა ხაზს იქით მოსთხოვა. თავადაც გაურკვევლობაში მყოფი ჩეხი ძლივძლივობით გახოხდა მოედნიდან. მერე საკაცით გაიყვანეს, ადგილობრივ კლინიკაში მისულს კი დიაგნოზში თავის ქალის გატეხილობა ჩაუწერეს.

ოპერაციის შემდეგ, როცა გაირკვა, რომ ჩეხის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მაშინვე აქტუალური გახდა სტივ ჰანტის თემა. უფრო კონკრეტულად კი, გამიზნულად ჩაარტყა თუ არა მან პეტერს ფეხი.

ცხადია, ეპიზოდის ვიდეოგამეორება "რიდინგის" ნახევარმცველის დანაშაულსა თუ უდანაშაულობას დამამტკიცებლად ვერ გამოდგება. თუმცა, ამ ეტაპზე სხვა, უფრო დამაჯერებელი და ობიექტური საბუთი არ არსებობს.

რა თქმა უნდა, პირველი, ვინც ამასთან დაკავშირებით სათანადო რეაგირება მოახდინა, "ჩელსის" თავკაცი ჟოზე მოურინიო იყო: "ამ საქმეს აუცილებლად გამოვიძიებთ!"

რამდენიმე დღეში თავკაცს მხარი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა დიდიე დროგბამაც აუბა: "ზღაპრების კარგა ხანია არ მჯერა. ჰანტმა მშვენივრად იცოდა, რომ ჩეხს შეეჯახებოდა, მაგრამ არ შეჩერებულა. ყველაზე საშინელი კი ამ ისტორიაში ის არის, რომ როცა პეტერი საკაცით გაჰყავდათ, იდგა და იცონოდა. ნურავინ იფიქრებს, რომ პარანოია მჭირს, უბრალოდ, ინგლისში "ჩელსის" ვერ იტანენ და მის დასამარცხებლად ყველაფერს აკეთებენ".

"ვიდეოჩანაწერზე შესანიშნავად ჩანს, რომ ეს უბრალო შემთხვევითობა იყო. ჩეხის გამო ძალიან ვწუხვარ და მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ", - თავის გამართლებას ცდილობს მთავარი დამნაშავე.

ამასობაში კი მოურინიო დამნაშავეთა რიცხვს დღითიდღე ზრდის. მაიკ რაილი, ჩეხის საავადმყოფოში გადამყვანი სამედიცინო პერსონალი, "რიდინგის" სტადიონის ინფრასტრუქტურაზე პასუხიმგებელი პირები - ეს ის ადამიანები არიან, ვისაც პორტუგალიელი სპეციალისტი ღიად ადანაშაულებს ჩეხთან მომხდარ ინციდენტში.

ინგლისელ არბიტრს ტრავმირებული მეკარისთვის მოედნის საზღვრის დატოვების მოთხოვნისთვის მოხვდა. კიდევ იმიტომ, რომ ჯერაც ვერავინ მიმხვდარა, რატომ ითხოვდა, რაილი ასე დაჟინებით ჩეხისთვის სამედიცინო დახმარების ხაზსიქით აღმოჩენას.

სამედიცინო პერსონალს კი მოურინიო დაგვიანებაში ადანაშაულებს. მისი თქმით, ჩეხი გასახდელში ნახევარი საათი ელოდა სამედიცინო დახმარების მისვლას.

"არისტოკრატთა" დამრიგებელს ყველა ზემოხსენებულ ბრალდებაში სრულ მხარდაჭერას უცხადებს ლონდონური კლუბის მფლობელი რომან აბრამოვიჩი. გარდა ამისა, რუსი მაგნატი მოურინიოს გუნდისთვის ესოდენ რთულ პერიოდში ფინანსურ დახმარებასაც სთავაზობს და სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში ახალი მეკარის შეძენას ჰპირდება.

ამბობენ, თუ ვინმე შეცლის ჩეხს "ჩელსის" კარში, ეს, პირველ რიგში ჯანლუიჯი ბუფონი იქნებაო. იტალიელი მეკარის სახელმა კი იმიტომ გაიჟღერა, რომ "რიდინგთან" შეხვედრა "ლურჯებისთვის" ორმაგად ტრაგიკული აღმოჩნდა - მატჩის ბოლო წუთებზე ჩეხის ნაცვლად შესული ლონდონელთა მეორე მეკარე კარლო კუდიჩინიც საკაცით გაიყვანეს. საბედნიეროდ, შეხვედრა ისე დასრულდა, რომ არაფერი მოსვლია გუნდის კაპიტან ჯონ ტერის, რომელიც "ჩელსის" კარს დაცვა ბოლო წუთებზე საკუთარ თავზე აიღო.

პეტერ ჩეხისგან განსხვავებით, კარლო კუდიჩინი მეორე დღესვე გამოწერეს საავადმყოფოდან. თუმცა, რამდენიმე კვირით "დასვენება" ამ უკანასკნელსაც მოუწევს.

მანამ კი, სანამ აბრამოვიჩი და კომპანია ახალი კიპერის ძიებაში არიან, ჩეხის ინციდენტთან დაკავშირებით მტყუან-მართალის გამრკვევმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დისციპლინარულმა კომიტეტმა განაჩენმა გამოიტანა და "რიდინგის" ფეხბურთელები უდანაშაულოდ სცნო.

მოკლედ

### "სევილია" პიზაროთი დაინტერესდა

მიუნხენის "ბაიერნის" პერუელი თავდამსხმელი კლაუდიო პიზარო უკვე კარგა ხანია კლუბის დატოვების სურვილს გამოთქვამს. პერუელის თქმით, მას ისეთ გუნდში უნდა თამაში, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგება ძალუძს. "ბაიერნს" კი, პიზაროს აზრით, ამის მცირე შანსები აქვს. ასეთებად კი იგი "ჩელსის", "ბარსელონასა" და "რეალს" მიიჩნევს. თუმცა, გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, პერუელი თავდამსხმელის ესპანური "სევილია" დაინტერესდა და პირინეებზე ფეხბურთელის გაშვების წინააღმდეგი არც "ბაიერნის" ხელმძღვანელობაა.

ცოტა ხნის წინ კლაუდიო პიზარომ თავისი ქვეყნის პირველ გუნდში თამაშზეც თქვა უარი მანამ, სანამ პერუს ნაკრებს სათავეში ფრანკო ნავარო უდგას.

### ადრიანო "ინტერს" იანვარში დატოვებს

გავრცელებული ინფორმაციით, მილანის "ინტერის" ბრაზილიელი თავდამსხმელი ადრიანო ზამთრის სატრანსფერო სეზონში კლუბს გამოიცვლის. ადრიანო ვერ იქნა და ვერ აღიდგინა სათამაშო ფორმა განახლებულ სეზონში, რის გამოც ბრაზილიელი შიშობს, რომ "ნერიაძურის" ძირითადში ადგილს დაკარგავს. ადრიანოს პოტენციურ მყიდველებად უკვე ახლავე სახელდებიან მადრიდის "რეალი" და "მანჩესტერ იუნაიტედი".

### სილვა პროტეზით თამაშს ითხოვს

ურუგვაელი თავდამსხმელი დარიო სილვა, რომელსაც რამდენიმე კვირის უკან მარჯვენა ფეხის ამპუტაცია გაუკეთდა, ფეხბურთის თამაშს პროტეზით ითხოვს. "რამდენიმე კვირაში მეგობრებთან ერთად გასეირნება და ცხენზე ჯდომაც კი შემეძლება. ვინ იცის, იქნებ ფეხბურთის მოედანზეც შემიშვან. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ისევ ვითამაშო", - განაცხადა ურუგვაელმა ფეხბურთელმა.

### "რომას" ავტობუსს ქვები დაუშინეს

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გამართული "ოლიმპიაკოსი" - "რომას" (0:1) შეხვედრის შემდეგ იტალიური კლუბის ავტობუსს ბერძენმა გულშემატკივრებმა ქვები და ბოთლები დაუშინეს. ადგილობრივმა ქომაგებმა საყვარელი კლუბის მარცხი სწორედ ასეთი მეთოდით გამოხატეს. მართალია, საქმეში პოლიცია ჩაერთო, თუმცა რამდენიმე ქვა დედაქალაქური კლუბის ფეხბურთელთა ავტობუსს მაინც მოხვდა. საბედნიეროდ, "რომას" მხრიდან არავინ დაზარალებულა, თუმცა ბერძნული კლუბი გულშემატკივართა უსაქციელობისთვის უეფაში მაინც დაისჯება.

*ჩვენ გვწამს, რომ შეგვიძლია დიდი და დადებითი გავლენა მოვახდინოთ მსოფლიოში ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ხართ არასამთავრობო, ეკოლოგიური ორგანიზაციების ან მასმედიის წარმომადგენელი და ამ აზრს იზიარებთ, იხილეთ ეს განცხადება. წინა წლებში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, მოხარულნი ვართ გამოვაცხადოთ*

**საქართველოს მეხუთე ბიომრავალფეროვნების კონკურსი**

ეს კონკუსი, რომელიც არის BP საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის კომპონენტი, მხარს უჭერს სპეციალური ინიციატივების შესრულებას ბიომრავალფეროვნების სფეროში იმ ქვეყნებსა თუ რეგიონებში სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

**კონკურსი ორ კატეგორიად იყოფა:**
**1. ბიომრავალფეროვნების პროექტი (კრიტიკული ეკოლოგიური სისტემები, დაცული რეგიონები ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი დაცული სახეობები, ეკოტურიზმი და განათლება გარემოს დაცვის სფეროში)**
**2. მასმედიის მასალები (სტატიები ან ვიდეო მასალა) ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ.**

**პირველი კატეგორია - ბიოლოგიური მრავალფეროვნების პროექტი**

**- კონკურსში მონაწილე პროექტების ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 25 000 აშშ დოლარს და უნდა შეიცავდეს შემდეგს:**
**- მდგრადი განვითარების ინიციატივებს;**
**- შესრულებისა და წარმატების მაჩვენებლებს;**
**- მყარ მეცნიერულ საფუძველს;**
**- რაციონალურ ბიუჯეტს.**

პირველი კატეგორიის საინტერესო პროექტები მიიღებენ გამამხნევებელ ჯილდოებს.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც ინდივიდუალურ დაწესებულებებს, ასევე ოფიციალურად დარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფსაც.

პროქტები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტულ ფორმას, რომელიც შეიქმნა BP საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონკურსისთვის. სტანდარტული ფორმების აღება შეიძლება BP-ის ოფისში (საბურთალოს ქ. 38, თბილისი, საქართველო).

**მეორე კატეგორია - მასმედია ბიომრავალფეროვნების შესახებ:**

**სტატიები და მედია პროდუქცია ბიომრავალფეროვნების შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:**
**- დაბეჭდილი ან გამოცემული უნდა იყოს 2005-2006 წწ.**
**- უნდა იყოს გათვლილი ფართო აუდიტორიაზე (მკითხველზე/მაყურებელზე);**
**- უნდა ჩააბაროს პირადად ავტორმა ან შემოქმედებითმა ჯგუფმა;**
**- ჩაბარებული სტატია არ უნდა აღემატებოდეს 7000 სიმბოლოს;**
**- მედია პროდუქციის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.**

მეორე კატეგორიის გამარჯვებულებისთვის გათვალისწინებულია ქვემოთ აღნიშნული ჯილდოები:
**- პირველი ადგილი - ერთი ჯილდო (1000 აშშ დოლარი)**
**- მეორე ადგილი - ერთი ჯილდო (500 აშშ დოლარი)**
**- მესამე ადგილი - ორი ჯილდო (300 აშშ დოლარი თითოეულ გამარჯვეულს)**

**საბუთები მიიღება 2006 წლის 17 ნოემბრამდე. გამარჯვებულები გამოცხადდებიან 2007 წლის იანვრის ბოლოს.**
**პროექტი, რომლიც მოცემულ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს არ განიხილება.**

*დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ბი-პი საქართველოს ოფისს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი, ტელ: 59 34 00*

# ნუ გავყვებით მშვიდად ქარავანს!

ქართული თეატრის თანამედროვე პრობლემები

ნანა ჭრელაშვილი

*გრძელდება დიალოგების ციკლი - ქართული თეატრის თანამედროვე პრობლემები. შეგახსენებთ, რომ ამ საკითხზე პოზიციები უკვე გამოხატეს თეატრმცოდნე ლევან ხეთაგურმა, მსახიობებმა - ნოდარ მგალობლიშვილმა, ზურა ყიფშიძემ, გიორგი ყიფშიძემ და რეჟისორმა რობერტ სტურუამ. აღნიშნულ პრობლემას განსხვავებული რაკურსით განიხილავს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი რუსუდან მირცხულავა. ქალბატონი რუსუდანი ზოგადი, ხელოვნების და მედიის ფსიქოლოგიის მკვლევარია. რეჟისორების მედეა კუჭუხიძისა და რეზო მირცხულავას ქალიშვილისთვის თეატრალური სამყარო განსაკუთრებით ახლობელი და მშობლიურია.*

**რუსუდან მირცხულავა:**

- ალბათ მხოლოდ პროფესიული დაკვირვება არ იქნებოდა საკმარისი, რომ არა ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება თეატრის მიმართ; აუცილებელია თანაზიარობა, თანაგანცდა, გულთან ახლოს მიტანა იმ პრობლემებისა, რომლის წინაშეც დღეს აღმოჩნდა არა მარტო ქართული თეატრი, არამედ საზოგადოებაც თეატრთან მიმართებაში. სამწუხაროდ, პარადოქსული ვითარების წინაშე აღმოვჩნდით - ქართულ თეატრს სათქმელი თითქოს ამოეწურა. ეს არ ნიშნავს სათქმელის არარსებობას, პირიქით, სათქმელი საკმარისზე მეტი დაგროვდა, მაგრამ თეატრში მოღვაწე ადამიანებს გაუჩნდათ ფსიქოლოგიური პრობლემები, რომელსაც შეიძლება სხვადასხვა სახელი დავარქვათ - შიში, ნებისყოფის არქონა, აპათია, დეპრესია, სიზარმაცე. ისინი ხშირად სულიერი აქტიურობის გარეშე, სრულიად ბრმად იყენებენ კლიშეებს და შესაბამისად ქართულ სცენაზე მკვიდრდება აპათიური ერთფეროვნება და სტერეოტიპულობა. ფაქტობრივად კრიზისშია არა ერთი კონკრეტული თეატრი, არამედ ზოგადად ქართული თეატრი.

**- როცა ქართული თეატრის კრიზისზე ვსაუბრობთ, ალბათ ამ საკითხის პარალელურად განსახილველია საზოგადოებაში (როგორც კულტურისა და ხელოვნების მთავარი ადრესატის) მიმდინარე ფსიქოლოგიური პროცესებიც.**

- კულტურა საზოგადოდ მთელი სოციუმის და შესაბამისად ყოველი ცალკეული ადამიანის სულიერ აქტივობასთანაა დაკავშირებული. როდესაც კულტურა დუმს, ეს პირდაპირ მიუთითებს სულიერების დეფიციტზე. დღეს ქართულ თეატრში არსებული ვითარება საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ანარეკლია. თეატრზე განცალკევებით, იზოლირებულად საუბარი არ შეიძლება, აუცილებელია ამ საკითხის მთლიან კონტექსტში განხილვა. საზოგადოებაში მიმდინარე სულიერი კატაკლიზმები სერიოზული საფრთხის წინაშე გვაყენებს. საფრთხე, რომელიც სულიერებას ემუქრება, შეინიშნება არა მარტო ქართულ სინამდვილეში, არამედ საერთოდ მსოფლიოს მასშტაბითაც. სწორედ, სულიერებასთან ან გონით საწყისთანაა დაკავშირებული ე. წ. მარადიული ღირებულებები (როგორიცაა მშვენიერება, ზნეობა, სამართალი, ჭეშმარიტება), რასაც დღეს სრული დევალვაცია ემუქრება. სულიერების გაუფასურება კი თითქმის ავტომატურად იწვევს კულტურის გაუფასურებასაც.

**- პრესაში და ტელევიზიაში მუსირებს აზრი, რომ კულტურის განვითარების შეფერხება და დეგრადირება ხელოვნურია. იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

- არ გამოვრიცხავ ეს ფაქტორი არსებობდეს, რადგანაც კულტურა რეალური ძალაა და ამიტომაც მავანთ აწყობთ მისი განეიტრალება! მაგრამ მიზეზები მხოლოდ აქ არაა საძიებელი. ნიჭიერ ადამიანს ვერც შიში, ვერც აპათია ვერ შეაჩერებს, რადგან მას სათქმელი ყოველთვის გააჩნია, რომელიც ერთგვარად აწუხებს და უბიძგებს მოქმედებისკენ. ისტორიულად ნამდვილი ხელოვნება სხვადასხვაგვარი - ფიზიკური თუ მორალური წნეხის ქვეშ იქმნებოდა. ამიტომაც, როგორც ყოველთვის, განმსაზღვრელი რჩება თავად ხელოვანის (ამ შემთხვევაში კონკრეტულად თეატრის) პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება.

**- აქვე ალბათ აუცილებელია ვისაუბროთ იმ პროცესებზე, რის გამოც აღმოჩნდა ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი სულიერი დეგრადაციის საშიშროების წინაშე და რის გამოც ქართულმა თეატრმა დაკარგა თავისი ინდივიდუალური ხიბლი, რომელიც მუდამ იწვევდა აღტაცებასა და გაოცებას.**



ოთარ ლოლაძეს ფოტო

- ალბათ ყველას ახსოვს ჩარლი ჩაპლინის ფილმი "ახალი დროება", სადაც ქარხანაში მომუშავე ჩარლის უზარმაზარი მანქანა შთანთქავს. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში გაათვითცნობიერა ჩაპლინმა ტექნოკრატიულ სამყაროში მოქცეული ადამიანის პრობლემები. ჩაპლინის ენით რომ ვთქვათ, "ქარხნულ სამყაროში" ადამიანის ჭანჭიკად ქცევის საფრთხე; ჩვენს გარშემო არსებული რეალობა თანდათან უზარმაზარ კონვეიერს ემსგავსება, რომელიც ზედმიწევნით ემორჩილება თავისი არსით მერკანტილურ კანონებს. ვგულისხმობ როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ მერკანტელიზმსაც.

რაც შეეხება კონკრეტულად ქართულ თეატრს, იგი არაერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომელთა შორისაც უმთავრესია თანამედროვე რეალობაში, საზოგადოდ კულტურისა და ხელოვნების ადგილი და როლი. შეინიშნება სერიოზული ინტელექტუალური ანალიზის დეფიციტიც. ეს ერთნაირად ეხება ხელოვანს, მაყურებელს და კრიტიკას. აზრობრივი დეფიციტი, პლაკატური, ლოზუნგური და თავისი არსი პრიმიტიული თეატრის ლოგიკური პროდუქტია.

დღეს შეინიშნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ჰუმანიტარული აზროვნების დევალვაცია. ახალგაზრდა თაობა პროფესიულ ინტერესს ჰუმანიტარული დისციპლინების მიმართ სულ უფრო ნაკლებად იჩენს. ამ ფონზე სრულიად ბუნებრივია ქართული თეატრის ამჟამინდელი მდგომარეობა. სერიოზული ნოსტალგია მაქვს განცდის თეატრისადმი. მიმაჩნია, რომ ადრე თუ გვიან ქართული თეატრი გაიხსენებს და დაუბრუნდება ძველ "არქაულ" ფორმებსა და მეთოდებს და მათ შორის მაყურებელზე ინტენსიური ემოციური ზემოქმედების მეთოდს. რაც თავად თეატრის აპათიიდან გამოყვანის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება იქნება. დღეს სცენიდან ხშირად იდევნება ფაქტობრივად ყველაფერი, რაც შეადგენდა თეატრს. ეს თვითგანადგურების ტენდენცია, რა თქმა უნდა, ავტორის პოზიციას, მის მაქსიმალისტურ პროტესტს გამოხატავს, მაგრამ უკიდურესი ნეგაცია ბუმერანგივით უბრუნდება თავად თეატრის ფენომენს. თეატრს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა კინოს სახით, მაგრამ თეატრს ყოველთვის გააჩნდა უნიკალური მეთოდები, სპეციფიკური ხიბლი, და რაც მთავარია, ემპათიის, თანაგანცდის, ცოცხალი მოქმედების მეთოდი. ქართული თეატრი შეგნებულად ამბობს უარს ამ უნიკალურ არსენალზე. ამიტომაც ნულზე დადის მაყურებელზე მისი ზემოქმედება და კათარზისი კი შორეულ ოცნებად ექცევა.

**- თეატრალური უნივერსიტეტია ძირითადი წყარო, საიდანაც თეატრების პროფესიული კადრით შევსება ხდება, სადაც დღესაც მოღვაწეობენ ადამიანები, რომლებმაც არაერთი საინტერესო თაობა დაასტატეს, მაგრამ დღეს იქ არსებული სკოლები წარმატებული თაობის აღზრდით ვეღარ დაიკვეხნის.**

- სამწუხაროდ, მართლაც ასეა. ოსტატობის თვალსაზრისით ახალ თაობაში ვერ დავასახელებთ აკაკი ხორავას, ვერიკო ანჯაფარიძის, აკაკი ვასაძის რანგის მსახიობს. ჩემის აზრით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ტრადიციების წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლაა და ხელოვნებისათვის შეუსაბამო ზოგადი ატმოსფერო.

**- მაყურებლის დეფიციტი აკადემიური და დრამატული თეატრების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რასაც ახალი, სარდაფის ტიპის თეატრებზე ვერ ვიტყვით. ისინი მაყურებლის დეფიციტს არ უჩივიან.**

- ანდერგრაუნდი უპირისპირდება აკადემიურ ხელოვნებას თავისი ნოვატორული მეთოდებით, როგორც ტრადიციულსა და მოყირჭებულს. რაც შეეხება ანდერგრაუნდის ქართულ ვერსიას, მისი მთავარი მიზანი ხშირად წმინდა კომერციული ბუნებისაა. დღეს თეატრში "ნამდვილი" მაყურებელის პრობლემაც დგას. იმ მაყურებლისა, რომელიც კამერტონივით ეხმიანება სანახაობას, განიცდის ჭეშმარიტ ერთიანობას თეატრთან. მაყურებლის დეფიციტი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ პოლიტიკური სარბიელი გაცილებით საინტერესო გახდა. აქ ყველანაირ ტიპაჟს ნახავთ, დაწყებული კომიკურიდან - ტრაგიკულით დამთავრებული. აქ სიუჟეტების დიდი მრავალფეროვნებაცაა - ჰეროიკა, გაიძვერობა, ფლიდობა, დასმენა, მკვლელობა, შეთქმულება, შურისძიება, ვნება... პერსონაჟებისა და მოვლენების ასეთი არსენალი შექსპირსაც კი შეშურდებოდა. არცთუ იშვიათად ქართული თეატრი ერთგვარ "პოლიტიკურ კარიკატურებს" გვთავაზობს, ცდილობს წმინდა სოციო-პოლიტიკური თემების ასახვას, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ბევრად ჩამორჩება მედიას, რომელიც პერმანენტულ, "ცოცხალ შოუებს" სთავაზობს თავის აუდიტორიას, რეალური ადამიანებისა და რეალური ვნებების მონაწილეობით. პოლიტ-იმიტაცია (და არა მისი ასახვა ხელოვნებისეული მეთოდებითა და ხერხებით) სწორედ თეატრის საზიანოდ მოქმედებს და ხელს უწყობს ისედაც ტრიუმფატორი მედიის პოზიციების განმტკიცებას.

**- თეატრისაგან გაწბილების მიუხედავად, მისი ერთგული გულშემატკივარი მაყურებლი და მუდმივი მეთვალყურე ბრძანდებით. თეატრი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია ძველი ხიბლი და სადაც სულიერი კომფორტის მოლოდინი გაქვთ.**

- არ შემიძლია არ წავიდე, სულ ველოდები გამონათებას. ერთგვარი "ნათელი" და კარგი გამონაკლისია კინომსახიობთა თეატრი. ბოლოს იქ გოგი მარგველაშვილის "ალუბლის ბაღი" ვნახე; კულტურული, სევდიანი და რაც მთავარია, გულწრფელი სპექტაკლი.

**- ჩემს რესპონდენტებს და არა მარტო მათ ხშირად გულისტკივილით უთქვამთ, რომ ასეთი ნეგატიური ქართული თეატრი არ ახსოვთ. გადაჭარბებული ხომ არ არის ეს მოსაზრება?**

- სამწუხაროდ ასეა, მსგავსი კრიზისი არათუ მინახავს, არც გამიგია. ფაქტია, რომ საბჭოთა წნეხისა და ცენზურის პირობებში ქართული თეატრი ყვაოდა. არის მოსაზრება, რომ ამ პარადოქსის მიზეზი იძულებითი სიმბოლიზაცია და მეტაფორული ენაა, რომელსაც ხელოვანი მიმართავდა დაუღალავი ცენზურის ყურადღების მოსადუნებლად და მავანთა რისხვის ასაცილებლად.

თეატრი ყოველთვის სარკესავით ირეკლავდა საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს; თუკი თეატრი აპათიაშია, ეს იმას ნიშნავს, რომ თავად საზოგადოებაა აპათიაში. შეიძლება აპათიის მიღმა დავინახოთ ახლის შიში და ამავე დროს ახლის ძიების ბუნდოვანი სურვილი. უმწეობის აპათიამ შესაძლოა თანდათან ადგილი დაუთმოს იმედს, მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ შესაძლოა და ისიც თანდათან. მანამდე კი ჩვენ ყველანი სტიქსის ნაპირებზე ვართ და მომლოდინედ და მდუმარედ შევცქერით ერთმანეთს.

მაყურებელი და მთელი საზოგადოება ელის კათარზისს!

ნუ გავყვებით მშვიდად ქარავანს!


## ჯანმრთელობის სერვისების მენეჯერების ტრენინგის
# განცხადება

**1. შესავალი**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, მოქალაქეების ფინანსურ დაცვას და ჯანმრთელობის სერვისების მაქსიმალურ მისადაგებას მოსახლეობის მოთხოვნებზე. ამის მიღწევა შესაძლებელია ხელმისაწვდომობის და სერვისების უტილიზაციის გაზრდით მთელი მოსახლეობისათვის (და განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობისათვის), მომსახურების ხარისხის, სერვისების წარმოების ეფექტურობის და ასევე მომხმარებლის და მიმწოდებლის კმაყოფილების მიღწევით.

საჭირო ადამიანური რესურსების გადამზადების ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ჯანმრთელობის სერვისის მენეჯერების კონტინგენტის შექმნა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისა და საავადმყოფოების მართვაზე თანამედროვე მენეჯერული კრიტერიუმების შესაბამისად.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პროექტი, რომელსაც დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის დაფინანსებით ახორციელებს ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფი დახმარებას უწევს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტროს ამ მიმართულებით. რეფორმის პროცესის ტექნიკური დახმარების სხვა ელემენტებთან ერთად ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფი ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის სერვისის მენეჯმენტის ტრენინგის პროგრამას.

ტრენინგს კოორდინაციას გაუწევს ქართველი და უცხოელი ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფი. ეს ტრენინგის უნარ-ჩვევების თანმიმდევრული გადაცემის საშუალებას მოგვცემს და უზრუნველყოფს პროგრამის საქართველოს რეალობასთან უკეთ ადაპტაციას.

**2. მიზანი**

კურსი მიზნად ისახავს აღჭურვოს კურსდამთავრებულები ჯანმრთელობის სერვისებში მენეჯმენტის თეორიების, მცნებების, მიდგომების და ტექნიკის გამოყენების უნარით საქართველოს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის კონტექსტში.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სერტიფიკატი.

**3. შინაარსი**

მენეჯმენტის კურსი შედგება 600 საათისაგან (20 კვირა). პირველი სეგმენტი დაფარავს ზოგადი მენეჯმენტის საკითხებს. ეს სეგმენტი საერთო იქნება ყველა მონაწილესათვის. მეორე და მესამე სეგმენტები მიზნად ისახავს პირველ სეგმენტში განხილული საკითხების შემდგომ განვითარებას და დახვეწას. მეორე და მესამე სეგმენტის პროგრამა განსხვავებული იქნება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების, საავადმყოფოების და სამთავრობო დაწესებულებების მენეჯერებისათვის. პირველად ჩატარდება 1 სეგმენტი (6 კვირა) და პროგრამის დანარჩენი ნაწილი მიწოდებული იქნება მოგვიანებით.

**4. ტრენინგის თარიღი და ადგილი**

ტრენინგის პირველი ფაზა (სეგმენტი 1) დაიწყება ნოემბრის შუა რიცხვებში და გასტანს დეკემბრის ბოლომდე.

ადგილი: ტრენინგი ჩატარდება თბილისში

სამიზნე რეგიონები: ტრენინგის პირველი ფაზა გამიზნული იქნება აჭარის, იმერეთის და კახეთის რეგიონებისათვის. სხვა რეგიონების მოცვა მოხდება შემდეგ ტრენინგებში.

**5. განაცხადის შემოტანა**

დაინტერესებულ კანდიდატებს მოეთხოვებათ აპლიკაციის გამოგზავნა (გთხოვთ შეავსოთ თანდართული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შეგიძლიათ აიღოთ ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან იხილოთ ვებ-გვერდები: www.opm.ge; www.jobs.ge; www.humanresource.ge):

მენეჯმენტის ტრენინგის პროგრამა, OPM
ოთახი 209, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტრო
30, გამსახურდიას (პეკინის) გამზირი,
0160, თბილისი
ფაქსი: 995 32 387904
ელ-ფოსტა: mtraining@opm.ge
განაცხადების შემოტანა ასევე შეიძლება პირადად ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადაა **2006 წლის 29 ოქტომბერი**

აპლიკაციები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

***ა. განათლება***

ა.1 დიპლომი მენეჯმენტში, ეკონომიკაში ან მედიცინაში
ა.2 სასურველია დიპლომის შემდგომი სპეციალიზაცია
ა.3 სასურველია ინგლისური ენის ცოდნა

***ბ. გამოცდილება***

ბ.1 საქართველოში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება
ბ.2 სასურველია კახეთის, იმერეთის ან აჭარის რეგიონის ჯანმრთელობის სისტემაში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება

**გ. არაპროფესიული მოთხოვნები**

გ.1 ასაკობრივი შეზღუდვა 55 წელი
გ.2 კახეთის, იმერეთის ან აჭარის მცხოვრები (სურვილი გაქვთ მოთხოვნის შესაბამისად ტრენინგის დასრულების შემდგომ იმუშავოთ ამ რეგიონებში)
გ.3 ცვლილებებისადმი დადებითი დამოკიდებულება, მოქნილობა, ადაპტაციის უნარი, და ინიციატივის და ინტერესის დემონსტრირება
გ.4 გუნდში მუშაობის სურვილი
გთხოვთ თან დაურთოთ აპლიკაციაში მოთხოვნილი დიპლომების ასლები.

**6. შერჩევის პროცესი**

აპლიკაციების გადარჩევა მოხდება შემდეგი პროცესის შესაბამისად

■ დოკუმენტაციის მიმოხილვა და კანდიდატების გამოცდილება განსაზღვრავს მათ შესაძლო დაშვებას შემდგომ ეტაპზე

■ ინტერვიუზე და ტესტირებაზე მოსაწვევად შეირჩევა 40 კანდიდატი. (ინტერვიუს ადგილი და თარიღი ეცნობებათ კანდიდატებს აპლიკაციაში მითითებულ ტელეფონზე ან ელ-ფოსტაზე)

■ 20 შერჩეული კანდიდატის სია გამოქვეყნდება OPM-ის ვებ-გვერდზე

აპლიკანტებს, რომლებიც არ იქნებიან შერჩეული, მიეცემათ 1 კვირიანი ვადა დასაბუთებული საჩივრის შემოსატანად.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 995 32 387904
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არასრული განცხადებები არ იქნება განხილული.






ცნობილი სახალხო მკურნალი **ანდრო სამხუაშვილი** იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

სიახლე!

ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის ცენტრი
ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:
BORJOMI
GPI HOLDING
GRDC



– ფოსტა

ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.

B2



### ყველაზე ეკონომიური ავტომობილები

გარემოს დაცვის ამერიკულმა სააგენტომ ყველაზე ეკონომიური ავტომობილების რეიტინგი გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ მასში ძირითადად იაპონური მწარმოებლები, განსაკუთრებით კი Toyota და Honda დომინირებენ. კერძოდ, პირველი ადგილი Toyota Prius-მა დაიკავა, რომელიც 100 კმ მანძილზე მაქსიმუმ 4,6 ლიტრ საწვავს ხარჯავს. მეორეზე 4,8 ლიტრით ჰიბრიდული Honda Civic გავიდა. მესამე კი Toyota Camry გახლავთ, რომელსაც 100 კმ-ის დასაფარავად 5,9 ლიტრი საწვავი სჭირდება.



### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3174 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9987 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4755 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7465 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8155 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1209 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2940 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3047 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1915 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4011 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3359 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1801 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1473 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2705 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1897 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2558 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4085 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5309 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1132 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3380 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3216 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2590 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5614 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6224 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0649 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1087 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4584 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5156 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4180 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4591 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8188 |
| 1 | კუვეითური დოლარი | KWD | 6,0399 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1367 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4459 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2369 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3785 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0772 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2210 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2244 |




## ბინების გაძვირება ბაზარზე გაჩენილმა მოთხოვნამ განაპირობა

ნინო ნატროშვილი

საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი სწრაფი ტემპით ვითარდება. მსოფლიოში გავრცელებული ტენდენციის თანახმად, ამ ბაზრის განვითარებას ფასების ზრდაც თან ახლავს. თუ 2006 წლის მიმდინარე სტატისტიკას გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოში ფასების დინამიკა ბაზრის განვითარების პირდაპირპროპორციულად იზრდება. ექსპერტების შეფასებით, საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე, ბოლო ერთი წელია, კომერციულ ფართზე ფასების რეკორდული ზრდა შეიმჩნევა. საგულისხმოა, რომ კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება საცხოვრებელ ბინებზე გაცილებით სწრაფი ტემპით გაძვირდა.



B2

## ქართული ფოლადი მალე გვექნება

### რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში წარმოება აღდგა

მაია ტაკაშვილი

საქართველოში რეფორმები მიმდინარეობს. ამას ხელისუფლებაც ადასტურებს და ირწმუნება, რომ ქვეყანამ რეფორმების პირველი ეტაპი წარმატებით გაიარა და სულ მალე განვითარების მეორე ეტაპი დაიწყება, რომელიც ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობს. ექსპერტთა შეფასებით კი, ვიდრე ქვეყანაში პრივატიზაციის ტემპი არ დაჩქარდება, ვიდრე ეს პროცესი გამჭვირვალე არ გახდება და, რაც უმთავრესია, ხელისუფლება და ბიზნესი ერთმანეთისგან არ გაიმიჯნება, ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებებს ამაოდ უნდა ველოდოთ.

წლების განმავლობაში რევოლუციამდელი ხელისუფლება თავგამოდებით ცდილობდა, თუნდაც რამდენჯერმე, მაგრამ რაც შეიძლება სარფიანად გაეყიდა საპრივატიზაციოდ გამზადებული საწარმოები. მომხიბვლელი ინვესტორის ძებნაში კი ობიექტები, ხშირ შემთხვევაში, არასასურველი ინვესტორების ხელში ხვდებოდა, პარტახდებოდა, იძარცვებოდა.. უფრო მეტიც, ინვესტორის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქმე სასამართლომდეც მიდიოდა, თუმცა ამაოდ... საბოლოოდ კი ისევ ქვეყნის ბიუჯეტი ზარალდებოდა, სამუშაო ადგილების შექმნასა და მოგებაზე რომ არაფერი ვთქვათ.



B4

## დონალდდად ყოფნა კარგია

### რისკიანი დონალდ ტრამპის შენობები, იმიჯი და ლამაზი ქალები

გოჩა ქიმუცაძე

განთქმულ ჟურნალ Forbes-ის რეიტინგში 2,6 მილიარდით 278-ე ადგილზე მყოფი 60 წლის დონალდ ტრამპი გაცილებით ცნობილი და პოპულარული პიროვნება გახლავთ, ვიდრე მასზე ბევრად მდიდარი ადამიანები. ეს იმიტომ, რომ ტრამპი ერთობ საინტერესო, ექსტრავაგანტული ადამიანი გახლავთ, რომელსაც ბიზნესის წარმოების ასეთივე მანერა გამოარჩევს.







B3

ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.



## თიბისი - ფოსტა

*ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლები ხელფასს თიბისი ბანკში ვიღებთ. ვიცი, რომ ბანკი ასეთ ორგანიზაციებს სთავაზობს სესხის ფორმას, როცა შესაძლებელი იმაზე მეტი თანხის დახარჯვა, ვიდრე ბარათზე რეალურად არის ჩარიცხული. მაინტერესებს რა პირობებითY გაიცემა ასეთი სესხები და რა არის საჭირო მის მისაღებად?*



**ლელა ჭინჭარაული, თიბისი ბანკის საცალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი:**

უპირველეს ყოვლისა გეტყვით, რომ სესხის ასეთ ფორმას ოვერდრაფტი ეწოდება და ის გაიცემა არა მხოლოდ ამა თუ იმ ორგანიზაციის თანამშრომლებზე, არამედ თიბისი ბანკის ნებისმიერი ტიპის პლასტიკურ ბარათის ყველა მფლობელზე.

ეს არის მოკლევადიანი სესხი, რომელიც პლასტიკური ბარათის მფლობელს საშუალებას აძლევს დახარჯოს ანგარიშზე არსებულ თანხაზე გაცილებით მეტი. ხოლო ბანკის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება დაფაროს მოგვიანებით.

ოვერდრაფტი არის სესხის აღების უმარტივესი ფორმა, რადგან ბანკი ამ სესხს გაძლევთ მიზნობრიობისა და უზრუნველყოფის მოთხოვნის გარეშე. პროცენტის გადახდა ხდება მხოლოდ იმ თანხაზე, რომელსაც რეალურად ხარჯავთ და დროის იმ მონაკვეთის შესაბამისად, რა პერიოდითაც ეს თანხა გამოიყენეთ. რაც იმას ნიშნავს, რომ მაგალითად თუ თქვენ სარგებლობთ ოვერდრაფტით, რომელიც გულისხმობს 1 წლის განმავლობაში 1 000 დოლარის ნებისმიერ მომენტში მიღების უფლებას და თქვენ 2 კვირით აითვისებთ მხოლოდ 500 დოლარს, თქვენ გადაიხდით, მხოლოდ იმ პროცენტს რომელიც 500 დოლარს 2 კვირის განმავლობაში დაერიცხება. ამასთან თქვენ არ ხართ ვალდებული გააფრთხილოთ ბანკი თითოეული სესხის აღების შესახებ. ოვერდრაფტის მინიმალური თანხაა 200 აშშ დოლარი. მაქსიმალური 10 000 აშშ დოლარი. ვადა 1 - 12 თვე.

*ჩემი ხელფასი შეადგენს 200 ლარს, ვცხოვრობ მშობლებთან, რომლებსაც აქვთ შემდეგი შემოსავალი: დედას - 130 ლარი, მამას - 320 ლარი. შეიძლება თუ არა ჩვენი ერთიანი შემოსავლით სესხის აღება ბინის შესაძენად?*

**ლელა ჭინჭარაული, თიბისი ბანკის საცალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი:**

ბინების შესაძენად თიბისი ბანკი გასცემს იპოთეკურ სესხებს. სესხის მისაღებად თქვენი ყოველთვიური შემოსავალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 400 აშშ დოლარს. თანამსესხებლის შემთხვევაში კი 500 აშშ დოლარს, ამასთან უნდა გითხრათ, რომ თანამსესხებელი შეიძლება იყოს თქვენი ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი და არა რამოდენიმე. აქედან გამომდინარე თქვენ უნდა იანგარიშოთ თქვენი და მაგალითად მამათქვენის (უფრო მაღალი შემოსავლის მქონე პირის) ერთიანი შემოსავალი, რაც თქვენს კონკრეტულ შემთხვევაში იქნება 530 ლარი, რაც გაცილებით ნაკლებია სესხის გაცემის პირობით გათვალისწინებულ თანხაზე.

*თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკის პროგრამაში შეტანილია ცვლილებები. მაინტერესებს კონკრეტულად რა შეიცვალა და მართლა არის თუ არა შესაძლებელი ახალი პროგრამით საპატრულო პოლიციის ჯარიმის გადახდა?*



**ვახტანგ ჯავახიშვილი, მარკეტინგის მენეჯერი:**

10 ოქტომბრიდან მოხდა ინტერნეტ ბანკის განახლება და პროგრამაში გაუმჯობესების თვალსაზრისით შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები: "ბარათების" და "ოპერაციების" მენიუ გაერთიანდა და მონაცემები პლასტიკური ბარათებზე ხელმისაწვდომი და ბლოკირებული თანხების, შესრულებული ოპერაციების და კომუნალური გადასახადების ისტორიის შესახებ გადავიდა "ინფორმაციის" მენიუში.

თვისობრივად შეიცვალა ბარათებით ოპერაციების სტრუქტურა. თუ ადრე ბარათით შესრულებული ოპერაცია აისახებოდა მომდევნო სამუშო დღეს, განახლებულ ვერსიაში შესრულებული ოპერაცია აისახება მაშინვე. გარდა ამისა, თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ მოახდინოთ კონვერტაცია ბარათის, ერთი და იგივე ანგარიშებს შორის.

რაც შეეხება საპატრულო პოლიციის ჯარიმის გადახდას. ეს ფუნქცია სულ ახლახან დაემატა ინტერნეტ ბანკის პროგრამას. თქვენ შეგიძლიათ შეიყვანოთ საჭირო მონაცემები და გადარიცხოთ ჯარიმით დაკისრებული თანხა შესაბამისი დანიშნულებით. აქვე მინდა გითხრათ, რომ ინსტრუქცია ამ ფუნქციით სარგებლობის შესახებ მოცემულია ინტერნეტ ბანკის პროგრამაში დეტალურად, ტექნიკური შეფერხების წარმოიქმნის შემთხვევაში კი, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თქვენს მომსახურე ფილიალს.

*როგორც ვიცი "დეპოზიტების საშემოდგომო აქციის" პერიოდში ბანკი საჩუქრად აძლევს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს ყველას ვინც ანაბარს გახსნის თიბისი ბანკში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ასეთი პოლისების გაცემა ხდება მხოლოდ 60 წლამდე ასაკის ადამიანებზე. მაინტერესებს აქვს თუ არა მნიშვნელობა ასაკს ამ აქციით გათვალისწინებული პოლისის მისაღებად და კონკრეტულად რას გულისხმობს ეს დაზღვევა?*



**ნინო ყაჭეიშვილი, თიბისი ბანკის გაყიდვების განყოფილების უფროსი:**

უპირველეს ყოვლისა შეგახსენებთ, რომ თიბისი ბანკში "დეპოზიტების საშემოდგომო აქცია" 30 ნოემბრამდე მიმდინარეობს და შეეხება "ვადიან ანაბარს" და ანაბრებს: "ვადიანი+" და "ჩემი სეიფი". კერძოდ დღემდე არსებული საპროცენტო განაკვეთი 2%-ით გაიზრდება ლარზე გახსნილი ანაბრების შემთხვევაში, ხოლო 1%-ით დოლარსა და ევროში გახსნილ ანაბრებზე.

რაც შეეხება სადაზღვევო პოლისს, გეტყვით რომ თიბისი ბანკი, დეპოზიტების საშემოდგომო აქციის ფარგლებში, უფასოდ გადასცემს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს ნებისმიერ პირს, რომელიც თიბისი ბანკში გახსნის ვადიან ან ვადიან პლიუს ანაბარს, რომელიც აღემატება 4'000 აშშ დოლარს (ან 4000 ევროს, ან 8000 ლარს). ვადიანი ანაბრის მფლობელი მიიღებს დაზღვევას, თუ ანაბარი გახსნილია 2006 წლის 15 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდში.

იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრე უკვე ფლობს ჯანმრთელობის დაზღვევის ნებისმიერ პოლისს, მეანაბრეს შეუძლია მოითხოვოს პოლისი მისი უახლოესი ოჯახის წევრისათვის (ოჯახის წევრად ითვლება მეუღლე და შვილები).

65 წლის ასაკს გადაცილებული მეანაბრეებისათვის სადაზღვევო პოლისი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაბრის მოცულობა აჭარბებს 10'000 აშშ დოლარს.

გამომდინარე ანაბრის მოცულობიდან ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი, შეიძლება მოიცავდეს A ან B პაკეტებს:

**"პოლისი მეანაბრე - A"** - გაიცემა მეანაბრეებზე, რომელთა ანაბრის მოცულობა შეადგენს 4.000 დოლარიდან 50.000 დოლარამდე. პაკეტი მოიცავს:

- უფასო ასისტანსი (დახმარება ჯანმრთელობის გაუარესების დროს, სატელეფონო კონსულტაცია, სასწრაფო დახმარების გამოძახება და სხვა).
- პირადი ექიმი - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
- ამბულატორიული მომსახურება და მკურნალობა - ანაზღაურდება ხარჯების 50%, მაქსიმუმ 500 ლარის ოდენობით.
- მედიკამენტები - ანაზღაურდება ხარჯების 10%.
- ჰოსპიტალიზაცია - ანაზღაურდება ხარჯების 80%, მაქსიმუმ 5.000 ლარის ოდენობით.
- გადაუდებელი სტომატოლოგია - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
- სტომატოლოგია - ანაზღაურდება ხარჯების 10% სადაზღვევო კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგის" პარტნიორ სტომატოლოგიურ კლინიკებში, მაქსიმუმ 200 ლარის ოდენობით.

**"პოლისი მეანაბრე - B"** - გაიცემა მეანაბრეებზე, რომელთა ანაბრის მოცულობა აღემატება 50.000 აშშ დოლარს და იგი მოიცავს შემდეგი სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებას:

- უფასო ასისტანსი (დახმარება ჯანმრთელობის გაუარესების დროს, სატელეფონო კონსულტაცია, სასწრაფოს გამოძახება და სხვა).
- პირადი ექიმი - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
- ამბულატორიული მომსახურება და მკურნალობა - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
- მედიკამენტები - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
- ჰოსპიტალიზაცია - ანაზღაურდება ხარჯების 100%.
- გადაუდებელი სტომატოლოგია - ანაზღაურდება ხარჯების 100 %.
- სტომატოლოგია - ანაზღაურდება ხარჯების 10% "ჯიპიაი ჰოლდინგის" პარტნიორ სტომატოლოგიურ კლინიკებში, მაქსიმუმ 200 ლარის ოდენობით.

საშემოდგომო აქციის განმავლობაში გახსნილი ანაბრების მფლობელებს უფასოდ ჩაუტარდებათ ნებისმიერი გადაუდებელი მკურნალობა, ქირურგიული ოპერაციები, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები, ანალიზები და ა.შ.

სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა შეესაბამება ანაბრის ვადას, მაგრამ არ აჭარბებს 1 წელიწადს. რაც უფრო გრძელი ვადით იხსნება საბანკო ანაბარი, მით უფრო ხანგრძლივია საჩუქარი სადაზღვევო პოლისის სახით.

# ბინების გაძვირება ბაზარზე გაჩენილმა მოთხოვნამ განაპირობა

პირველი გვერდიდან



გასული წლის მონაცემებს თუ შევადარებთ, კომერციული ფართის როგორც გასაყიდი, ისე გაქირავების ფასი დაახლოებით ხუთჯერ გაიზარდა. მართალია, ბინების გაძვირების ტემპი, კომერციული ფართების გაძვირების ტემპთან შედარებით, დაბალია, მაგრამ ფასები ბინებზე ბოლო სამ წელიწადში დაახლოებით ოთხჯერ გაიზარდა.

ფასების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებშიც. კომერციულ ფართზე მოთხოვნა განსაკუთრებით ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გაიზარდა. თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ცენტრალურ უბნებში სავაჭრო ფართი თითქმის ყველგან დაკავებულია. რაც შეეხება ბინათმშენებლობას, ამ ბაზარს სამი სამშენებლო კომპანია ინაწილებს. ბაზრის 70 პროცენტი უჭირავს "ცენტრ პოინტს." მეორე-მესამე ადგილებს კი "აქსისი" და "არსი" ინაწილებენ.

ფასების ზრდა შეეხო როგორც მეორად ბინებს, ისე ახალს. გაძვირდა შავი კარკასიც. ამას მარტივი სტატისტიკაც ადასტურებს - 2002 წელს 10კვ.მ კომერციული ფართობის ქირა 200 დოლარი იყო. 2005 წელს კი ამ მაჩვენებელმა 1500 დოლარს მიაღწია. კომერციული ფართის ფასი დროის ამ შუალედში ხუთჯერ გაიზარდა. ასევე დინამიურად იზრდებოდა საცხოვრებელი ფართის ფასი. მაგალითად, ვაკეში და საბურთალოზე ერთოთახიანი ბინის ფასი 28 ათასი დოლარი იყო, 3-ოთახიანის - 55 ათასი დოლარი. კვადრატული მეტრი შავი კარკასის ფასი კი 200 დოლარიდან 700 დოლარამდე გაიზარდა.

რამ გამოიწვია ფასების ზრდა ბინებზე და გაიაფდება თუ არა უძრავი ქონება? - ეს კითხვა საზოგადოებას კარგა ხანია აწუხებს. ექსპერტები საქართველოში უძრავი ქონების გაძვირების რამდენიმე მიზეზს ასახელებენ - საქართველოში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების რაოდენობა გაიზარდა. ემიგრირებულმა მოსახლეობამ, 2006 წლის რვა თვის ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 324 მილიონი დოლარი გამოგზავნა. აქედან, რუსეთიდან ფულადმა გზავნილებმა 219 მილიონი დოლარი შეადგინა. ცნობილია, რომ ეს თანხა, ძირითადად, უძრავი ქონების შეძენაზე იხარჯება. საგულისხმოა ისიც, რომ ბოლო დროს გაჩნდა კონკურენცია ბინათმშენებელ კომპანიებს შორის. ცენტრალური უბნებიდან სამშენებლო კომპანიებმა პერიფერიებშიც გადაინაცვლეს. გარეუბნებში 1კვ.მ შავი კარკასის ფასი 380 დოლარიდან იწყება, ცენტრში კი 700 დოლარამდე აღწევს. ექსპერტების შეფასებით, შავი კარკასის გაძვირებამ ფასები მეორად ბინებზეც გაზარდა. ფასის ზრდას ასევე ხელს უწყობს სამშენებლო მასალების გაძვირება. ფასების ზრდის ფონზე, ბინების შეძენა საშუალო ფენისთვის, ფაქტობრივად, მიუწვდომელია.

ამ შემთხვევაში საკმაოდ აქტუალურია იპოთეკური სესხების მექანიზმი, რომელიც მთელ მსოფლიოშია აპრობირებული. მას შემდეგ, რაც საქართველოში ბინათმშენებლობის ტემპი და მოცულობა გაიზარდა, საზოგადოებისათვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა იპოთეკური სესხი.

საქართველოს კომერციული ბანკები სესხებს ბინის რემონტისათვის და შესაძენად გასცემენ. საპროცენტო განაკვეთი (ერთი წლის) 14 პროცენტია, ხოლო საქართველოს ბანკის იპოთეკური სესხის "იპო+"-ის პროცენტი 10,5-ია. არსებობს მოსაზრება, რომ ბინებზე ფასის ზრდა, გარკვეულწილად, ამანაც განაპირობა. ასეთ სესხზე მხოლოდ მოსახლეობის ნაწილს მიუწვდება ხელი. საქართველოში იპოთეკურ სესხებზე პროცენტი საკმაოდ მაღალია, ამის მიზეზად რისკები სახელდება. საქართველოს არამდგრადი ეკონომიკის პირობებში თანხის არდაბრუნების რისკი მაღალია.

# რეალობა ოფიციალური სტატისტიკისაგან ბევრად განსხვავდება

საქართველოს მასშტაბით ოფიციალურად 167 სასტუმრო, 519 რესტორანი და 199 საპარიკმახეროა დარეგისტრირებული. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, დედაქალაქში 69 სასტუმრო, 180 რესტორანი და 103 სილამაზის სალონია განთავსებული.

რეალობა ოფიციალური სტატისტიკისაგან ბევრად განსხვავდება - მხოლოდ თბილისში რამდენი ასეული საპარიკმახერო ფუნქციონირებს. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს რეგიონებში განთავსებულ ზემოთჩამოთვლილ ორგანიზაციებზე.

როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმერ მაღნარაძემ განმარტა, აღნიშნული მონაცემები ერთიანი სახელმწიფო რეესტრიდან არის ამოღებული და იმ კომპანიებს მოიცავს, რომელთაც რეგისტრაციის დროს საქმიანობად რესტორნის, სასტუმროს ან საპარიკმახეროს ბიზნესი აქვთ მითითებული. ხოლო თითოეული დაწესებულების აღწერა უსახსრობის გამო ვერ ხერხდება.

**"უახლოეს ათ დღეში სტატისტიკის დეპარტამენტი მოიპოვებს ზუსტ ინფორმაციას საქართველოში მოქმედი სასტუმროების რაოდენობის შესახებ. "ბიზნესის რეესტრის ხარისხის გაუმჯობესების კვლევის" ფარგლებში საველე სამუშაოები უკვე დასრულებულია. ზუსტი მონაცემები უახლოეს დღეებში გვექნება. ეს პროგრამა ევროკავშირის "ტასისის" პროექტის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ჩვენ არ გვაქვს რესურსები, ასეთივე კვლევები ჩავატაროთ რესტორნებისა და საპარიკმახეროების აღსაწერად. ჯერჯერობით, ერთიან სახელმწიფო რეესტრში მხოლოდ ამ დაწესებულებების მეპატრონე კომპანიების სტატისტიკური მონაცემებია დარეგისტრირებული,"** - განაცხადა ვლადიმერ მაღნარაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საქართველოში თხევადი გაზის იმპორტი შემცირდება

საქართველოში, შესაძლოა, თხევადი გაზის იმპორტი შემცირდეს, რაც გაზზე ფასების მატებას გამოიწვევს. აზერბაიჯანის მილიმეჯლისი განიხილავს საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც ქვეყნიდან ზამთარში გაზის ექსპორტის შემცირებას ითხოვს.

თუკი მილიმეჯლისი ინიციატივას მხარს დაუჭერს და ზამთრისათვის თხევადი გაზის ექსპორტს შეზღუდავს, მაშინ საქართველოში თხევადი გაზის დეფიციტი შეიქმნება.

**"საქართველოში თხევადი გაზის ექსპორტი, ძირითადად, აზერბაიჯანიდან ხორციელდებოდა. თუკი შესაბამისი აკრძალვა მოხდება, მაშინ იძულებული ვიქნებით, თხევადი გაზის იმპორტი თურქმენეთიდან დავიწყოთ, რაც გაზზე ფასების მატებას გამოიწვევს,"** - განაცხადა ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვარალაშვილმა. მისივე განმარტებით, აზერბაიჯანული თხევადი გაზი, თურქმენულ გაზთან შედარებით, ხარისხიანი და იაფიცაა, და თუ საქართველოში თურქმენული ძვირადღირებული თხევადი გაზის იმპორტი დაიწყება, შესაბამისად თხევადი გაზის ფასიც გაიზრდება.

თხევადი გაზის იმპორტიორებს ყოველთვიურად დაახლოებით 2600 კგ. თხევადი გაზი შემოჰქონდათ, ხოლო ერთი ტონა თხევადი აზერბაიჯანული გაზის ღირებულება 216 დოლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფები არ გაიზრდება

სემეკის თავმჯდომარე გიორგი თავაძე პირობას დებს, რომ უახლოეს ხანებში ელექტროენერგიისა და გაზის სამომხმარებლო ტარიფები არ გაიზრდება. **"ქვეყნის მასშტაბით არც ელექტროენერგიაზე, არც გაზზე ტარიფის ზრდა არ განიხილება. ზოგიერთმა გაზგამანაწილებელმა კომპანიამ გაზის ტარიფის ზრდის განაცხადით მოგვმართა. ჩვენ მათ წინადადებებს განვიხილავთ და გავარკვევთ, თუ რამდენად საფუძვლიანი და სამართლიანია მათ მოთხოვნა და ამის შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას,"** - განაცხადა სემეკის თავმჯდომარე გიორგი თავაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მთავრობამ ერთიანი საკრედიტო ბიუროს შექმნას მხარი არ დაუჭირა

საქართველოს მთავრობამ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი "საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს შესახებ" დაიწუნა. ამის შესახებ საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გიორგი ხუროშვილმა განაცხადა.

ხუროშვილის განმარტებით, კანონპროექტი სესხის გამოტანის დროს მის ლიცენზირებულ ორგანოში - საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროში დარეგისტრირებას ითვალისწინებდა. აქამდე, ბანკებს შორის ასეთი ინფორმაციის გაცვლა ინდივიდუალურად ხელშეკრულების საფუძველზე ხდებოდა.

მინისტრთა კაბინეტის წევრების აზრით, ბანკებს შორის ურთიერთობებში თავისუფალი კონკურენციის პრინციპი უნდა მოქმედებდეს, - აღნიშნა ხუროშვილმა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ალდაგის ახალი აქცია ავტომფლობელებისთვის

სადაზღვევო კომპანია "ალდაგი" მომხმარებელს ახალი სახის მომსახურებას სთავაზობს. 12 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე, ერთი თვის განმავლობაში კომპანიის მიერ დაგეგმილი აქციის ფარგლებში, "ალდაგში" მანქანის დაზღვევა ყოველგვარი პირველადი შენატანის გარეშე, 12-თვიანი განვადებით იქნება შესაძლებელი. თუ სადაზღვევო პოლისის ღირებულება 600 აშშ დოლარს არ აღემატება, მაშინ დაზღვევისთვის საჭირო იქნება ავტომობილის მფლობელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მანქანის ტექპასპორტი. დაზღვევას საჩუქრად ავტოასისტანსის მომსახურებაც მოჰყვება, რომლით სარგებლობაც კლიენტს მთელი წლის მანძილზე 24 საათის განმავლობაში შეუძლიათ. როგორც "ალდაგში" განაცხადეს, ამ აქციის მთავარი მიზანია, გამარტივდეს და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს ავტომობილების დაზღვევა. **24 საათი**

## "ჯეოსელი" EDGE-ის დაფარვის ზონას ზრდის

ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია "ჯეოსელი" EDGE-ის დაფარვის ზონას ზრდის. კომპანიის ინფორმაციით, ტექნოლოგია "ჯეოსელის" ყველა აბონენტს EDGE-ის დაფარვის ზონაში ყოფნის შემთხვევაში, სწრაფი 236 კბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით სარგებლობის საშუალებას აძლევს.

კომპანიის ინფორმაციით, აღნიშნული ტექნოლოგიით სარგებლობა შესაძლებელია როგორც თბილისში, ასევე ბაკურიანში, აჭარაში და კახეთში. "ჯეოსელი" ტექნოლოგიის დანერგვას საქართველოს სხვა რეგიონებშიც გეგმავს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თბილისში ავტომობილებისა და აქსესუარების მესამე საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა

ავტომობილებისა და აქსესუარების მესამე საერთაშორისო გამოფენა ძTbilisi International Auto Show 2006" ხუთშაბათს თბილისის საგამოფენო ცენტრ Expo-Georgia-ში გაიხსნა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს Expo-Georgia-დან აცნობეს.

Expo-Georgia-ს ინფორმაციით, გამოფენაზე მსოფლიო 18 ქვეყნის საქართველოს, აზერბაიჯანის, აშშ-ს, ბელორუსის, დანიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, თურქეთის, იაპონიის, იტალიის, რუმინეთის, რუსეთის, საფრანგეთის, სომხეთის, უკრაინის, ჩეხეთის და ჩინეთის პროდუქცია 51 სტენდზეა წარმოდგენილი.

პრაიმ-ნიუს ბიზნესს Expo-Georgia-ში განუცხადეს, რომ გამოფენაზე მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების ფართო სპექტრის, სათადარიგო ნაწილებისა და აქსესუარების - საბურავების, ამორტიზატორების, ფილტრების, ზეთისა და სხვა ნაწილების დათვალიერებაა შესაძლებელი. დამთვალიერებლები კერძო კოლექციებიდან ავტომობილების ანტიკვარული და თანამედროვე მოდელების ნახვასაც შეძლებენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველოში საიმპორტო ნავთობის ღირებულება შემცირდა

საქართველოში საიმპორტო ნავთობპროდუქტებზე ფასები შემცირდა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან აცნობეს.

კავშირის ცნობით, 2006 წლის 19 ოქტომბერს საერთაშორისო ფასები ერთ ტონა ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც საქართველოში იმპორტი ხორციელდება, შეადგენს: ბენზინი (Premium Gasoline 50 PPM) 505.25 (- 6.25); ნაფთა (NAFTA) 489.50 (- 8.75); ნავთი (Jet Fuel (max)) 577.50 (- 6.75); დიზელი (Gasoil.0.2%) 549.75 (- 8.75); მაზუთი (Maze) 251.75 (- 3.50); ნავთობი (Brand) 58.40 (- 0.83) ბარელზე; ნავთობი (Urals) 55.06 (-1.11) ბარელზე.

კავშირის ინფორმაციით, მსოფლიოში ნავთობზე ფასი შემცირდა - 18 ოქტომბერს მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 59,58 (-1,36) აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო Light Sweet Crude ტიპის ნავთობის ფასმა - ბარელზე 57,65 (-1,28) აშშ დოლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აზერბაიჯანული ნავთობის ფასები შემცირდა

აზერბაიჯანულ ნავთობის ფასები შემცირდა. AZERI LT FOB Ceyhan-ის ნავთობის ფასმა 18 ოქტომბერს ბარელზე 58,02 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასთან შედარებით 0,85 აშშ დოლარით ნაკლებია. ნავთობს ჯეიჰანის პორტი ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით იღებს.

სააგენტო "ტრენდი" იტყობინება, რომ AZERI LT CIF Augusta-ს ნავთობის ფასმა 18 ოქტომბერს ბარელზე 59,50 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასზე 0,83 აშშ დოლარით ნაკლებია. ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 34,6 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,14%.

18 ოქტომბერს URAL (EX-NOVO)-ს ნავთობის ფასი ბარელზე 53,57 აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასზე 1,06 აშშ დოლარით ნაკლებია. URAL-ის ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 30,4-31,85 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობაა - 1,8%.

DTD-ს ტიპის ნავთობის ფასმა 18 ოქტომბერს ბარელზე 58,40 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასზე 0,83 აშშ დოლარით ნაკლებია. სიმკვრივე - 38,3 გრადუსი, გოგირდის შემცველობა - 0,36%.

"აზერი-ჩიგარ-გიუნეშლის" საბადოზე მოპოვებული Azeri Light-ის მარკის ნავთობის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე "დასავლეთში" 1999 წელს საქართველოდან სუფსის პორტიდან დაიწყო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აზერბაიჯანის ნავთობკომპანიამ ნოვოროსიისკიდან ნავთობის გაყიდვაზე ტენდერი დახურა

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ ნოემბერში ნოვოროსიისკიდან ორი სატანკერო პარტიის, 1,204 მლნ ბარელის მოცულობის ნავთობის გაყიდვაზე ტენდერი დახურა. სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიაში შეატყობინეს, რომ ტენდერში ბრიტანულმა ტრიდერმა Glencore Energy გაიმარჯვა.

პირველი პარტიის გადაზიდვა მიმდინარე წლის 7-8 ნოემბერს იგეგმება, ხოლო მეორე პარტიის - 18-19 ნოემბერს.

ოქტომბერში ნოვოროსკიიდან აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ სამი პარტია ნავთობი გაყიდა. პირველი ორი პარტია ნავთობი შვეიცარულმა კომპანია Sun Oil S.A.-მ შეიძინა, მესამე პარტია კი კომპანია REOC Ltd-მ იყიდა.

2005 წელს აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიამ ნოვორსოსიისკის პორტიდან 1,631 მლნ ტონა ნავთობი გადაზიდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# დონალდად ყოფნა კარგია

პირველი გვერდიდან

### მამა და მამაო

მომავალი მილიარდერი დაიბადა 1946 წლის 14 ივნისს ფრედ და მერი ტრამპების ოჯახში. მამილო ფრედი ერთობ საინტერესო პიროვნება გახლდათ: ღარიბი შვედი ემიგრანტების შვილმა, რომელსაც ალკოჰოლიკი მამა 11 წლის ასაკში გარდაეცვალა, ნიუ-იორკში იაფფასიანი სახლების მშენებლობით 20 მილიონი დოლარი მოაქუჩა. პატარა დონალდს მამის საქმე თავიდანვე მოეწონა და 8 წლის იყო, როცა ძმას სათამაშო სამშენებლო ბლოკები მოპარა და თავისი სიმაღლის ცათამბჯენი ააგო.

ძალზე მკაცრი და მშენებლობაზე ყველაფრის მცოდნე მამის გარდა, პატარა დონალდზე დიდი გავლენა ოჯახის მღვდელმა მოახდინა. მამაო ნორმან პილი არა მარტო ბიბლიის, არამედ "პოზიტიური აზროვნების" განთქმული მოქადაგე იყო. მისგან მოსმენილმა აზრმა, რომ მიზნის მიღწევისათვის საკმარისია, მასზე, როგორც უკვე მიღწეულზე, ისე იფიქრო, პატარა დონალდი გააოგნა და ბავშვი მზად იყო, მღვდლისათვის საათობით ესმინა.

მოძღვრისადმი შვილის ამგვარმა სიყვარულმა მამილო ფრედი დააფრთხო და მან დონალდი ნიუ იორკის სამხედრო აკადემიაში გაგზავნა. იქ ტრამპ-უმცროსში ლიდერის თვისებები გამოიწრთო, იგი კურსის მამასახლისად და ბეისბოლის ნაკრების კაპიტნად იქცა. დონალდმა სწავლა ნიუ იორკის ფორდემის უნივერსიტეტში გააგრძელა, შემდეგ კი საუკეთესო ნიშნებით პენსილვანიის უნივერსიტეტი დაამთავრა და 1968 წელს ეკონომიკის ბაკალავრის დიპლომი მიიღო.

### ტრამპის სახელობის სახლები

უნივერსიტეტის შემდეგ ტრამპი ერთხანს რომელიმე ნავთობკომპანიაში მუშაობის დაწყებას ცდილობდა, მაგრამ ხანგრძლივი კარიერის მოწყობის პერსპექტივა დიდად არ ხიბლავდა. ამიტომაც გადაწყვიტა, ნიუ იორკში დაბრუნებულიყო და მამასთან ერთად სამშენებლო ბიზნესში ჩაბმულიყო. "კარიერის გაკეთების უამრავი საშუალება არსებობს, რომელთაგან ყველაზე საიმედო - საჭირო ოჯახში დაბადებაა," - ასე ახსნა მან თავისი გადაწყვეტილება.

დონალდის "სადიპლომო ნამუშევარი" მამისათვის ოჰაიოს ქალაქ ცინცინატში 1200 ბინისაგან შემდგარი გაბანკროტებული კვარტლის 6 მილიონ დოლარად შეძენა გახლდათ. პროექტის მთავარი ღირსება სახელმწიფოსაგან სუბსიდირების პერსპექტივა იყო და ერთი წლის შემდეგ ეს კვარტალი ტრამპებმა 100-პროცენტიანი მოგებით გაყიდეს.

ამის შემდეგ მამისაგან პირველადი კაპიტალი მიიღო და 1974 წელს დონალდმა უკვე თავისი პირველი საქმე წამოიწყო: მან გაბანკროტებული სარკინიგზო კომპანიისაგან მეოცე საუკუნის დასაწყისში აშენებული სასტუმრო Commodore შეიძინა და შემდეგ სახელმწიფოსაგან გადასახადების გადახდის 40 წლით გადავადებას, ბანკებისაგან 70 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტის გამოყოფას და Hyatt Corporation-ისაგან მარკის მიღებას მიაღწია. მალე Commodore-ს ნაცვლად, მან ახალი სასტუმრო Grande Hyatte წამოჭიმა.

ტრამპს თავიდანვე ძალიან უმართლებდა. 1976 წელს სათამაშო ბიზნესის ლეგალიზაციამდე კარგა ხნით ადრე მან ატლანტიკ სითიში მიწის ნაკვეთების შეძენა დაიწყო. ჩალის ფასად ნაყიდი ეს მიწა 1982 წლისათვის უკვე 20 მილიონი ღირდა.

მაგრამ ჭეშმარიტად დიდ ბიზნესმენად დონალდი ნიუ იორკში Trump Tower-ის აშენებამ აქცია. 1979 წელს მან 45 მილიონ დოლარად მრავალწლიანი იჯარით აიღო მანჰეტენზე მდებარე უნივერმაღი. მის ნაცვლად იგი დიდი შენობის აგებას აპირებდა, რომელშიც მხოლოდ პირველი კლასის მაღაზიები, ოფისები და ბინები

განთავსდებოდა. ტრამპმა დიდძალი კრედიტი აიღო და სამი წლის შემდეგ გაიმართა იმ დროისათვის ნიუ იორკის ყველაზე მაღალი და ძვირფასი შენობის, 68-სართულიანი მშვენიერი Trump Tower-ის დი-









დებული გახსნა. მნახველები გააოგნა უზარმაზარი თაღის, 25-მეტრიანი ჩანჩქერის და ვარდისფერი მარმარილოთი მოპირკეთებული ჰოლის ხილვამ. Trump Tower-ი ნამდვილ კლონდაიკად იქცა და მან დონალდს დიდძალი მოგება მოუტანა.

80-იანი წლები ტრამპისათვის ოქროს ხანად იქცა, მის ყველა პროექტს ასეულობით მილიონის მოგება მოჰქონდა. მართალია, იგი თავმდაბლობით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ იმ პერიოდში საერთოდ განდიდების მანიამ შეიპყრო. კითხვაზე: "როგორ მიდის საქმე," იგი ყინჩად პასუხობდა: "დონალდად ყოფნა კარგია".

### სახელის ფასი

ტრამპის ბიზნესი სულ უფრო ვრცელი და მრავალფეროვანი ხდებოდა. დონალდმა შეიძინა ამერიკული ფეხბურთის კლუბი "ნიუ ჯერსი ჯენერალზი", დააარსა ავიაკომპანია "ტრამ შატლი", ხოლო გაკოტრებული არაბი ბიზნესმენისაგან 86 მეტრი სიგრძის საოკეანო იახტა იყიდა, რომელსაც Trump Princess-ი დაარქვა. აღსანიშნავია, რომ ბევრი შენაძენი წამგებიანი აღმოჩნდა: "ნიუ ჯერსი ჯენერალზი" მალე აშშ-ს საფეხბურთო ლიგასთან ერთად, რომელმაც უფრო ძლიერ ეროვნულ ლიგასთან კონკურენციას ვერ გაუძლო, გაქრა, ხოლო ავიაკომპანია გაკოტრდა და 200 მილიონ დოლარზე მეტი ზარალი მოუტანა.

1987 წელს ტრამპმა ატლანტიკ სითიში სამი კაზინო შეიძინა, რომელთაგან გიგანტური "ტაჯ მაჰალი" ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში იყო, რადგან მისი ყოფილი მფლობელი გაკოტრდა და მის დასრულებას მილიარდი დოლარი სჭირდებოდა. ტრამპმა გადაწყვიტა, რისკიანი ნაბიჯი გადაედგა და ამ ფულის საშოვნელად თავისი სახელობის ობლიგაციები გამოუშვა. ამას ბანკირთა გაღიზიანება მოჰყვა, რომლებიც თავიანთ ბალანსზე 10 მილიარდამდე წაგების აღმოჩენას გამუდმებით ელოდნენ. მაგრამ დონალდმა ისინი დაარწმუნა, სასამართლოსათვის არ მიემართათ და საბოლოოდ მძიმე სიტუაციიდან მაინც გამოვიდა, თანაც ისე, რომ თავისი ნიუ იორკული შენობების უმრავლესობა, იახტა და სამივე კაზინო შეინარჩუნა. თუმცა კი ძალიან გაუჭირდა. ამბობენ, ერთხელ თავის მაშინდელ საყვარელ მარლა მეიპლსთან ერთად ნიუ იორკის ქუჩებში მოსეირნე, ყელამდე ვალებში ჩაფლულმა ტრამპმა, რომელსაც მთელი ქონება დაგირავებული ჰქონდა, უსახლ-კარო მათხოვარი დაინახა და ქალს უთხრა: "იგი ჩემზე 900 მილიონით მეტი ღირს".

1993 წელს ტრამპი ისევ წელში გაიმართა და კვლავ ინვესტირებას მიჰყო ხელი. თუმცა, კარგი გაკვეთილი კი მიიღო და მუდამ თვითდარწმუნებულმა ყოყოჩმა ბიზნესმენმა ფინანსური მრჩევლები დაიქირავა. იქიდან მოყოლებული, მისი ახალი აღმასვლა დაიწყო. ამჟამად იგი მხოლოდ მსხვილ ინვესტორებთან მუშაობს, რომელებზეც მისი სახელი მაგიურად მოქმედებს. მართლაც, როგორც აღვნიშნეთ, ტრამპის ქონება ხომ 2,6 მილიარდ დოლარს (აქედან, 500 მილიონი ნაღდი ფულით) შეადგენს, რაც ამერიკის ისტორიაში პირადი ფინანსური სიტუაციის აღდგენის საუკეთესო, უმსხვილესი მაგალითია.

დონალდმა საკუთარი სახელის ფასი კარგად იცის და იმიჯის შექმნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად, 2000 წელს რეფორმების პარტიისაგან აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნებზე თავისი კანდიდატურის დაყენებაზე სერიოზულად საუბრობდა. პასუხად "ნიუ იორკ პოსტმა" მისი კარიკატურა დაბეჭდა მინაწერით: "თუ პრეზიდენტად ამირჩევთ, ქვეყანას ყოველწლიურად ახალ პირველ ლედის ვპირდები, რომელიც აუცილებლად "მის ამერიკა" იქნება". ასეა, ტრამპის მექალთანეობის ამბავი ყველამ იცის. გარდა ამისა, მან გამოუშვა სუნამო Donald Trump-ი, თავისი სახელობის საათები, და ტანსაცმლის კოლექცია Trump Signature დამწყები ბიზნესმენებისათვის. გამოსცა რამდენიმე წიგნი, მეგობრობს ერთობ ოდიოზურ ფიგურებთან, მაგალითად, კრივის განთქმულ პრომოუტერ დონ კინგთან, პრეზიდენტ ბუშს კი ერაყში ომის გამო მწვავედ დაუპირისპირდა და ძარღვიანი გამონათქვამები არ დაიშურა.

ამიტომაც არის, რომ ტრამპი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნებაა. შარშან მან შესაბამის რეიტინგში მესამე ადგილი დაიკავა და უკან თვით მაიკლ ჯექსონი ჩამოიტოვა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 60 წლისაა, კვლავ საშინელ მექალთანედ რჩება, რაშიც ხელს "მის ამერიკას" და "მის სამყაროს" კონკურსების მეპატრონეობა უწყობს.

ტრამპის პირველი ცოლი ცნობილი ჩეხი მოთხილამურე ივანკა ზელნიჩეკი იყო, რომელთან ერთად 12 წელი იცხოვრა და რომელსაც 1990 წელს გაშორდა. აღსანიშნავია, რომ განქორწინების პროცესისას ივანკამ ქმარს 17 მილიონი დოლარი, უზარმაზარი სახლი და სამი ბავშვის სარჩენად, ყოველთვიური ალიმენტის სახით, 650 ათასი დოლარი ასცინცლა.

მეორედ ტრამპი 1994 წელს ზემოთხსენებულ მანეკენ მარლა მეიპლსზე დაქორწინდა. მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლმა დონალდმა ამჯერად ოთხწლიანი საქორწინო კონტრაქტი გააფორმა, რომლის ამოწურვის შემდეგ განქორწინება მოითხოვა და იმ კონტრაქტის წყალობით მარლას მხოლოდ 2,5 მილიონი დოლარი მისცა.

მესამედ კი დონალდმა უღელი შარშანწინ დაიდგა. ამჯერად მისის ტრამპი მელანია კნაუსი გახდა. ამჯერად, საქორწინო კონტრაქტის დეტალები საიდუმლოა. საინტერესოა, ეს ტრამპის უკანასკნელი ქორწინება იქნება, თუ ჯერ კიდევ არ დაშოშმინდა?

## ზრდა აშშ-ს ბირჟაზე

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე კვლავინდებურად დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის კლებამ, დოლარის კურსის გამყარებამ და დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,15 პროცენტით, 12.010,53 პუნქტამდე გაიზარდა. 0,02 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.337,69 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,03 პროცენტით, 1.368,18 პუნქტამდე მოიმატა.










## ნავთობის ფასმა 60 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა და ნავთობის ფასი პირველად უკანასკნელი 5 დღის განმავლობაში 60 დოლარი/ბარელის ფსიქოლოგიურ ნიშნულს ჩამოსცდა, კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 59,81 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 57,97 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა. ბუნებრივი აირის ფასმა კი ძალიან მნიშვნელოვნად მოიმატა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 6,807 დოლარი შეადგინა, რაც ხუთდღიანი მაქსიმუმი გახლდათ. ბუნებრივი აირის გაძვირების მიზეზი აშშ-ში საგრძნობი აცივება და სინოპტიკოსთა არადამაიმედებელი პროგნოზი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ოპეკი ნავთობის მოპოვების მოცულობა მცირდება, "შავი ოქროს" გაიაფება შესყიდვებისადმი ინტერესის კლებამ განაპირობა. ამის მიზეზი კი კვლავინდებურად აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის ზრდა გახლდათ. შესაბამისად, მოიკლო "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასმა და მისმა ღირებულებამ 55,27 დოლარი/ბარელი შეადგინა, რაც უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელი გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17. 1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონები გაძვირდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროს და სხვა ძვირფასი ლიფონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 0,4 პროცენტით მოიმატა და 592,6 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 0,3 პროცენტით, 11,82 დოლარი/უნციამდე, პლატინა 0,9 პროცენტით, 1093,1 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 4 პროცენტით, 332,2 დოლარი/უნციამდე გაძვირდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ძვირფასი ლითონების გაძვირების მიზეზი წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის ირგვლივ არსებული დაძაბულობა იყო. რომ არა ნავთობის გაიაფება, ძვირფასი ლითონების ფასი ალბათ კიდევ უფრო მოიმატებდა.

## Hewlett-Packard მსოფლიო ლიდერია

კომპიუტერულმა კომპანია Hewlett-Packard-მა, ევროპისა და განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე გაყიდვების ზრდის წყალობით, მთავარი კონკურენტი Dell უკან ჩამოიტოვა და პერსონალური კომპიუტერების მსოფლიო ბაზრის ლიდერი გახდა. მთლიანობაში, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მსოფლიო ბაზარზე Hewlett-Packard-ის წილი 1,2 პროცენტით, 16,3 პროცენტამდე გაიზარდა, Dell-ის კი 16,1 პროცენტამდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ბაზრის ლიდერი მთელი სამი წლის განმავლობაში იყო, მაგრამ აშშ-ს ბაზარზე გაყიდვების მოცულობის კლებამ პირველობა დააკარგინა.

## გერმანულ ბანკებს DimlerChrysler-ისაგან EADS-ის აქციების შეძენა სურთ

ხუთი უმსხვილესი გერმანული ბანკისაგან შემდგარ კონსორციუმს ავტომშენებელი კომპანია DimlerChrysler-საგან აეროკოსმოსური გიგანტის EADS-ის აქციების 7,5 პროცენტის შეძენა სურს. როგორც ცნობილია, გერმანიის მთავრობამ ჯერ კიდევ ორშაბათს განაცხადა, რომ DimlerChrysler-ისაგან, რომელიც EADS-ის 22,5 პროცენტ წილს ფლობს, გაყიდული აქციები გერმანელ მფლობელთა განკარგულებაში უნდა დარჩეს. აღნიშნული გარიგება ჯერჯერობით არ შეთანხმებულა, რადგან DimlerChrysler-ის მიერ მოთხოვნილი ფასი - 1,3 მილიარდი ევრო ბანკებს გადაჭარბებულად მიაჩნიათ.

## არიზონა ყველაზე გაუნათლებელი შტატია

ამერიკულმა კვლევითმა კომპანიამ Morgan Quinto Press-მა გამოაქვეყნა ქვეყნის შტატებში განათლების დონის მაჩვენებელი რეიტინგი, რომელიც საშუალო სკოლებში არსებული მდგომარეობის მიხედვით შეადგინეს. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე განათლებული მასაჩუსეტსის შტატია, მეორეზე კალიფორნია გავიდა, მესამეზე კი კონექტიკუტი. უკანასკნელი, 50-ე ადგილი არიზონამ დაიკავა, რომელმაც ნიუ ჯერსის ოდნავ გაუსწრო.

## საქართველოს ეროვნული ბანკი რუსეთის შსს-ს ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს

საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) მიზანმიმართულ სიცრუეს უწოდებს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს რუსეთის ბანკების მეშვეობით, ქართველმა კრიმინალებმა ფულის გათეთრების მიზნით, საქართველოში შვიდი მილიარდი აშშ დოლარი გადმორიცხეს. პრაიმ-ნიუს ბიზნესს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებს ფულის გათეთრებაში დადანაშაულებულ რუსულ ბანკებთან საქმიანი ურთიერთობა არ გააჩნიათ.

მათი ინფორმაციით, შესაძლოა, "ქართულ ბანკებში" ე.წ. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ის მოქმედი ბანკები იგულისხმებოდეს, რომლებთანაც რუსეთის საბანკო და საანგარიშსწორებო სტრუქტურებს უკანონო ურთიერთობა აქვთ დამყარებული. სებ-ის ინფორმაციით, სწორედ აღნიშნული ბანკები ეწევიან "შავი ფულის" გათეთრებას. ამის თაობაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ არაერთხელ მიმართეს რუსეთის ხელისუფლებას, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებს. სებ-ის განცხადებით, რუსეთის საბანკო სისტემაში არსებული კრიმინალური პროცესების ეთნიკური ნიშნით გაშუქება რუსეთის მხრიდან ანტიქართული ისტერიის ნაწილია.

პრაიმ-ნიუს ბიზნესს ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ გეგუჩაძემ განუცხადა, რომ რუსეთის ბანკების მიერ საქართველოში საეჭვო თანხების გადმორიცხვა მათი სამსახურის მიერ შემჩნეული და აღრიცხული არ ყოფილა. ბანკის ინფორმაციით, აღნიშნულ რუსულ ბანკებს ("გვკ ბანკ", "Новая Экономическая Позиция", "Принт БАНК"- i, "Инвесткомбанк Бэлком" და "Центурион" წარმოადგენენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველოს საფონდო ბირჟაზე 8 კომპანიის აქციები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) ხუთშაბათს გამართულ 80 (665)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი იყო 19 კომპანიის ფასიანი ქაღალდები, რომელთაგან გარიგება 8 კომპანიის აქციებზე დაიდო. გარიგებების რაოდენობა იყო 56, მათმა მოცულობამ 81 013 ფასიანი ქაღალდი, ჯამურმა ღირებულებამ კი 241 157 ლარი შეადგინა.

ხუთშაბათის ვაჭრობაზე "საქართველოს ბანკის" (GEB) 200 897 ლარის ღირებულების აქციები გაიყიდა.

გარიგებები ასევე "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (UTC), "დამკვეთის" (DAMK), "საქართველოს სახალხო ბანკის" (AMB), "კრწანისი-99"-ს (KR99), "ინდუსტრია-ინვესტის" (IND), "საქტრანსპროექტი-მწვანე ოფისი"-ს (STP), "ცეკავშირის თბილისის უნივერსალური საბითუმო სავაჭრო ბაზის" (TUSB) აქციებზე დაიდო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნება უძრავ ქონებას გააძვირებს

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქალაქეების რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ უძრავი ქონების ფასი გაიზრდება.

**"საქართველოში უძრავ ქონებაზე ფასი დღითიდღე იზრდება, მაგრამ ეს გამოწვეულია იმითაც, რომ თავად მოსახლეობის მოთხოვნა იზრდება. რაც შეეხება ჩვენი მოქალაქეების რუსეთიდან დაბრუნებას, ამის შემდეგ ბინებზე ფასები მთელი საქართველოს მასშტაბით რადიკალურად გაიზრდება,"** - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ექსპერტმა ეკონომიკურ საკითხებში სოსო ცისკარიშვილმა.

ცისკარიშვილის განცხადებით, სამშენებლო ბიზნესი საქართველოში კონკურენტუნარიანია და უძრავ ქონებაზე ფასების ხელოვნური ზრდა ვერ მოხდება.

**"ქონების დაგროვების საუკეთესო საშუალება უძრავი ქონების შეძენაა,"** - განმარტავს ცისკარიშვილი.

ბინების ფასმა, საქართველოს მასშტაბით, 49.6 პროცენტით მოიმატა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ეს მატება 2005 წლის 1 სექტემბრიდან 2006 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდშია დაფიქსირებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართული ღვინო ბრიუსელში ღვინის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობს

20-21 ოქტომბერს ბრიუსელში ღვინის საერთაშორისო გამოფენა იგეგმება, ამის შესახებ ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს უფროსის მოადგილემ შალვა ბერაიამ განაცხადა.

საერთაშორისო გამოფენა "მეგეზინ 2006" ყოველწლიურად იგეგმება და მასში სხვადასხვა ქვეყნის მეღვინეები მონაწილეობენ. "დელეგაციის წევრებს შორის ქართველი მეღვინეებიც იქნებიან და ქართულ ღვინოსაც წავიღებთ. ეს კიდევ ერთი გზაა იმისათვის, რომ მსოფლიო ქართული ღვინის ხარისხში დავარწმუნოთ," - განუცხადა "ჯი-ეიჩ-ენს" შალვა ბერაიამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 20/10 | 21/10 | 22/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 13 | 14 | 13 |
| რიგა | 4 | 11 | 14 |
| ვილნიუსი | 10 | 10 | 9 |
| მოსკოვი | 6 | 3 | 6 |
| მინსკი | 11 | 10 | 12 |
| პარიზი | 14 | 16 | 17 |
| რომი | 20 | 20 | 25 |
| ლონდონი | 16 | 16 | 17 |
| მადრიდი | 10 | 15 | 11 |
| ბონი | 15 | 14 | 15 |
| ვარშავა | 12 | 12 | 12 |
| ათენი | 22 | 22 | 26 |
| ბერნი | 17 | 16 | 18 |
| ამსტერდამი | 11 | 13 | 15 |
| ოსლო | 6 | 8 | 9 |
| ანკარა | 22 | 22 | 22 |
| ვარნა | 20 | 21 | 20 |
| დელი | 31 | 32 | 32 |
| ტოკიო | 22 | 18 | 22 |
| კოპენჰაგენი | 10 | 8 | 11 |
| ბაქო | 16 | 20 | 18 |
| ერევანი | 22 | 21 | 21 |
| ასტანა | 6 | 1 | -7 |
| ჰელსინკი | -7 | -5 | 2 |
| დუბლინი | 15 | 11 | 11 |
| ლისაბონი | 18 | 22 | 19 |
| პრაღა | 12 | 17 | 15 |
| სოფია | 19 | 16 | 18 |
| ბუდაპეშტი | 12 | 13 | 17 |
| ბუხარესტი | 18 | 19 | 20 |

# ქართული ფოლადი მალე გვექნება

პირველი გვერდიდან

*სწორედ ასეთი ისტორიის მსხვერპლი აღმოჩნდა "რუსთავის მეტალურგიული ქარხანა". მომხიბვლელი ინვესტორის ძებნაში, თანაც ისეთის, რომ შევარდნაძის ხელისუფლებისთვის იოლი სამართავი ყოფილიყო, კომბინატი რამდენჯერმე აღმოჩნდა ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ, საპრივატიზაციოდ გამზადებულ ობიექტთა ნუსხაში, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხან ხელისუფლებამ ვერ გაუგო ინვესტორს, ხან კი ამ უკანასკნელს გაუცრუვდა იმედები. მოკლედ, ხელისუფლებისა და უკვე გაქცეული თუ გაგდებული ინვესტორების ბიზნესინტერესები ერთმანეთს ვერ დაემთხვა. როგორც ამბობენ, მათ შორის გარიგება ვერ შედგა.*

*შარშან შემოდგომაზე კი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ახალი პატრონი გამოუჩნდა. მეტალურგიული კომპლექსი საჯარო აუქციონზე 26 მილიონ დოლარად ქართულმა კომპანია შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" შეიძინა, რომელიც, ოფიციალური ინფორმაციით, დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული "ჯორჯიან სტილ ჰოლდინგ ლიმიტიდის" მიერ არის დაფუძნებული.*

*ხელისუფლება ქარხნის ამ ფორმით გასხვისებას პოზიტიური განწყობით შეხვდა და აცხადებდა, რომ მეტალურგიულ კომბინატს რეალური ინვესტორი გამოუჩნდა. თუმცა მის აზრს თავიდანვე არ იზიარებდა საზოგადოების ერთი ნაწილი და საწარმოს ღია აუქციონის წესით გაყიდვას არამართებულად მიიჩნევდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ირწმუნებოდნენ რომ ქარხანა ჯართის სახით გაიყიდებოდა და ინვესტორების დაინტერესებასაც სწორედ ამ მიზნით ხსნიდნენ. მოგვიანებით კი, ქარხნის გაკოტრების მმართველსა და ინვესტორს შორის ხელშეკრულების ბუნდოვან დეტალებზეც ალაპარაკდნენ და საწარმოს ახალ მეპატრონეს უნდობლობა გამოუცხადეს.*

*ჟურნალისტური ძიების შემდეგ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივაკვლიეთ კომპანიის პირველ პირს, ბატონ ჟოზეფ კეის, რომელიც საკმაოდ გულახდილი და საქმიანი აღმოჩნდა.*



ჟოზეფ კეი.

**- ბატონო ჟოზეფ, დღემდე უცნობია იმ ხელშეკრულების დეტალები, რომელიც ქარხნის გაკოტრების მმართველსა და "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსს" შორის დაიდო... და მაინც, რა ვალდებულებები იკისრა ინვესტორმა?**

- მთელი მეტალურგიული კომპლექსი, მათ შორის, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა შარშან ოქტომბერში, ღია აუქციონის წესით გაიყიდა, რომელიც გაკოტრების მმართველის მიერ ჩატარდა. პროცესში მონაწილეობა ნებისმიერ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს შეეძლო. გასაყიდად გამოტანილი იყო გაკოტრების მასაში შესული ქარხნის მთელი ქონება და ტერიტორია. აუქციონში მხოლოდ "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" მონაწილეობდა, რომელმაც მთელი ეს კომპლექსი და დედოფლის წყაროს კირქვის კარიერიც შეიძინა. ერთადერთი პირობა, ჩვენი, როგორც ინვესტორის მხრიდან ღია, გამჭვირვალე აუქციონის ჩატარება იყო. გაკოტრების მმართველთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, თუმცა კომპანიას, როგორც ინვესტორს, სამართლებრივად, ხელშეკრულების გათვალისწინებით, არანაირი ვალდებულება არ ეკისრება, მისი ერთადერთი ვალდებულება აღნიშნულ ქონებაში მაქსიმალური ფასის გადახდა წარმოადგენდა, რაც შესრულდა კიდეც. ჩვენივე სურვილით ვიტვირთეთ ვალდებულება, რომ ქარხანას ფეხზე დავაყენებდით, ეს იყო ჩვენი მიზანი და ამიტომაც ვიბრძვით ქარხნის პროფილის შენარჩუნებაზე.

**- ამის მიუხედავად, ქარხნის ახალ მეპატრონეს საზოგადოების დიდი ნაწილი საკმაოდ ნეგატიური განწყობით შეხვდა, იმ მიზეზით, რომ ახლად მოსული ინვესტორი, წინამორბედების მსგავსად, საწარმოს პროფილის შენარჩუნებას არ შეეცდებოდა და ქარხანა ჯართით სახით გაიყიდებოდა...**

- თავდაპირველად, საზოგადოების დიდი ნაწილი საკმაოდ პოზიტიური განწყობით შეგვხვდა, მოგვიანებით შეეცვალათ განწყობა, იმ მოტივით, რომ ამ ქონებას ინვესტორი ვერ მოუვლის და ქარხანა ჯართის სახით გაიყიდება. "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" ზრუნავს ქარხნის რეაბილიტაციაზე, აღდგენაზე და უკვე ერთი წელია, მისი ტერიტორიიდან ჯართის სახით ერთი კილოგრამი მეტალიც არ გაყიდულა. გაჩერებული საწარმო ავამუშავეთ, სულ მალე კი ქარხანაში ქართული ფოლადის წარმოება აღდგება.

**- ზოგიერთი ბიზნესჯგუფების პირად ინტერესებს გამორიცხავთ?**

- არც ამას გამოვრიცხავ. დღეს გამორიცხული არაფერია, ამ წლების განმავლობაში ქარხანაში რამდენი ინვესტორი იყო შესული? მაგრამ ბოლომდე მათთან ომს ვერ გაუძლო, ზოგი წავიდა, ზოგიერთიც გააქციეს. დღეს ჩვენ ამგვარ ქმედებებს არ დავუშვებთ, ჩვენ მხარს ქვეყნის პრეზიდენტიც გვიჭერს. მეტალურგიულ ქარხანას აუცილებლად ფეხზე დავაყენებთ. ამის შესაძლებლობა და უნარი შეგვწევს და ვინც არ უნდა მოინდომოს მისი დანგრევა და გაპარტახება, არ დავუშვებთ. დღეს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საქმე კეთდება და საკმაოდ წარმატებულადაც.

**- და მაინც რა კეთდება დღეს მეტალურგიულ ქარხანაში, და საერთოდ რა გაკეთდა ამ ერთი წლის განმავლობაში? რა მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები განახორციელეთ საწარმოში?**

- ერთი წელია, "რუსთავის მეტალურგიული ქარხნის" ტერიტორიიდან მეტალის ჯართისა და წიდის რეალიზაციის მიზნით გატანის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, რასაც ხელი ჩვენმა სპეციალურმა ამკრძალავმა ბრძანებამ შეუწყო. ქარხნის ტერიტორია მუდმივად კონტროლდება დაცვის თანამშრომლების მიერ. ამ ბრძანების შესახებ სამხარეო პოლიციასაც ვაცნობეთ. 2006 წლიდან ქარხნის თანამშრომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. იანვრის დასაწყისში არსებული 640 თანამშრომლის ნაცვლად დღეს უკვე სხვადასხვა თანამდებობებზე 1300-ზე მეტი ადამიანი მუშაობს. საწარმოს კადრებით დაკომპლექტების პროცესი უწყვეტად, ყოველდღიურად მიმდინარეობს, რაც იმაზეც მიანიშნებს, რომ მეტალურგიულის რეკონსტრუქციისა და ახალი სიმძლავრით ამუშავების პროცესი უკვე დაწყებულია. ამ პროცესში მონაწილეობას უმთავრესად ქარხნის ყოფილი თანამშრომლები იღებენ. ამასთან, იზრდება მათი ხელფასებიც. საშუალო მატებამ 2 თვის განმავლობაში 15,2 პროცენტი შეადგინა. ქარხნის სრულად დატვირთვის შემთხვევაში შესაძლებელია 6-8 ათასი ადამიანის დასაქმება.

ჩვენი ძირითადი მიზანია, ქარხანამ კვლავინდებურად საკუთარ ნედლეულზე - ქართულ ფოლადზე იმუშაოს. შემუშავებულია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სრული ციკლის აღდგენის ტექნოლოგიური და ფინანსური გეგმა. ვმუშაობთ მსოფლიოში ცნობილ წამყვან სპეციალისტებთან.

წლების წინათ, ქარხანაში ფოლადს მარტენის საამქროები ასხამდნენ, დღეს ეს დანადგარები დანგრეულია, ტექნოლოგია კი - მოძველებული. ქარხნის სარეაბილიტაციო და აღდგენის პროგრამა, რომელიც ძირითადად ფოლადის ჩამომსხმელი თანამედროვე ელექტროღუმელების დამონტაჟებას ითვალისწინებს, 2 წელზეა გათვლილი. 2008 წლის შემოდგომაზე ქარხანა 500-600 ათასი ტონა ფოლადის ჩამოსხმას შეძლებს. მაგრამ ვიდრე აღნიშნული ელექტროღუმელები დამონტაჟდება, იძულებულები ვართ, ნედლეული უკრაინიდან და რუსეთიდან შემოვიტანოთ, რათა ქარხანაში წარმოება არ შეჩერდეს და საკუთარი პროდუქცია გამოუშვას.

**- ქარხანას გაზაფხულზე, ერთი კვირის განმავლობაში უკრაინელი სპეციალისტები სწავლობდნენ, მოგვიანებით ქარხნით გერმანელი და ბულგარელი სპეციალისტებიც დაინტერესდნენ, რა მიზანს ემსახურებოდა მათი ვიზიტი რუსთავში? ამ ეტაპზე ქარხანას ბრიტანული კომპანია "ატკინსიც" სწავლობს....**

- გაზაფხულზე ქარხანაში უკრაინის სამი ძლიერი კომპანიის "Укрэнергором", "Технергоаудит" და "Энергоспецмонтаж" სპეციალისტები იმყოფებოდნენ. მათ რუსთავში ვიზიტს ორი მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდა, კერძოდ, მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის აღდგენის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. თბოელექტროსადგურის აღდგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქარხნის ამუშავებისთვის აუცილებელია საკუთარი ელექტროენერგიისა და თბური ენერგიის გამომუშავების სადგურის არსებობა, რაც ქარხანას 100 მეგავატ სიმძლავრეს მისცემს. ივლისში კი ქარხანაში გერმანული კომპანია "Polysius"-ის სპეციალისტი და ბულგარული კომპანია "Velder-group"-ის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. გერმანელი სპეციალისტის მიზანი ქარხანაში ცემენტის წარმოების ტექნიკური საშუალებების არსებობის განხილვა იყო. დადგინდა, რომ ქარხანას დღეში 250 ტონა ცემენტის წარმოების საშუალება გააჩნია, რაც დიდ სარგებელს მოუტანს მას. ბულგარელი სპეციალისტები სორტული საამქროს აღდგენა-სარეკონსტრუქციო საქმესთან დაკავშირებით ჩამოვიდნენ და შესაბამისი ტექნიკური დავალებაც შემოგვთავაზეს. პირველი ეტაპი დასრულებულია, რაც ითვალისწინებდა გამახურებელი ღუმელის რეკონსტრუქციას, თანამედროვე ელექტროაპარატურის შეძენასა და მონტაჟს. შემდგომი ეტაპები გლინულას ხაზის მონტაჟსა და სხვადასხვა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ითვალისწინებს. წვრილსორტოვანი საამქროს აღდგენა 2007 წლის მაისში დასრულდება. თავდაპირველად მცირე პროდუქციის გამოშვებას შევძლებთ, რომელიც საბოლოოდ 200 ათას ტონამდე გაიზრდება.

ქარხნის სამრეწველო და საინჟინრო პოტენციალის სრული შესწავლის მიზნით ჩვენ მოვიწვიეთ ბრიტანული საკონსულტაციო კომპანია "ატკინსი და პარტნიორები". მათი ხედვები და წინადადებები მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქარხნის ამუშავებისა და შემდგომი განვითარების საქმეში. ქარხნისადმი ასეთი დიდი დაინტერესება უცხოელი ინვესტორებისა და სპეციალისტების მხრიდან, დიდ წარმატებას მოუტანს ქარხანას. ეს თავის მხრივ შეადგენს ქარხნის სარეაბილიტაციო პროცესის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს.

**- მაისში "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში" მუშაობა დაიწყო პროფესიული სწავლების ცენტრმა. ცოტა რამ ამ ცენტრისა და მისი მიზნების შესახებ...**

- ქარხანა საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში ჩავიბარეთ. აქ 10-12 წლის განმავლობაში საწარმოო პროცესი შეჩერებული იყო, აქედან გამომდინარე, ძველ კადრებს კვალიფიკაცია დაუქვეითდათ, ხოლო ახალი კადრების მიღებას გამოცდილებისა და შესაბამისი ცოდნის გარეშე აზრი არ ჰქონდა. პროფესიული სწავლება ქარხანაში 15 წელია არ ჩატარებულა, ახალი თაობა ამ დარგით არ დაინტერესებულა. ეს დასაქმებულთა საშუალო ასაკზეც მეტყველებს, რომელიც 40 წელს შეადგენს. ამიტომაც პირველივე დღიდან შევქმენით შესაბამისი სტრუქტურა, რომელიც კადრების პროფესიულ განვითარებაზე იზრუნებდა. ჩვენს პრიორიტეტს ახალი კადრების მომზადება წარმოადგენს.

**- ქარხანა ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიული ფაკულტეტს ეხმარება, ამ პროგრამის შესახებ....**

- მეტალურგიული ქარხანა ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიული ფაკულტეტის მხარდაჭერის მრავალწლიან პროგრამას განახორციელებს. პროგრამის ფარგლებში მოხდება წარმატებულ სტუდენტებზე სტიპენდიების გაცემა, მატრიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ფინანსური დახმარება, ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ 90-იან წლებამდე ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულების უმეტესობას რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ასაქმებდა. მეტალურგიული ქარხნის ამუშავების შემთხვევაში გადაიჭრება სტუდენტების დასაქმებისა და პრაქტიკული სტაჟირების უზრუნველყოფის პრობლემაც.

**- დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამას თუ გამოეხმაურეთ?**

- დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამის ამოცანას წარმოადგენდა პროფესიული მომზადების მაძიებელი მოქალაქის დაკავშირება მეწარმესთან, რაც ჩვენთვის საკმაოდ მისაღები აღმოჩნდა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ქარხანამ 100 მოქალაქე დაასაქმა. მათ საშუალება ეძლევათ, აიმაღლონ კვალიფიკაცია, ან დაეუფლონ ახალ პროფესიას. მეტალურგიულ ქარხანაში შეირჩა პროფესიები, შედგა სწავლების ჯგუფები და პროგრამები, რომლის შესაბამისადაც ხდება დასაქმებულთა სწავლება და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება. პრაქტიკაგავლილთაგან შეირჩევიან საუკეთესონი და ქარხანაში გააგრძელებენ მუშაობას.

**- ქარხნის ახალი ხელმძღვანელობა რუსთავის ფეხბურთის გუნდითაც დაინტერესდა...**

- გარდა ქარხნისა, ჩვენ ქალაქის კეთილდღეობაზეც ვზრუნავთ, რუსთავში მეტალურგების დღე გრანდიოზული კონცერტით აღინიშნა. პირველად ქარხნის ისტორიაში ამ თარიღთან დაკავშირებით საყოველთაო დღესასწაული მოეწყო. გარდა ამისა, დავიწყეთ გადამზადების სხვადასხვა პროგრამების განხორციელებაც, კერძოდ, ქარხანასა და შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის საერო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც სტუდენტების საწარმოს ბაზაზე სასწავლო პრაქტიკის განხორციელებას გულისხმობს. ჩვენ, აგრეთვე, საფეხბურთო კლუბს, რუსთავის "ოლიმპს" ვპატრონობთ. შევიძინეთ სტადიონიც, ვცდილობთ ხელი შევუწყოთ სპორტის განვითარებას რუსთავში, რათა გაიზარდოს უფრო სპორტული და ჯანსაღი ახალი თაობა.

**- ცოტა რამ სამომავლო გეგმებზე....**

- რაც შეეხება გეგმებს, ის საკმაოდ ვრცელი და პერსპექტიულია ჩვენი მიზანია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სრული ტექნოლოგიური ციკლის აღდგენა, რომელიც ითვალისწინებს პირველ ეტაპზე წელიწადში 500-600 ათასი ტონა ფოლადის ჩამოსხმას. ეს თავისთავად მოგვცემს ამავე რაოდენობის პროდუქციას ("არმატურა", მილები და სხვა), რომელიც დღეს სახალხო მეურნეობაში დეფიციტს წარმოადგენს. ქარხნის სრული დატვირთვის შემთხვევაში, როგორც ავღნიშნე, პირდაპირი გზით დასაქმდება 6-8 ათასი ადამიანი. სამუშაო ადგილების ზრდა - ეს ჩვენი პრიორიტეტია!

რუსთავის ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად დასაყრდენ ძალას სწორედ მეტალურგიული ქარხანა წარმოადგენს. ქარხანა 15 წელი გაჩერებული იყო, რაც რუსთავის, როგორც ქალაქის, განვითარებაზეც აისახა, მოსახლეობის ცხოვრების დონემ დაიწია, უმუშევრობამ პიკს მიაღწია, ქალაქში სიცოცხლე ჩაკვდა... ქარხნის რეკონსტრუქცია და წარმოების სრული აღდგენა თავისთავად გამოიწვევს ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას, არაპირდაპირი გზით დასაქმდება 20-25 ათასი ადამიანი (ტრანსპორტი, საკვების ობიექტები, და სხვა).

როგორც ავღნიშნე, ჩვენი მიზანია ქარხნის სრული რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია. 23 ოქტომბერს დაგეგმილია მილსაგლინავი, მილამდიდავი, მექანიკური, კირისა და დოლომეტის საამქროების ამუშავება, რასაც ალბათ, საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრება. "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" მთელი ძალებით ზრუნავს ქარხნის რეაბილიტაციაზე, საამისოდ კი 200 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს.

## კახეთში ევროპული სტანდარტების ღვინის ქარხანა იხსნება

25 ოქტომბერს კახეთში, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში ღვინის კომპანია "ბადაგონის" მთავარი საწარმო - ქართულ-იტალიური, ევროპული სტანდარტების, ღვინის ქარხანა გაიხსნება. კომპანიის ინფორმაციით, ქარხნის გახსნის საზეიმო ცერემონიალს უცხოელი და ქართველი მეღვინეები, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები დაესწრებიან. მიწვეულ სტუმრებს შორის არიან მსოფლიოს საუკეთესო მეღვინეთა ათეულის წევრი, ღვინის საერთაშორისო ლაბორატორია "ენოზისის" ხელმძღვანელი, დოქტორი დონატო ლანატი, კომპანია "არმანიაკის" პრეზიდენტი ჟან-პიერ დარტიბალონგი, ცნობილი ფრანგი კინომსახიობი კაროლ ბუკე და უკრაინის რადას დეპუტატები. საზეიმო ცერემონია ალავერდის ტაძარში დაიწყება, სადაც კომპანია "ბადაგონის" დახმარებით ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ღვინის მარანი გაიხსნება. მონასტრის მამები სამონასტრო ღვინოს მარანში, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, პირველად ჩამოასხამენ. საზეიმო ღონისძიებები 27 ოქტომბრამდე გაგრძელდება. მასში მონაწილეობას საქართველოს მთავრობის, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებიც მიიღებენ. კომპანია "ბადაგონის" ქარხნის გახსნას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრება. **მედიანიუსი**

## ხელისუფლება ბიზნესმენებს ხელშეწყობას აღუთქვამს

საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციის შეკითხვები ხელისუფლებისადმი რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებულ ურთიერთობას ეხებოდა. **"რუსეთიდან პროდუქტის შემოტანა აკრძალულია. აღარაფერს ვამბობ საქართველოდან რუსეთში პროდუქციის გატანაზე. რუსეთის მხრიდან ემბარგოს დაწესებამ საქართველოში ფასების გაორმაგება უკვე გამოიწვია. მაინტერესებს, ხელისუფლებას რა მექანიზმი აქვს ამ პრობლემის მოსაგვარებლად,"** - განაცხადა დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენელმა გიორგი ცანავამ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ ამის საპასუხოდ აღნიშნა, რომ ხელისუფლება ყველა ბიზნესმენს ხელს შეუწყობს იმაში, რომ პროდუქცია სხვა ქვეყნებიდან შემოიტანონ. **"მთავრობა ბიზნესმენების საქმიანობაში ვერ ჩაერევა, მაგრამ მათი მხრიდან სურვილის გამოთქმის შემთხვევაში მათ ყველა ბიუროკრატიული პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება,"** - განაცხადა მინისტრმა და დასძინა, რომ საუბარია ნებისმიერი სახის პროდუქციაზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს მთავრობა "კონტროლ ბანკის" ვალს გადაიხდის

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ავსტრიის "კონტროლ ბანკს" შორის ვალის დაფარვის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტმა დღეს მოახდინა. დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მთავრობა ავსტრიის კომერციული ბანკის წინაშე ვალის გადახდის ვალდებულებას იღებს. საუბარია 1989 წელს სასტუმრო "მეტეხის" მშენებლობისთვის აღებული ვალის შესახებ. ამ ვალის გარანტორები იყვნენ თბილისის მერია და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მას შემდეგ, რაც ვალი სასტუმრო "მეტეხის" კომერციულმა მეპატრონემ ვერ გადაიხადა, ავსტრიის მოთხოვნით, საქართველო გახდა ავსტრიის მევალე. "პარიზის კლუბში" საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის დროს ავსტრიის მიმართ ვალი განისაზღვრა 75 778 000 ევროს ოდენობით. თუმცა, ეს ვალი დაექვემდებარა ჩარჩო ხელშეკრულებას და ამჟამად ვალის მოცულობა განსაზღვრულია 36 მილიონი ევროთი. 36 მილიონიდან საქართველოს მთავრობა 1997 წლიდან ავსტრიის ერთ-ერთ ბანკში საქართველოს გაყინულ ანგარიშზე რიცხავს 13 მილიონს. ამის გამო საქართველოს ვალი დარჩენილია 22,5 მილიონი ევრო. პარლამენტის მიერ ამ ხელშეკრულების რატიფიცირების შემთხვევაში საქართველო 2007 წლის 29 დეკემბრამდე 22,5 მილიონ ევროს გადაიხდის. გარდა ამისა, საქართველოს ავსტრიის მიმართ კიდევ დარჩება 1 600 000 ევრო. ეს არის წმინდა კომერციული ვალი და "პარიზის კლუბის" რესტრუქტურიზაციას არ ექვემდებარება. **ჯი-ეიჩ-ენი**




# საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

**მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად (IFB)**
თარიღი: 20 ოქტომბერი, 2006 წ.
სესხის N: 3264-GE
IFB N: SRS/NCB/01

1. საქართველომ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი სტრუქტურულ რეფორმათა ხელშეწყობის პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით შეისყიდოს საინფორმაციო მასალების ბეჭდვა (მოსახლეობის ინფორმირება, განათლება, კომუნიკაციის კამპანიის უზრუნველსაყოფად). საინფორმაციო მასალები განკუთვნილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის.

2. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი აცხადებს საკონკურსო წინადადებების მიღებას ყველა უფლებამოსილი მონაწილისაგან საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის საინფორმაციო-ნაბეჭდი (საქაღალდეები, ბუკლეტები, ჯიბით) მასალების მოწოდებაზე (მოსახლეობის ინფორმირება, განათლება, კომუნიკაციის კამპანიის უზრუნველსაყოფად).

3. დაინტერესებულ უფლებამოსილ მონაწილეებს შეუძლიათ მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ საკონკურსო დოკუმენტებს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ოფისში შემდეგ მისამართზე:
ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
ქ. თბილისი 0160, საქართველო.
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-19-39, 38-82-10, 38-82-20
ელ-ფოსტა: info@hpic.ge
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

4. საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ უფლებამოსილ მონაწილეს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებ ცენტრში წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდეგ. სატენდერო მოსაკრებელი არ მოითხოვება.

5. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები: 1) ბოლო 3 წლის განმავლობაში, წარმატებით განხორციელებული სულ მცირე ერთი კონტრაქტი მსგავსი საქონლის მიწოდებაზე, საკონტრაქტო ღირებულებით 15000.00 ლარი. მონაწილემ უნდა წარმოადგინოს მსგავსი კონტრაქტის არსებობისა და მისი წარმატებით განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. 2) მომგებიანი საქმიანობა ბოლო ორი - 2004 და 2005 წლის განმავლობაში. (წარმოდგენილ უნდა იქნას ბოლო 2 წლის (2004 და 2005) საბალანსო მონაცემები, წარდგენილი და დამოწმებული შესაბამისი საგადასახადო სამსახურის მიერ)

6. საკონკურსო განაცხადები მიწოდებულ უნდა იქნას ზემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 17 ნოემბრის 16:00 საათამდე. დაგვიანებული საკონკურსო განაცხადები არ მიიღება და გაუხსნელად დაუბრუნდება გამომგზავნს. საკონკურსო საბანკო გარანტია არ მოითხოვება.

7. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით, (რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ) 2006 წლის 17 ნოემბერს, 16:00 საათზე, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტის ოფისში (ზემოთ მითითებულ მისამართზე)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# "ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსების" პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის პირობები

■ პროგრამა ითვალისწინებს 200 აბიტურიენტის დაფინანსებას 2007 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსებზე სასწავლებლად. მოსამზადებელ კურსებზე ჩარიცხული აბიტურიენტები მიიღებენ სტიპენდიას თვეში 50 ლარის ოდენობით.

■ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შემდეგი კატეგორიის აბიტურიენტებს:

1. კონფლიქტის ზონაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები -- აბიტურიენტები, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ცხინვალის რეგიონში, ჯავის რაიონში;
2. ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტურად განსახლების რეგიონებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლი საქართველოს მოქალაქეები -- აბიტურიენტები, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არაქართულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში;
3. მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები -- აბიტურიენტები, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში: მესტია, ლენტეხი, ონი, ქედა, ხულო, შუახევი, ყაზბეგი, დუშეთი (ბარისახოს, შატილისა და ქვეშეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები), ადიგენი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, დმანისი, ახმეტა (პანკისის ხეობა, ზემო და ქვემო ალვანი);
4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;
5. კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები;
6. ქართული ეთნიკური წარმოშობის უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

■ მოსამზადებელ კურსებზე აბიტურიენტების ჩარიცხვა მოხდება ზოგად უნარ-ჩვევებში ტესტირების შედეგად;

■ გრანტის მოპოვების მსურველთა განცხადებებს განიხილავს და გამარჯვებულებს გამოავლენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილი კომისია;

■ თუ შემოსული განცხადებების რაოდენობა აღემატება მოსამზადებელ კურსებზე ჩასარიცხი აბიტურიენტების რაოდენობას, კატეგორიების მიხედვით კვოტებს დაადგენს კომისია;

■ გრანტის მოპოვების მსურველმა აბიტურიენტებმა 2006 წლის 1 ნოემბრამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

■ წერილობითი განცხადება;
■ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
■ ზოგადი განათლების საბოლოო შეფასების უწყისის ასლი;
■ პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

**დამატებითი დოკუმენტაცია:**
*კონფლიქტის ზონაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის;*
*ქართული წარმოშობის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის;*
*ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის;*
*მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში მცხოვრებთათვის --*

■ ცნობა, თუ რომელ ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ბოლო 3 წლის განმავლობაში (9-10-11 კლასებში ამორიცხვა-ჩარიცხვის ბრძანების თანდართვით, ცოცხალი ბეჭდით)

*საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებისთვის --*

■ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული ომში დაღუპული ოჯახის წევრის მოწმობა ან ცნობა შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდით;

■ მშობლის გარდაცვალების მოწმობის ასლი ან სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი მშობლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ;

*კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავალთათვის --*

■ შთამომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დაბადების მოწმობის ასლი;
■ ცნობა დეპორტირების შესახებ;
■ ცნობა დეპორტაციამდე სამცხე-ჯავახეთში ცხოვრების შესახებ;

■ აბიტურიენტი, რომლებიც სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გააცდენს მეცადინეობებს, ავტომატურად გაირიცხება კურსებიდან. გამოთავისუფლებულ ადგილს დაიკავებს სარეზერვო სიაში მოხვედრილი აბიტურიენტი;

ბიტურიენტი, რომელიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდება სწავლის პროცესს, მოსამზადებელი კურსების ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე, გაირიცხება კურსებიდან.



# წინასიტყვაობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკანონმდებლო ბაზის შესახებ

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკანონმდებლო ბაზა ყალიბდება კანონში "ზოგადი განათლების შესახებ" ცვლილებებისა და დამატებების შეტანით. კანონში შეტანილი ცვლილებები ეფუძნება "მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციას" რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 9 თებერვლის N29 დადგენილებით და პრეზიდენტის 2006 წლის 26 ივნისის N383 ბრძანებულებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დაარსების შესახებ. კანონში შეტანილი ცვლილებები აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა საქმიანობის პირობებსა და წესს.

ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარეობს მასშტაბური ცვლილებები: ცენტრალიზებული მართვა იცვლება არჩევითი თვითმმართველობით, დაფინანსების სისტემა არჩევანის თავისუფლების პრინციპს ეფუძნება, ინერგება ეროვნული სასწავლო გეგმა, გაკვეთილის დაგეგმვისა და სწავლების სტრატეგიები, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესში ინერგება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. ყველა ცვლილების ცენტრში დგას მოსწავლე. რეფორმა მიზნად ისახავს მოსწავლისათვის უკეთესი განათლების მიცემას და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებას, მის მომზადებას სწრაფადცვალებად საზოგადოებაში ადაპტირებისათვის. მოზარდის სწავლაში მიღწეული წარმატებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მცოდნე, მზრუნველი და პასუხისმგებლობის მქონე მასწავლებელია. აქედან გამომდინარე, აქტუალური ხდება მასწავლებლის როლი - მან უნდა შეძლოს ცვლილებების გათავისება და აქტიური განხორციელება.

ბოლო ათწლეულების ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, განათლების სისტემისადმი უყურადღებობამ უარყოფითად იმოქმედა მასწავლებელთა პროფესიულ სტატუსსა და მათ კვალიფიკაციაზე. არ არსებობდა მასწავლებელთა მომზადების, პროფესიული განვითარებისა და მასწავლებლობის უფლების მინიჭების ერთიანი სისტემა; არ არსებობდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა მომზადება ძირითადად მიმდინარეობდა მოძველებული სასწავლო პროგრამებით. ამასთანავე, პროფესიული განვითარების ერთფეროვანი პროგრამები ვერ პასუხობდა მასწავლებელთა მოლოდინებსა და საჭიროებებს. პროფესიული განვითარების სისტემა არ იყო დაკავშირებული კარიერულ ზრდასთან და ანაზღაურებასთან, რაც განაპირობებდა მასწავლებელთა დაბალ მოტივაციას პროფესიული განვითარების მიმართ.

არ არსებობდა მასწავლებლის შრომის შედეგების გაზომვისა და შეფასების ობიექტური მექანიზმები. მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ხშირ შემთხვევაში დამოკიდებული იყო სკოლის დირექტორის კეთილგანწყობაზე და თავად მასწავლებლის მიერ საკუთარი საქმიანობის წარმოჩენის უნარზე. ამის გამო, ბევრი ჩინებული პედაგოგი ჩრდილში მოექცა ან იძულებული გახდა საერთოდ მიეტოვებინა პედაგოგიური საქმიანობა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მნიშვნელოვნად დაეცა პედაგოგის პროფესიის პრესტიჟი, რაც უკავშირდებოდა ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს - სკოლების სავალალო მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობას, დაბალ ანაზღაურებას, შემოქმედებითი და ეფექტური პროფესიული განვითარების პროგრამების სიმცირეს. ყოველივე ამან, მასწავლებელთა ერთი ნაწილი იძულებული გახადა არაკანონიერი ფინანსური გარიგებები დაედო მშობლებთან ან მიემართა რეპეტიტორობის არაეთიკური ფორმის - საკუთარი მოსწავლეების მომზადებისათვის. მოჯადოებული წრის პრინციპით ეს მავნე პრაქტიკები უბრუნდებოდა მასწავლებელებს რეპუტაციის შემდგომი დაკნინებით.

2004 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო ზოგადი განათლების სისტემური რეფორმის განხორციელება. გასტუმრებულ იქნა მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი მასწავლებელთა 40 მილიონიანი სახელფასო დავალიანება, 2005-2006 სასწავლო წლიდან 51 მილიონი ლარით გაიზარდა სკოლების დაფინანსება. მოსწავლეზე გათვლილმა დაფინანსების სისტემის შემოღებისა და დაფინანსების ზრდის შედეგად: სკოლებს გაუჩნდათ შესაძლებლობა დამოუკიდებლად მართონ საკუთარი ფინანსები, ზოგადი განათლების სისტემაში თანხების სამართლიანად გადანაწილდა, მასწავლებლების ხელფასები საშუალოდ 80%-ით გაიზარდა, ხოლო მრავალ სკოლას გაუჩნდა დამატებითი ფინანსური სახსრები სასკოლო გარემოს გასაუმჯობესებლად.

ზოგადი განათლების სისტემაში განხორციელებული უპრეცენდენტო ინვესტიციების ეფექტიანობა პირდაპირ უკავშირდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთიანი, განათლების ხარისხის ზრდაზე ორიენტირებული სისტემის ფუნქციონირებას. ამ სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია კვალიფიკაციისა და შრომის შედეგების შეფასების სანდო, ობიექტური მეთოდების არსებობა და ამ შედეგების მუდმივი გაუმჯობესებისათვის შესაბამისი მოტივაციის მექანიზმების შექმნა.

ზოგადი განათლების კანონში შეტანილი ცვლილებები ხელს შეუწყობს მასწავლებლის პროფესიის რეგულირებას: დადგინდება მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ჩამოყალიბდება მასწავლებელთა რეგისტრაციისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემა; შეიქმნება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი - პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაქმნელად. გამომდინარე მასწავლებლის პროფესიის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან, განსაკუთრებულ საჭიროებას იძენს, როგორც საკუთრივ პედაგოგიური, ასევე ფართო საზოგადოების აქტიური ჩართვა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შედგენისა და განვითარების პროცესში. პირველ რიგში აქტიურობა მართებთ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ჩამოყალიბება დაიწყო 2006 წლის თებერვლიდან. დაიგეგმა კვლევა, რისთვისაც შეირჩა სხვადასხვა ტიპის 31 სკოლა. კვლევაში მონაწილეობდა 713 მასწავლებელი, 930 მოსწავლე და 775 მშობელი. მოპოვებული მასალა შეჯერდა, დამუშავდა სპეციალისტების მიერ და, ამ მასალებზე დაყრდნობით, შემუშავდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის სამუშაო ვარიანტი. იმავე მასალის საფუძველზე მუშავდება მასწავლებლის ეთიკური ნორმები - ღირებულებების, პასუხისმგებლობების, დამოკიდებულებებისა და ზნეობრიობის ერთობლიობა, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველა მასწავლებლისათვის, რათა მათ ღირსეულად გაართვან თავი პროფესიული მოვალეობების შესრულებას და იყვნენ სამაგალითონი მოსწავლეებისათვის, ასევე იმ უბნებისა და თემებისთვის, სადაც მათ უწევთ ცხოვრება და მოღვაწეობა. მიმდინარე თვეში პროფესიული სტანდარტის და ეთიკური ნორმების პირველი რედაქცია წარედგინება ფართო საზოგადოებას განხილვისათვის.

ბოლო წლებში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავებაში - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მასწავლებლის პროფესიული განვითარების კონცეფცია და ა.შ., მასწავლებლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის განვითარების პროცესიც მთლიანად საჯარო და გამჭვირვალე იქნება. ნიშანდობლივია, რომ თითოეულ მასწავლებელს ეძლევა საშუალება, გახდეს იმ დოკუმენტის თანაავტორი, რომლითაც შეფასდება მისი პროფესიონალიზმი.

პარალელურად მიმდინარეობს კვლევის შედეგად მოპოვებული მასალის დამუშავება რომლის საფუძველზეც იკვეთება ის პრობლემები, რაზეც მასწავლებლებს განსაკუთრებით მართებთ ყურადღების გამახვილება საკუთარი პროფესიული პრაქტიკის შეფასების დროს. თითოეულმა მასწავლებელმა ობიექტურად უნდა შეაფასოს საკუთარი პროფესიონალიზმი სტანდარტთან მიმართებაში. კანონში შეტანილი ცვლილებები ავალდებულებს მასწავლებელს, იზრუნოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

კანონში შეტანილი ცვლილებები ასევე გულისხმობს მასწავლებელთა რეგისტრაციისა და სერტიფიცირების სისტემის შექმნას, რაც საფუძველს შექმნის პროფესიის რეგულირებისათვის და დაიცავს მოსწავლეებს არაკომპეტენტური, შემთხვევითი კადრებისაგან. რეგისტრაციის სისტემის ხარისხიანი მართვის უზრუნველსაყოფად შეიქმნება მონაცემთა ბაზა. სისტემაში მოქმედი ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, იქნება რეგისტრირებული.

მოქმედ მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცემათ დადგენილ სტანდარტთან თავიანთი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობა დაასაბუთონ სასერტიფიკაციო გამოცდაზე, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, აღიარებული იქნება მასწავლებლის პროფესიონალიზმი და მას გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი. სერტიფიცირების სისტემა უზრუნველყოფს მასწავლებლის კომპეტენციების მაქსიმალურად ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას. მასწავლებლობის მაძიებელი მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად გადის სკოლაში მუშაობის ერთწლიან გამოსაცდელ პერიოდს.

სერტიფიკატის განახლება მოხდება რვა წელიწადში ერთხელ. მასწავლებელთა მონაწილეობით შემუშავდება სერტიფიკატის განახლების მეთოდოლოგიები და ალტერნატიული გზები, რომელთაგან მასწავლებელი ამოირჩევს მისთვის სასურველს. სერტიფიკატის განახლებამდე მასწავლებლები ჩაებმებიან უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესში, გაიმდიდრებენ ცოდნასა და გამოცდილებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიული განვითარების ხარისხიანი პროგრამებით მასწავლებელთა უზრუნველსაყოფად შეიქმნება პროგრამების აკრედიტაციის სისტემა. დადგინდება აკრედიტაციის პროცედურები და წესები, შეფასების კრიტერიუმები. აკრედიტაციის სისტემის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და განვითარების იმ პროგრამების შექმნას, რომლებიც თავანთი აქტუალობითა და შინაარსით პასუხობენ საზოგადოების მოთხოვნებს და ნიადაგს უქმნიან კვალიფიციურ, შემოქმედ, საქმისადმი ერთგულ მასწავლებელთა ჩამოყალიბებას, მათი პრაქტიკის გამდიდრებას.

რეგისტრაციისა და სერტიფიცირების სისტემების მოქმედების პირობებშიც კი შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს რომელიმე მასწავლებლის პროფესიონალიზმი ან ეთიკური ქმედება. კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, იმ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც სკოლა მოითხოვს რომელიმე მასწავლებლის არაპროფესიონალური ან არაეთიკური ქმედების შესწავლას, საკითხს ადგილზე შეისწავლიან შემფასებლები და თავიანთ დასკვნებს წარუდგენენ დისციპლინურ კომისიას. წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით, კომისია შეაფასებს კონკრეტულ ქმედებას და გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას. მასწავლებლის არაპროფესიული და არაეთიკური ქმედების შეფასების პროცედურებისა და წესების დადგენა, ისევე, როგორც სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების შემუშავება, მოხდება პედაგოგიურ საზოგადოებასთან, მშობლებთან, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, ზემოთ აღნიშნული პროცესებისა და სისტემების სამართავად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლის პროფესიის რეგულირებასა და სტატუსის ამაღლებას, პროფესიული ცოდნის, საქმიანობის მაღალ სტანდარტს, სწავლების ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას მასწავლებლის, მოსწავლისა და მთლიანად სახელმწიფოს სასარგებლოდ.

პედაგოგის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიაა. იმაზე, თუ როგორი მასწავლებლები გვყავს დღეს, ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი დღე. მასწავლებელი თავისი ყოველდღიური საქმიანობით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდის ჩამოყალიბებაზე, როგორც უშუალოდ საგნის სწავლებით, აგრეთვე საკუთარი ქცევის, შეხედულებების, ღირებულებების და ადამიანებთან დამოკიდებულების საშუალებით. დღითიდღე იზრდება საზოგადოებრივი მოლოდინი მასწავლებლის მიმართ. აქედან გამომდინარე, მათ განსაკუთრებული მხარდაჭერა და დახმარება ესაჭიროებათ. კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ფოკუსირებულია მასწავლებლის როლის გაძლიერებაზე და პროფესიის ავტორიტეტის ამაღლებაზე, მასწავლებელზე ზრუნვის კიდევ ერთი გამოხატულებაა. ამ ზრუნვის შედეგია განახლებული სკოლები, მასწავლებლის ხელფასის ზრდა, საგაკვეთილო დატვირთვის შემცირება, მისი აქტიური ჩართვა საგანმანათლებლო სისტემისათვის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავებაში და სკოლის მართვაში. მასწავლებლები სამეურვეო საბჭოებში თავანთი აქტიური მუშაობით ხელს უწყობენ არა მხოლოდ სკოლის სამეურნეო საკითხების საჯაროდ და გამჭვირვალედ მოგვარებას, არამედ სკოლის სასწავლო გეგმების შემუშავებას და სკოლის განვითარების გონივრულად და მიზანმიმართულად დაგეგმვას.

ხარისხიანი პროფესიული მომზადება უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში, მაძიებლობის პერიოდში აქტიური კოლეგიალური დახმარება, ეფექტური საკადრო პოლიტიკა, ხელფასის ზრდის პერსპექტივა და მიმზიდველი საკონტრაქტო პირობები, თანამდროვე და საინტერესო სასწავლო პროგრამები, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროგრამების მეშვეობით უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, კარიერული წინსვლის პერსპექტივა, პროფესიული თავისუფლება და წახალისებული შემოქმედებითობა - ესაა ის პირობები, რაც მასწავლებლის პროფესიას საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ასაკოვანი მაღალკვალიფიცირებული მასწავლებლების როლი სკოლაში. ამ კანონის რეგულირების სფერო არ ითვალისწინებს ასაკობრივ შეზღუდვებს. პირიქით, მათ მიერ წლების მანძილზე დაგროვილი პროფესიული გამოცდილება ფასდაუდებელია, რადგან მათ მნიშვნელოვანი დახმარება შეუძლიათ გაუწიონ როგორც მათზე ახალგაზრდა მასწავლებლებს, აგრეთვე მასწავლებლობის მაძიებლებს, აზიარონ ისინი პროფესიულ სიღრმეებსა და ოსტატობას.

ამ უმნიშვნელოვანესი საკანონდებლო ცვლეილებების პროექტის მომზადებაში შეტანილი გადამწყვეტი წვლილისთვის მინდა მადლობა გადავუხადო მასწავლებელთა პროფესიული განათლების ცენტრს, დირექტორ მარინა ჟვანია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ჩიორა თაქთაქიშვილს და მის მოადგილეს ელენე აგლაძეს, და, რა თქმა უნდა, იმ ათასობით მასწავლებლებს, ვინც აქტიურად მონაწილეობდა მის განხილვებში. დარწმუნებული ვარ, ჩვენი პედაგოგიური საზოგადოება კვლავაც აქტიურ და ქმედით დახმარებას გაგვიწევს კანონპროექტის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში კონსტრუქციული შენიშვნებითა და საქმიანი წინადადებებით.

**ალექსანდრე ლომაია**

# პროექტი
## საქართველოს კანონი
# "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №20. 04.05.2005, მუხ. 143) შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 1-ლი მუხლი მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად), მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.".

2. მე-2 მუხლის:

ა) "რ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"რ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობა, რომლის სუბიექტები საჯარო სკოლაში არიან სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, სააპელაციო კომიტეტი - ასეთის არსებობის შემთხვევაში;"

ბ) "ღ" ქვეპუნქტს დაემატოს "ღ1", "ღ2", "ღ3" და "ღ4" ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

"ღ1) მასწავლებელი - კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული, შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ღ2) მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი - მასწავლებლის ქცევის სავალდებულო ნორმები;

ღ3) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი - პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი;

ღ4) მასწავლებლობის მაძიებელი - პირი, რომელიც დროებით ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად;"

გ) ამოღებულ იქნეს "ც" ქვეპუნქტი;

დ) "წ" ქვეპუნქტს დაემატოს "წ1" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"წ1) მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიო - მასწავლებლის პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა;";

ე) "ჯ" ქვეპუნქტს დაემატოს "ჯ1" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

"ჯ1) სერტიფიცირება - მასწავლებლისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება ან/და განახლება;"

3. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს "ი" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

"ი) მასწავლებელთა პროფესიის რეგულირებას.".

4. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, მინიმალური და განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე, პროფესიული ეთიკის კოდექსის სრული დაცვით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.".

5. 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია მოითხოვოს ხანგრძლივი შვებულება 1 წლამდე ვადით ანაზღაურების გარეშე სამუშაო ადგილის შენარჩუნებით;"

6. 21-ე მუხლის შემდეგ დაემატოს " II1" თავი შემდეგი რედაქციით:

"თავი II1 მასწავლებლის პროფესია

**მუხლი 211.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი**

1. მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეებს ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს.

2. მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სერტიფიცირებულია ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

3. მასწავლებელი არ შეიძლება იყოს ნასამართლეობის მქონე პირი.

4. მასწავლებლის სერტიფიცირება მოიცავს მასწავლებლობის უფლების მოპოვებას და განახლებას.

5. მასწავლებლობის უფლების მოპოვება ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში მოიცავს:

ა) ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

ბ) მაძიებლობის პერიოდის წარმატებით გავლას;

გ) სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას.

6. მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის აუცილებელია მასწავლებლის პროფესიული განვითარება ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

7. მასწავლებელი ვალდებულია:

ა) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება;

ბ) იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე;

გ) იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე;

დ) დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;

ე) შეასრულოს შრომის ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ვ) კანონმდებლობითა და შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით წარადგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

**მუხლი 212. მასწავლებლის სახეები და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი**

1. ზოგადი განათლების მასწავლებლების სახეებია:

ა) დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი ან საგნობრივი ჯგუფი ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე;

ბ) საგნის მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საგანი საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე;

გ) საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ყველა საგანი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ საგნობრივ ჯგუფშია გაერთიანებული საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე;

დ) პროფესიის მასწავლებელი - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროფესიის მასწავლებელი;

ე) სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი;

ვ) სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც ფლობს საჭირო კვალიფიკაციას იმისათვის, რომ ასწავლოს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განისაზღვრება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტანდარტს თითოეული სახის მასწავლებლისათვის. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მასწავლებელი.

**მუხლი 213. მასწავლებლის განათლება**

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2. საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

3. პროფესიის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) შესაბამისი პროფესიული განათლება;

გ) გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

4. საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) შესაბამისი სახელოვნებო ან სასპორტო განათლება;

გ) განათლების ბაკალავრის ან მაგისტრის აკ-

გაგრძელება C3 გვერდზე

# პროექტი

## საქართველოს კანონი

# "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

C2 გვერდიდან

ადემიური ხარისხი, ან გავლილი ჰქონდეს აკრედიტებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

5. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის 212-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ა-ე" ქვეპუნქტებში მოყვანილი ერთერთი მასწავლებელი და აგრეთვე გავლილი აქვს სპეციალური აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესისა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

**მუხლი 214. მასწავლებლობის მაძიებელი**

1. მასწავლებლობის უფლება შეიძლება მოიპოვოს პირმა, რომელიც დადგენილი წესით გაივლის რეგისტრაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში, როგორც მასწავლებლობის მაძიებელი და წარმატებით გაივლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 1-წლიან მაძიებლობის პერიოდს. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება 212 მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებლებზე.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი რეგისტრაციაში ატარებს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც შეესაბამებიან ამ კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მაძიებლობის პერიოდის მანძილზე მასწავლებლობის მაძიებელს აუნაზღაუროს შრომა. მასწავლებლის სერტიფიცირებისათვის არ აქვს მნიშვნელობა მასწავლებლობის მაძიებელი იღებს თუ არა შრომის ანაზღაურებას.

4. მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს ამ კანონით მასწავლებლისათვის გათვალისწინებული ყველა უფლებითა და შეღავათით, გარდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ამ კანონით დადგენილი მინიმალური ოდენობის მიღებისა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებისა.

5. მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით პირმა სკოლაში შეიძლება იმუშავოს არაუმეტეს 2 წლის განმავლობაში, გარდა ამ მუხლით დადგენილი შემთხვევებისა,

6. მაძიებლობის პერიოდის დასრულების შემდგომ სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს დადგენილი წესით წარუდგენს დოკუმენტს მასწავლებლობის მაძიებლის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ. დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს 2 სახის გადაწყვეტილებას;

ა) მასწავლებლობის მაძიებელი აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;

ბ) მასწავლებლობის მაძიებელი მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს არ აკმაყოფილებს.

7. მასწავლებლობის მაძიებელს შეიძლება მიენიჭოს უფლება ასწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლობის მაძიებლად 2 წლის განმავლობაში სკოლაში სწავლების შემდეგ, თუ:

ა) მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით 2 წლიანი სწავლების პერიოდის გასვლიდან არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში იგი გავა სასერტიფიკაციო გამოცდაზე და გადალახავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზღვარს;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს ვაკანსია, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ შეივსო.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლობის მაძიებლისათვის სწავლების უფლების მინიჭების ვადას განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 215. მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა**

1. მასწავლებლის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ამ კანონის 212 მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებლებზე.

2. სასერტიფიკაციო გამოცდის მიზანია მასწავლებლობის მაძიებლის ცოდნის და უნარების შესაბამისობის დადგენა შესაბამისი სახის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან.

3. სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ რეგისტრირებული მასწავლებლობის მაძიებელი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმატებით გაივლის მაძიებლობის პერიოდს 214-ე მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) შინაარსობრივი ნაწილი, რომელიც ამოწმებს მასწავლებლის მიერ შესაბამისი ეროვნული სასწავლო გეგმითა და შესაბამისი მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული პროფესიული ცოდნის ფლობის ხარისხს;

ბ) უნარების ნაწილი, რომელიც სიტუაციური ამოცანების საშუალებით ამოწმებს მასწავლებლის უნარს, შეარჩიოს სწორი სტრატეგია და მიიღოს მართებული გადაწყვეტილება სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული გამოცდების ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 216. მასწავლებლის სერტიფიკატი**

1. ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი გასცემს მასწავლებლის სერტიფიკატს, რომელიც მოქმედებს გაცემიდან 8 წლის განმავლობაში.

2. მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

**მუხლი 217. მასწავლებლის პროფესიული განვითარება**

1. მასწავლებელი ვალდებულია განაახლოს მასწავლებლობის უფლება სერტიფიკატის ვადის ამოწურვის შემდეგ პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისათვის. მასწავლებლის უფლების განახლებისათვის პირი ვალდებულია დააგროვოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით განსაზღვრული კრედიტები. მასწავლებლის უფლების განახლება ხდება 8 წლის ვადით.

2. პროფესიული განვითარების კრედიტების დაგროვების შესაძლებლობებია:

ა) აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების გავლა;

ბ) საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა, (სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება ან/და განხორციელება, მაძიებლებისა და სხვა პედაგოგებისათვის ცოდნის გაზიარება და სხვა.);

გ) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 6 წლის შემდეგ შესაბამისი მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დაფინანსების შესაძლო წყაროებია:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახსრები, მათ შორის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები; ,

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის სახსრები;

გ) მასწავლებლის მიერ თვითდაფინანსება;

დ) დონორების მიერ დაფინანსება;

ე) კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრები".

4. მასწავლებლის პროფესიული განვითარების, პრაქტიკული გამოცდილებისა და პროფესიული წარმატებების აღრიცხვა ხორციელდება მასწავლებლის პორტფოლიოს მეშვეობით. პორტფოლიოს ნიმუშს და მისი მომზადების წესს ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

5. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის სერტიფიკატის ვადის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი ვერ დააგროვებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობას და არ განაახლებს სერტიფიკატს, იგი კარგავს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსს.

6. სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პირობები განისაზღვრება სერტიფიცირების დებულებით.

**მუხლი 218. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია**

1. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

2. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი.

3. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წესს და პირობებს ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანხმობით.

4, მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში აღინიშნება აგრეთვე ამ პროგრამის კრედიტების რაოდენობა."

6. 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოაყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორებს."

7. 26-ე მუხლის:

ა) 1-ლი პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"დ) შეიმუშავებს და ამტკიცებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დებულებებს;

ე) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორების კანდიდატურებს;"

ბ) 1-ლი პუნქტის "შ" ქვეპუნქტს დაემატოს "შ1" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

"შ1) საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს:

შ1.ა) მასწავლებლის დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

შ1.ბ) მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;

შ1.გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემას;

შ1.დ) მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს;

შ1.ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში მასწავლებლის მიმართ განსახორციელებელი დისციპლინური წარმოების წესს;

შ1.ვ) მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესს, აგრეთვე მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშს და მისი გაცემის წესს;

შ1.ზ) მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებას და მასწავლებლობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ნიმუშს;

შ1.თ) მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის, აგრეთვე მასწავლებლის უფლების მოპოვების და განახლების საფასურის ოდენობას.".

გ) 1-ლი პუნქტის "ჯ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ჯ) განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანხმობით ამტკიცებს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულებას;"

დ) 1-ლი პუნქტის "ჰ3" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ჰ3) ახორციელებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვას და ადგენს მათი აღრიცხვის წესს;"

ე) 1-ლი პუნქტის "ჰ4" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ვ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რეგისტრაციაში ატარებს საჯარო სკოლების დირექტორებს, დირექტორების მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მათი მოვალეობის შემსრულებელ მოადგილეებს, მოვალეობის სხვა შემსრულებლებს, სამეურვეო საბჭოს წევრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მონაცემი რეგისტრირდება მისი წარდგენიდან 15 დღის ვადაში;

ბ) მონაცემი არ რეგისტრირდება, თუ დარღვეულია ამ კანონისა და ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნები;

გ) მონაცემი რეგისტრირებულად ითვლება, თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მონაცემის წარმდგენს 15 დღის ვადაში არ აცნობებს აღმოჩენილი კანონდარღვევის შესახებ;

დ) მონაცემი, რომელიც აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს უკავშირდება, რეგისტრირდება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარდგენის საფუძველზე."

8. 28-ე მუხლს დაემატოს 281 მუხლი შემდეგი რედაქციით:

**"მუხლი 281 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი**

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ფუნქციებია:

ა) კანონდებლობით დადგენილი წესით მასწავლებელთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვა;

ბ) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მომზადება;

გ) მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მომზადების უზრუნველყოფა;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული მასწავლებლისა და მაძიებლების ვაკანსიების რეგისტრაცია;

ე) მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესის შემუშავება;

ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული გამოცდების ცენტრის მონაწილეობით მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულების შემუშავება;

ზ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის შემუშავება, მასწავლებლის პორტფოლიოს ნიმუშისა და მისი მომზადების წესის დამტკიცება;

თ) მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და შეთანხმება;

ი) პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევების შემთხვევაში მასწავლებლის მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელება;

კ) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ჩამორთმევა;

ლ) მასწავლებელთა სერტიფიცირება ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეირ დადგენილი წესის შესაბამისად;

მ) საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება."

9. 33-ე მუხლის:

ა) 1-ლ პუნქტს დაემატოს "ლ", "მ" და "ნ" ქვეუნქტები შემდეგი რედაქციით:

"ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს მასწავლებლობის მაძიებელი სკოლაში;

მ) კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს დაწესებულებაში დასაქმებული მასწავლებლების პერსონალური მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია სკოლაში არსებული მასწავლებლისა და მაძიებლების ვაკანსიების შესახებ;

ნ) მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მათ შორის პროფესიული მზადების პროგრამაში მათი მონაწილეობის ხარჯების დაფინანსების ან თანადაფინანსების გზით.".

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს "ზ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

"ზ) პროფესიული განვითარების დონის შესაბამისად მიიღოს ზომები მასწავლებლის შრომის ანაზღაურების უფრო მიმზიდველი პირობების შესაქმნელად.".

11. 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. პედაგოგურ საბჭოში ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი."

12. 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე მოამზადოს კანონპროექტები "სააღმზრდელო საქმიანობის შესახებ", "პროფესიული განათლების შესახებ" და "საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების აკრედიტაციის შესახებ".

13. 56-ე მუხლს დაემატოს 561-ე მუხლის შემდეგი რედაქციით:

**"მუხლი 561. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი**

1. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი შეიძლება იყოს შესაბამისი აკადემიური ან პროფესიული უმაღლესი სახელოვნებო ან სასპორტო განათლების მქონე პირი, რომელსაც

ა) გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად;

ბ) გავლილი აქვს მაძიებლობის პერიოდი და წარმატებით ჩააბარებს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილს.

2. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელზე სერტიფიკატი გაიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სერტიფიცირების დებულების შესაბამისად.

3. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და განვითარების წესი და პირობები.

4. სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები მასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებენ ამ კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ლ", "მ" და "მ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და განახორციელებენ ამა მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

5. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებისა და წესის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო მონაწილეობს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულების იმ ნაწილის შემუშავებაში, რომელიც ეხება სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა მომზადებასა და განვითარებას.".

14. 61-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 61. მასწავლებელთა პირველი სერტიფიცირება

1. პირველი სასერტიფიკაციო გამოცდები ჩატარდეს არაუგვიანეს 2009 წლის 1 მარტისა.

2. 2013 წლის ბოლომდე ყველა მოქმედმა მასწავლებელმა უნდა ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდა, რათა მოიპოვოს მასწავლებლობის უფლება. ამ ვადამდე მასწავლებლად მუშაობის დაწყება შეუძლიათ მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირებს, ვისაც უმაღლესი განათლების დიპლომში მითითებული აქვთ პედაგოგის და/ან საგნის სპეციალისტის კვალიფიკაცია. ეროვნული სასერტი-ფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლების მოსაპოვებლად მათ უნდა ჰქონდეთ სკოლაში მუშაობის სულ მცირე ერთწლიანი სტაჟი.

3. 2009 წლიდან შესაბამისი მასწავლებლობის უფლების მოპოვება შეეძლებათ განათლების ბაკალავრებს ან განათლების მაგისტრებს სკოლაში ერთწლიანი მაძიებლობის პერიოდისა და სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლევის შემდეგ, ხოლო სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლობის უფლების მოპოვება შეეძლებათ აგრეთვე შესაბამისი აკადემიური ან პროფესიული უმაღლესი სახელოვნებო ან სასპორტო განათლების მქონე პირებს, რომელთაც გავლილი აქვთ მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთწლიანი მაძიებლობის პერიოდისა და სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში.

**მუხლი 2.**

ეს კანონი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს.

**პრეზიდენტი**

მიხეილ სააკაშვილი

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური ხაზინის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

მთავარი ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 550 ლარი).

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ - კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე - პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

■ ***მთავარი ბუღალტერის თანამდებობაზე:***

- უმაღლესი ეკონომიკური განათლება;
- ბუღალტრად მუშაობის არანაკლებ ორი წლის გამოცდილება;
- საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების ცოდნა;
- იცნობდეს სახელმწიფო სექტორში საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების მეთოდოლოგიას (IPSAS);
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

კონკურსს ატარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სპეციალიზირებული საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოებისა და პერსონალის მართვის სამმართველოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
4. ორი ფოტოსურათი (3X4).

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. ტელ. 344604; 334899.

**საჯარო სამსახურის ბიურო.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.4 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2006წ.-2007წ.

სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის), 2006 წლის 23 ოქტომბრიდან მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 13 ნოემბრის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 14 ნოემბრის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება. დასაშვებია ერთი ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა.

მიიღება მხოლოდ იურიდიული და ფიზიკური სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**გ)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**--** ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**--** ცნობას 2006 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**--** ცნობა ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ ანალოგიური სამუშაოების შესრულების არა ნაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით.

**--** ცნობა იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005, 2006 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები).

ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 2 მლნ. ლარის ოდენობით;

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | სასურველია წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**11.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

**13.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ძველი სენაკი-მეორე ნოსირის საავტომობილო გზაზე, მდინარე ტეხურაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის), 2006 წლის 23 ოქტომბრიდან მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 13 ნოემბრის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 14 ნოემბრის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება. დასაშვებია ერთი ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა.

მიიღება მხოლოდ იურიდიული და ფიზიკური სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**გ)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**--** ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**--** ცნობას 2006 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**--** ცნობა ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ ანალოგიური სამუშაოების შესრულების არა ნაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით.

**--** ცნობა იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005, 2006 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები).

ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 500 000 ლარის ოდენობით;

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**11.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

**13.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**